# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 მაისი **ოთხშაბათი** 2011

№ 108 (13405) ფასი 60 თეთრი


## ბელას BELLE




10

# ქართულ ფეხბურთს სინდისის სამრეცხაო სჭირდება

**იყო შანსი, მაგრამ... ეტყობა, შიშია: ჭუჭყი დაგროვდება, ყველას წაგვლეკავს**



კლიენტების სიმცირის გამო დროებით არ მუშაობს

2-3

# ხუთი ფეხბურთელი მოკვეთეს. მთავარი თუ მოიკვეთება?





**კალათბურთი ახალ ჩემპიონს ელის**

12



## არმია: ორი არია

13

● არარიგითი ალმასკომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყო თუ არა იყო რა?

## ალმასკომზე სიტყვას ბუზის ფასი ჰქონდა: „მოფრინდა, გაფრინდა...“



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომამ დაახლოებით ორ საათს გასტანა. სხდომა მხოლოდ რამდენიმე წუთით იყო ღია, ისიც მხოლოდ ტელეოპერატორებისთვის, დაახლოებით ორი საათის განმავლობაში კი ალმასკომის წევრებმა დახურულ კარს მიღმა იმსჯელეს და ფედერაციის შენობიდან გამოსულმა **ზვიად სიჭინავამ** გადაწყვეტილება გაგვაცნო.

*"ალმასკომმა საფეხბურთო მაქინაციებზე ბევრი იმსჯელა და როცა საქმე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანაზე მიდგა, ყველაფერი ერთმა ხმამ გადაწყვიტა. ალმასკომის რვა წევრი გარიგების მონაწილე ფეხბურთელებისთვის ხუთწლიან დისკვალიფიკაციას ითხოვდა, ცხრამ კი ხმა მათ სამუდამო დისკვალიფიკაციას მისცა და ხმათა უმეტესობით, ვფიქრობ, სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღეთ"*, - განაცხადა სფფ-ის პრეზიდენტმა.

ხუთი მოკვეთილი ფეხბურთელის გვარი ბოლო დღეებში ყველას პირზე აკერია, მაგრამ მათ ვინაობას მაინც შეგახსენებთ: 24 წლის **გიგა ბეჭვაია** (ვიტ ჯორჯია), 35 წლის **როინ ონიანი,** 29 წლის **ლევან ვართაგავა** (ორივე – ბაია), 32 წლის **სპარტაკ გოგია,** 24 წლის **კახაბერ კირთაძე** (ორივე – სამტრედია).

სიჭინავამ იქვე დასძინა, რომ ხუთეულის სამუდამო დისკვალიფიკაცია მხოლოდ საქართველოს კი არა, ფიფას წევრი ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელდება. დასჯილებს ალმასკომის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ.

ალმასკომის წევრებმა განაჩენი გამოიტანეს სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე პუნქტზე დაყრდნობით, სადაც ნათქვამია: *„პირი, რომელიც შეეცდება სფფ-ის ორგანოს, მატჩის ოფიციალური პირის, ფეხბურთელის ან ოფიციალური პირის მოსყიდვას ან მოისყიდის მათ ან ეცდება პირდაპირ ან ირიბად მოახდინოს ზემოქმედება მათზე (მაგ: თხოვნა, დაპირება, გაუმართლებელი სარგებლის მიღება და სხვა) მატჩის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, დაჯარიმდება: პუნქტი 2 – სერიოზულ შემთხვევებში სანქცია შეიძლება იყოს სამუდამო"*.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ალმასკომის წევრებმა კიდევ ერთხელ ნახეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული კადრები, შემდეგ სიჭინავამ მათ "ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელთა წერილი გააცნო, სადაც ისინი თანაგუნდელის მიმართ ლოიალობის გამოჩენას ითხოვდნენ. ალმასკომის წევრები ასევე გაეცნენ უეფას მიერ მსგავს შემთხვევებში დაწესებული სანქციების ჩამონათვალსა და სხვა ქვეყნების გამოცდილებას.

გუშინდელ ალმასკომზე ასევე დადგინდა, რომ ალმასკომის მომდევნო სხდომა მომავალ კვირაში გაიმართება: ალმასკომის წევრები სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელმძღვანელებთან ერთად მომავალი სეზონის ეროვნული ჩემპიონატის სტრუქტურაზე იმსჯელებენ.

ეს იყო და ეს, გუშინდელი დღისგან მეტს არც არაფერს ველოდით და, სამწუხაროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე მომხდარ სკანდალს კანტიკუნტად თუ გაიხსენებენ. ყველაფერი იქით მიდის, რომ მკვდარი წერტილიდან დაძრული პროცესი ამაზე დიდ მასშტაბს ვერ (და არ) შეიძენს და პრაქტიკულად, ისევ იმ მკვდარ წერტილს დაუბრუნდება, რომელსაც ათწლეულებია, ქართული ფეხბურთი ვერ გასცდენია.

ნაკლებად უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ დიდი ხნის ნანატრ კონკრეტულ ფაქტებს უახლოეს მომავალში სხვა მამხილებელი საბუთები შეემატება, არადა, სხვა საეჭვო სიტუაციებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვით ეს საქმეც იძლეოდა იმის რეალურ შანსს, რომ ყველაფერი მხოლოდ ხუთი ფეხბურთელის მოკვეთით კი არ დასრულებულიყო, ბინძური საფეხბურთო მაქინაციების კიდევ არაერთი მონაწილე გამოვლენილიყო.

*"ჩვენ ვიმსჯელეთ მხოლოდ იმ ფაქტებზე, რომლებიც გავრცელებული ვიდეომასალით გამოაშკარავდა"*, - ასეთი განცხადებები გააკეთეს ალმასკომის წევრებმა და, რასაკვირველია, უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ ფაქტების გარეშე ისინი ვერაფერზე ილაპარაკებდნენ. სამაგიეროდ, ჩნდება კითხვა, რატომ მიაქციეს ალმასკომის წევრებმა ყურადღება ფარული კამერით გადაღებული პირების საუბრის მხოლოდ გარკვეულ ფრაგმენტებს და რატომ არ უხსენებია არავის ბევრი ის ფრაზა, რომელიც ამავე ჩანაწერებში გარკვევით ჟღერს?

მით უფრო, ამ ფრაზებზე ყურადღება "ლელოს" 4 მაისის ნომერში გავამახვილეთ სწორედ იმ იმედით, რომ ისინი განხილვის საგნად იქცეოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საგაზეთო პუბლიკაციამ სიბნელის გამოაშკარავებას ხელი ვერც ამჯერად წაადგა.

ამის მიუხედავად, მაინც საჭიროდ მიგვაჩნია, კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ფარული ჩანაწერის იმ ნიშანდობლივ მონაკვეთებს, რომლებიც ალმასკომის განხილვის საგნად არ ქცეულა.

**1** "ბაიას" კაპიტანი როინ ონიანი გარიგების მონაწილე გაბედავას ამას ჰპირდება: ***"მე-10 წამზეც იქნება "ზამენა" თუ საჭირო იქნება, მაგის პრობლემა არ არის... მე-10 წამზე კი არა, რომ ვხედავდე, რომ ცვლიან, მანამდე შევცვლით ჩვენ თავს, რა პრობლემაა..."***

მეათე წამზე არა, მაგრამ ონიანის დაპირება მაინც შესრულდა და "დინამო"-"ბაიას" მატჩში პირველი შეცვლა ზუგდიდელებმა განახორციელეს. მოედანი ტრავმისა თუ ტრავმის მომიზეზებით "ბაიას" მცველმა მაკარ აქუბარდიამ დატოვა, რომელიც ექვის საფუძველზე გუნდიდან დროებით მოკვეთეს, მაგრამ მალევე დააბრუნეს.

**2** ონიანის მეორე დაპირება: ***"მე გეუბნები, ეგ უეჭველია, რასაც ვიტყვი... თუ საჭიროა, ჩვენ თუ ჩავთვლით ხო, რომ გეთქვათ, ჩვენ ორ პენალტსაც ავიკიდებთ, მაგასაც ავიღებთ... ჩვენ ეგ შეიძლება პირველ ტაიმში მოვაყომაროთ... მეორე ტაიმში უეჭველი იქნება რა..."***

მატჩის მიწურულს "ბაიას" კარში პენალტი დაინიშნა, "დინამოს" ფეხბურთელი **გიორგი ქირიამ** წააქცია. აქუბარდიას მსგავსად, "ბაიას" ისიც რამდენიმე დღით ჩამოაშორეს და შემდეგ დააბრუნეს.

**3** ***"პირველ ტაიმში შეცვლას გიკეთებ"***, - დაჰპირდა "ვიტ ჯორჯიას" კაპიტანი გიგა ბეჭვაია გაბედავას.

"სიონთან" შეხვედრის მე-14 წუთზე "ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობაში შეცვლა განხორციელდა. ოფიციალური მიზეზი აქაც ტრავმაა. მოედანი ლაშა კასრაძემ დატოვა, რომელზეც, აქუბარდიასა და ქირიასგან განსხვავებით, საკუთარი კლუბის ხელმძღვანელობას ეჭვი საჯაროდ არ მიუტანია.

**4** ბეჭვაიას მეორე დაპირება: ***"პირველ ყვითელს გიკეთებ"***.

ეს "ამოცანა" წარმატებით თავად ბეჭვაიამ გადაჭრა. "სიონს" გოლი მე-7 წუთზე გაუტანა, მაისურა გაიხადა და გაფრთხილებაც მიიღო.

**5** ბეჭვაიას მესამე დაპირება: ***"პირველ ტაიმში ჩვენი მეტი აუტი იქნება, სადღაც 15 აუტს ჩავაწვდით... ბოლნისის ხალხს ეცოდინება და გადაყრიან და გადაყრიან"***.

"ვიტ ჯორჯია"-"სიონის" პირველ ტაიმში დაპირებულ 15 აუტზე მეტი, 16 ჩაწოდდა. ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, "ბოლნისის ხალხს" ამ 16-დან 14 აუტი რომ არ "გამოემუშავებინა".

**6** გაბედავა: ***"უკვე ორი კაცი ვართ სტადიონზე... ტრენერი თავისთავად ჩვენია"***.

ორ კაცში გოგია და კირთაძე უნდა იგულისხმებოდნენ, და "სამტრედიას" რომელი "ტრენერი"? ეს შეკითხვა, რატომღაც, არავის გასჩენია.

**7** გაბედავა: **ეგენი მელოდებიან რო პენალი გვინდა... ჰა პენალი და შეცვლა გავაკეთოთ...**

"სამტრედიამ" "პენალიც" აიკიდა და მეტოქეს შეცვლაც დაასწრო. პენალტი დასჯილთაგან ერთ-ერთის ხელით თამაშს მოჰყვა, შეცვლით კი სამტრედიელი რუხაია შეცვალეს.

ვიმეორებთ, ჩვენ ხელს არავის ვადებთ, მაგრამ ეს ფრაზები ნამდვილად ღირდა იმად, ალმასკომს გულდასმით რომ გამოეკვლია.

იმას კი ნამდვილად ვერ გეტყვით, რა ეტაპზეა გამოძიება და კონკრეტულად რომელი ეპიზოდებია სამართალდამცავი ორგანოების ინტერესის სფეროში.

საქართველოს ჩემპიონატში "ცუდი სუნი" უამრავ მატჩს უდიოდა, მაგრამ რაკი უკანონო გარიგებათა ფაქტი მხოლოდ ახლა გამოაშკარავდა, ამჯერად ძველს თავი გავანებოთ და დავსვათ ლოგიკური შეკითხვა – რატომ აღარ უჩანს გაგრძელების პირი იმ საქმეს, რომელსაც შეეძლო, გაცილებით უფრო მსხვილმასშტაბიანი მაქინაციები გამოევლინა და დასჯილთა რიცხვი ხუთით არ შემოფარგლულიყო. ამ ფეხბურთელებმა კუთვნილი სასჯელი მიიღეს, მაგრამ, საუბედუროდ, ყველაფერი იქით მიდის, რომ მათზე გაცილებით დიდი დამნაშავეები ქართულ ფეხბურთში "მოღვაწეობასა" და მის ლაფში გასვრას გააგრძელებენ.

ძალიან გვეეჭვება, სასჯელს მხოლოდ ფეხბურთელები იყვნენ გადარჩენილები. არ არის გამორიცხული, საფეხბურთო მაქინაციები ზოგიერთი კლუბის მაღალრანგოსნებისთვის ძალიან ჩვეული საქმიანობა იყოს და შესაძლოა, სკანდალს გაგრძელება იმიტომაც არ მოჰყვეს, რომ ასეთ შემთხვევაში სფფ-ს უმაღლესი ლიგიდან არა ერთი და ორი კლუბის მოკვეთა დასჭირდეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალი დამნაშავე ფეხბურთელების გამოვლენა გამოძიებას კლუბების "მაღალ ეშელონებამდე" მიიყვანდა...

დღეს კი ყველა კმაყოფილია – ვინ მოთვლის, რამდენმა მაქინატორმა ამოისუნთქა შვებით. ქართული ფეხბურთი არსებობას ბეჭვაიას, ონიანის, ვართაგავას, გოგიასა და კირთაძის გარეშე განაგრძობს, მათზე დიდი დამნაშავეები კი საფეხბურთო ოჯახის გავლენიან წევრებად რჩებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# უეფა წერილს მტრედს ატანს?

ვაჟა სიმონიშვილის
კარიკატურა




WE CARE ABOUT FOOTBALL

Union des associations européennes de football

Registered
Mr Ramaz Shengelia
Georgian Football Federation
76a Chavchavadze Avenue
0162 Tbilisi

GEORGIA

| Your reference | Your correspondence of | Our reference | Date |
|---|---|---|---|
| | | LDIS | 28.02.2011 |

**Wit Georgia Tbilisi - Spartaki Tskhinvali (Umaglesi Liga) 21.11.2010**
**Wit Georgia Tbilisi - Spartaki Tskhinvali (Georgia Cup) 01.12.2010**
**FC Kolkheti Poti - Samtredia (Umaglesi Liga) 12.02.2011**

Dear Mr Shengelia,

We would like to bring your attention to the above-mentioned matches.
We have reason to believe that these matches were manipulated for betting purposes.
The enclosed reports show large variations in the price movements in Asia concerning pre-match and live betting.

It is important that we receive feedback from your national association regarding these three matches; your cooperation is highly appreciated.

Please contact Graham Peaker at discipline@uefa.ch if you require any further information regarding this matter.

Yours sincerely

U E F A

Graham Peaker
Intelligence Coordinator

# ზვიად სიჭინავა წერილი გვიან მივიღეთ


ზვიად სიჭინავა

**ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომის შემდეგ ზვიად სიჭინავას კომენტარი ისეთ საკითხებზე ვთხოვეთ, საზოგადოებაში კითხვებს რომ ბადებდა. უეფას მიერ გამოგზავნილ წერილში ლაპარაკი იყო სამ გარიგებულ მატჩზე. ფედერაციის პრეზიდენტს უპირველესად ამის თაობაზე ვკითხეთ.**

**- უეფადან წერილი 28 თებერვალს გამოაგზავნეს, თქვენ კი ის საზოგადოებას 4 მაისს აჩვენეთ. ამხელა შუალედი რამ გამოიწვია?**

- წერილი უეფადან 28 თებერვალს კი გამოაგზავნეს, მაგრამ ჩვენ გაცილებით გვიან მივიღეთ და შემიძლია გაჩვენოთ შტამპი, რომლითაც ეს დასტურდება. უბრალოდ, მსგავსი გზავნილი არ არის პრეზიდენტისთვის განკუთვნილი წერილივით საჩქარო, რომელიც "დიეიჩელით" უნდა გააგზავნონ. საამისოდ ჩვეულებრივ ფოსტას იყენებენ და, ეტყობა, ამიტომ დააგვიანა. თუმცა, ზუსტად მეც არ ვიცი, ამდენი ხანი ჩვენამდე მოსვლას რატომ დასჭირდა. მოკლედ, წერილის დამალვა რომ მდომოდა, ცხადია, სახალხოდ არ წავიკითხავდი.

**- ჯერ მხოლოდ ხუთი მოთამაშის ბრალეულობა დამტკიცდა. ნუთუ გარიგებები კლუბების მონაწილეობის გარეშე ხდებოდა?**

- გარკვეული ეჭვები გვქონდა, მაგრამ მოქმედებაში პარალიზებული ვიყავით და ვერაფერს ვაკეთდებდით. სამართალდამცავებმა უდიდესი სამსახური გაგვიწიეს, რომ ხუთი მოთამაშე მაინც გამოავლინეს. ასე რომ, ჩვენ ახლა მხოლოდ მათი საკითხები განვიხილეთ, ვისზეც კონკრეტული მტკიცებულებანი გვქონდა. თუმცა გამოძიება ამით არ დასრულდება და თუ მომავალშიც ვილაცას წაუცდება ხელი, მასაც მკაცრად დავსჯით. ალმასკომზე გადავწყვიტეთ, რომ ასეთ ფაქტებზე აღარ ვიმსჯელოთ და პირდაპირ სამუდამო დისკვალიფიკაცია მივუსაჯოთ.

**- საფეხბურთო სამყარო საკუთარი ძალებით გარიგებულ მატჩებსა და კორუფციულ სქემებში გარეული გუნდებისა და ფეხბურთელების გამოვლენას ვერ ახერხებდა. სამართალდამცავებს დახმარებისთვის ამიტომ მიმართეთ?**

- პასუხს სხვა კუთხით გაგცემთ: ნავთობი არის ბიზნესი, ჭადრაკი არის სპორტი, გაზი და ფეხბურთი კი - პოლიტიკა.

**- ანუ, რისი თქმა გსურთ?**

- ფეხბურთი არის ყველაზე დიდი პოლიტიკა. მასში ერთიანდება ქვეყნის კულტურა და ისტორია. ამიტომაც მიმაჩნია, რომ მის განვითარებასა და ყოველდღიურ პროცესში უნდა იყოს ჩართული ყველა ის ადამიანი თუ სტრუქტურა – დამლაგებლით დაწყებული, ქვეყნის პრეზიდენტით დამთავრებული - ვისთვისაც ეს ქვეყანა ძვირფასია. თუ ფეხბურთით ყველა ეს ადამიანი არ იქნება დაინტერესებული, წარმატებას ვერასოდეს მივაღწევთ. ცხადია, სამართალდამცავებსაც ვგულისხმობ. გამოჩნდა ვიდეც, რომ მათ ჩვენს სფეროში დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ და კორუფციული გარიგებების გამოვლენით უდიდესი სამსახური გაგვიწიეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# მოსალოდნელი ვერდიქტი, ანუ ერთადერთი გამოსავალი?

განაჩენი გამოტანილია: ტოტალიზატორის სკანდალში გახვეულ ხუთ ქართველ ფეხბურთელს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიესაჯა! რა თქმა უნდა, ფეხბურთელებს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიად და ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ გარკვეული დროის გასვლის მერე (ვთქვათ, ერთი-ორი წლის შემდეგ) ამ ხუთიდან რომელიმე ფეხბურთელს... ამნისტია შეეხოს და საყვარელ საქმიანობას დაუბრუნდეს. ბოლოს და ბოლოს, მსგავსი პრეცედენტი ადრეც ყოფილა: მეოთხე ჩემპიონატში, გურჯაანის „ალაზანისა“ და რუსთავის „გორდას“ შეხვედრაში, სტუმართა ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა ნერვები ვერ მოთოკა მსაჯის აშკარა ტენდენციურობის გამო და არბიტრს... პანლური ამოარტყა! მსაჯის შეცდომა აშკარა იყო, მაგრამ ფეხბურთელის საქციელსაც არ ჰქონდა გამართლება და იმის მიუხედავად, რომ ეს მოთამაშე თავის ამპლუაში საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ და მანამდეც არასდროს ყოფილა შემჩნეული დისციპლინის დარღვევაში, მაინც უმკაცრესი განაჩენი გამოუტანეს — სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს! თუმცა მალე მან პრესის საშუალებით დანაშაული მოინანია და სამუდამო დისკვალიფიკაცია პირობითით შეეცვალა (ეგ კი არა, იმის მერე ბევრად უფრო წარმატებული კარიერაც ჰქონდა). მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ალმასკომის გუშინდელი გადაწყვეტილება მთლად საბოლოო არ უნდა იყოს და თუ ზემოდასახელებული ხუთი ფეხბურთელი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს, ალბათ, ვალდებულიც არის, რომ სასჯელი გაასაჩივროს. არადა, როგორც ცნობილია, ალმასკომის წევრთა ნაწილი ფეხბურთელების 5 წლით დისკვალიფიკაციას ითხოვდა, მეორე ნაწილი კი - სამუდამოს. ანუ, ფაქტობრივად, დიდი სხვაობა არც უნდა ყოფილიყო: მოთამაშე 5 წლით რომ ჩამოსცილდება სავარჯიშო პროცესს, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია, ამ ვადის გასვლის შემდეგ ძველებურ დონეზე იასპარეზოს (ერთადერთი, ალბათ, **ედუარდ სტრელცოვის** მაგალითია გამონაკლისი, შვიდწლიანი პატიმრობის შემდეგ კვლავაც ვარსკვლავურად რომ თამაშობდა).

...ველოდით თუ არა ალმასკომისგან ასეთ ვერდიქტს? უფრო, ალბათ, ველოდით; ოღონდ, რატომღაც ისიც გვჯეროდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ ხუთ ფეხბურთელს დასჯიდნენ „სამაგალითოდ“ და ამით ის მართლაც სკანდალურ-გახმაურებული თემა „დაიხურებოდა“! არადა, რა ვქნათ: ვერაფრით დაგვიჯერებია, რომ იმ ავადგასახსენებელი სამი მატჩის („დინამო“-„ბაია“, „ვიტ ჯორჯია“-„სიონი“, „სიონი“-„სამტრედია“) მანიპულირებაში მხოლოდ და მხოლოდ **რონ ონიანი, ლევან ვართაგავა, სპარტაკ გოგია, კახაბერ კირთაძე** და **გიგა ბეჭვაია** იღებდნენ მონაწილეობას. ისიც უცნაურად გვეჩვენება, რომ გვეგონა, უეფადან გამოგზავნილ წერილს ბევრად უფრო სერიოზული გაგრძელება ექნებოდა. უეფაში სერიოზული ეჭვი აქვთ, რომ „ვიტ ჯორჯია“-„სპარტაკის“ სათასო და ჩემპიონატის შეხვედრა, პლუს „კოლხეთი“-„სამტრედიას“ მატჩი ასევე მანიპულირებელი იყო, მაგრამ...

...არ დავმალავთ: ვერდიქტი მკაცრი იყო, მაგრამ მოსალოდნელი; თუმცა, ვიმეორებთ, მხოლოდ ამ ხუთი ფეხბურთელის მოკვეთით საქმე არ უნდა „დაიხუროს“; პირიქით, — ალბათ, აჯობებს, რომ ისეთი მექანიზმი შემუშავდეს, კონკრეტულ ფეხბურთელ(ებ)ს, მწვრთნელ(ებ)ს, მსაჯ(ებ)სა თუ, საერთოდ, ფეხბურთში დასაქმებულ პიროვნებებს გარკვეული მანიპულაციების სურვილი ერთხელ და სამუდამოდ გაუქრეთ. თორემ, დაუსჯელობის სინდრომი კვლავაც თუ იქნება, მაშინ წინ ვერავის და ვერაფერს აღვუდგებით, — რა ვქნათ, დღესაც ვერაფრით დაგვიჯერებია, რომ იმ ავადსახსენებელ საქმეში მხოლოდ და მხოლოდ ონიანი, ვართაგავა, გოგია, კირთაძე და ბეჭვაია არიან გარეულნი. თუმცა, ეტყობა, „საქმისათვის“ ასე სჯობდა: ერთი-ორის (ანუ ხუთი კაცის) დასჯა ბევრად იოლი გამოსავლად მოჩანს; თუ მანიპულაციებში გარეულ ფეხბურთელთა რიცხვი გაიზრდებოდა, ამ შემთხვევაში გუნდების დასჯის საკითხიც დადგებოდა დღის წესრიგში. დიახ, გუნდების (და არა ერთი-ორი გუნდის), — ეს კი, თავად განსაჯეთ, რამხელა მასშტაბის სკანდალს გამოიწვევდა და ამ შემთხვევაში ხომ არა მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის, არამედ, საერთოდ, ქართული ფეხბურთის პრესტიჟიც შეილახებოდა (თანაც, საერთაშორისო დონეზე). ახლა კი, ფაქტობრივად, ამ საქმეს წერტილი დაუსვეს და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ერთ (გნებავთ, ორ) ფეხბურთელს შეუძლია ყველა „ვალდებულების“ (აუტების საკმარისი რაოდენობა, პირველი ყვეითელი ბარათი, ადრეული შეცვლა, პენალტი და ასე შემდეგ) შესრულება, მაშინ მართლაც კარგად ყოფილა ჩვენი ფეხბურთის საქმე. არც ის დაგვავიწყდეს, რომ სეზონის ბოლოა და იმის საშიშროებაც ხომ იყო, რომ სატურნირო ცხრილი... ძირფესვიანად შეცვლილიყო. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ გარიგებულ მატჩებში მონაწილეობა... გუნდებს დაუმტკიცდებოდათ. ჰოდა, უსაბუთო ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, საქართველოს 2010-2011 წლების XXII ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პირველობის რეგლამენტს „მოვიშველიებთ“; კერძოდ, VII პუნქტის („სადისციპლინო სასჯელი“) მე-14 პარაგრაფს, სადაც გარკვევით წერია: **საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო სამსახური და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-დისციპლინარული კომისია უფლებამოსილია დასაჯოს ეგრეთ წოდებულ გარიგებულ თამაშებში მონაწილე გუნდები:**

**ა) გარიგებულ მატჩში გამოვლენილ გუნდებს ჩაეთვლებათ დამარცხება 0:3 და დაჯარიმდებიან 10000-10000 ლარით. თითოეულ გუნდს დააკლდება 3-3 ქულა.**

**ბ) საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის წინაშე დააყენებს საკითხს დამნაშავე გუნდის ჩემპიონატიდან მოხსნის შესახებ. საკითხის განხილვისას სადისციპლინო კოლეგია იხელმძღვანელებს მატჩზე მივლინებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის წარმომადგენლების, დელეგატის, მსაჯთა დამკვირვებლის და მსაჯების წერილობითი მოხსენებითი ბარათებით. ჩაწყობილ, გარიგებულ მატჩში განმეორებით მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელების წინაშე დაისმევა საკითხი დამნაშავე გუნდების ჩემპიონატიდან მოხსნის შესახებ.**

აი, ასეა მითითებული ჩემპიონატის რეგლამენტში, მაგრამ, ალბათ, მხოლოდ ხუთი ფეხბურთელის სამაგალითოდ დასჯა ყოფილა ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს შექმნილი იმ მართლაც ხმაურიანი და სკანდალური სიტუაციიდან... ერთადერთი გამოსავალი!

**გია ტუხაშვილი**



# ხუთი კენჭი მოისროლეს, უზნეობა კი გორად დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

1001-ე სევდა



## ბექა ბეროშვილი

# ქართულ კლუბებში თუ არ დარეკეს, არ აგიყვანენ

21 წლის **ბექა ბეროშვილი** გულშემატკივრისთვის უცნობი ფეხბურთელია. მასთან დალაპარაკება იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ ცნობილ უკრაინულ კლუბში თამაშობდა, მაგრამ საქართველოში მისი აყვანა თითქმის არავინ ისურვა და გულისტკივილი გაგვიზიარა. მისი ლაპარაკი შეიძლება განზოგადდეს და გავიგოთ, რა არის ჩვენი კლუბების უბედურება. ბოლოდროინდელი სკანდალური მოვლენების კვალად, ჩვენი ფეხბურთის ბნელი მხარეებიდან არც ეს უნდა იყოს უინტერესო – როგორ (არ) აჰყავთ ფეხბურთელი ქართულ გუნდებში.

ბეროშვილი შარშან ზაფხულში კურიოზული გაუგებრობის გმირი გახდა. აზერბაიჯანულმა გამოცემებმა დაწერეს, თითქოს დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" თადამსხმელი **ბექა გოცირიძე** ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ "ყარაბახში" გადავიდა.

ამან ყველა გააოცა, რადგან ბექა უკრაინულ კლუბში ვარჯიშობდა და აზერბაიჯანში წასვლაზე არც ფიქრობდა, მიუხედავად იმისა, რომ ავტოავარიის შემდეგ "დნიპროს" ძირითადში მოხვედრას ვერ ახერხებდა.

მერე გაირკვა, რომ "ყარაბახში" მართლაც იყო "დნიპროს" დუბლშემადგენლობის ყოფილი ფეხბურთელი სახელად ბექა, ოღონდ **ბეროშვილი**, თუმცა სეზონი დაიწყო და აზერბაიჯანის ჩემპიონატში არ უთამაშია. შემდეგ შევიტყვეთ, რომ ის საქართველოს პირველი ლიგის "ნორჩ დინამოში" თამაშობს.

მარცხენა შემტევი ნახევარმცველი გვიყვება, როგორ მოხვდა უკრაინის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ კლუბში.

*"2009 წელს "დნიპროში" გასინჯვაზე მიმიწვიეს და მთელი თვე მაკვირდებოდნენ. გუნდმა შეკრებაზე წამიყვანა, ამ ხნის განმავლობაში კარგად შემისწავლეს და ერთწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს. მას შემდეგ დუბლებში ვიყავი და დაახლოებით 15-16 თამაში ჩავატარე. მაშინ "დნიპროს" მთავარი მწვრთნელი ოლეგ პროტასოვი იყო, რომელიც ხშირად ძირითად შემადგენლობასთანაც მავარჯიშებდა. როცა ის მოხსნეს, მთავარ მწვრთნელად დანიშნულმა ვლადიმერ ბესონოვმა პირველ გუნდს ჩამომაშორა. მე დუბლებში ვთამაშობდი და ეს გასაგები იქნებოდა, რომ არა ბესონოვის ასეთივე დამოკიდებულება ბექა გოცირიძისა და სანდრო კობახიძის მიმართ. ახლახან კობახიძის ინტერვიუ წავიკითხე, რომელიც კიევის "არსენალში" გადავიდა - არც ვიცი, რატომ არ მათამაშებენო. გული ჩამწყდა, გუნდში ვიყავი და ვიცი, კობახიძე უკრაინელ კონკურენტებს არაფრით ჩამორჩებოდა, მაგრამ მაინც არ ათამაშებენ. ვფიქრობ, ეს ადგილობრივი საკადრო პოლიტიკის შედეგი იყო".*

ბეროშვილი ამბობს, რომ "დნიპროდან" წამოსვლის მიზეზი ტრავმა იყო:*"დნეპროპეტროვსკში 2009 წლის იანვრიდან 2010 წლის ზაფხულამდე ვთამაშობდი. ერთწლიანი კონტრაქტის დამთავრების მიუხედავად, კიდევ ნახევარი წელი დამტოვეს. მაგრამ ახალ ხელშეკრულებას არ მიფორმებდნენ, რადგან კოჭის მყესი დამიზიანდა. ამ დროს აზერბაიჯანში საკმაოდ კარგი კონტრაქტი შემომთავაზეს. ფეხი მორჩენილი არც მქონდა, მაგრამ "ყარაბახის" მწვრთნელს მოვეწონე და ერთწლიან კონტრაქტს მიფორმებდა. სამწუხაროდ, ამ დროს ტრავმა გამიმიზეზდა და წამოსვლა მომიხდა. იგივე დამიდგინეს, რაც ყენიას სჭირს - კოჭის ტრავმა, ოღონდ უფრო მსუბუქი ფორმით. 6 თვე ვმკურნალობდი, მაგრამ ბოლოს საქართველოში დარჩენა მომიხდა. ახლა ფორმის აღდგენას "ნორჩ დინამოში" ვცდილობ. მერე ისევ უცხოეთში შევეცდები წასვლას".*

ბექას თქმით, უკრაინაში ბევრი ქართველი ახალგაზრდა თამაშობს, რადგან მათზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია:*"ქართველები რომ ნიჭიერები არიან, ეს უკრაინაში კარგად იციან და ბევრ ჩვენიანს ამიტომაც იწვევენ. თითქმის ყველა გუნდს დუბლშემადგენლობაში ჩვენიანი ჰყავს. ყველა ამბობს, რომ ნიჭიერები ვართ, მაგრამ რატომღაც ზარმაცებსა და ლოთებს გვიწოდებენ. იცით, ეს რამხელა აბსურდია? ჩემით მაინც არ მენახა, ვინ არის ლოთი და ზარმაცი, ქართველზე მოწესრიგებული ბევრი არ მინახავს. ისინი უპირატესობას უკრაინული პასპორტის მქონე ქართველებს ანიჭებენ. მაგალითად, ბოხაშვილს ქართველს ეძახიან, მაგრამ იქ არის დაბადებული და ქართული არც იცის. ისე, კარგი ფეხბურთელია. თუმცა უკრაინაში ყველაზე მეტად "დნიპროს" დუბლების ფეხბურთელი ლევან არველაძე მომეწონა. ხელს თუ არ შეუშლიან, დიდი ფეხბურთელი გაიზრდება".*

მთავარი ბოლოსთვის შემოვინახეთ: ბეროშვილი ამბობს, რომ ზამთარში ტრავმამოშუშებული უმაღლესი ლიგის კლუბებში მოხვედრას ცდილობდა, მაგრამ უცნაურობებს წააწყდა.

*"ცხადია, თავიდან უმაღლეს ლიგაში მსურდა თამაში, მაგრამ უცნაური დამოკიდებულება შევნიშნე – ერთი შეხვედრის ჩატარებას მთავაზობდნენ და ამის მიხედვით სურდათ გადაწყვეტილების მიღება. უკრაინაში მთელი თვე მაკვირდებოდნენ, შეკრებაზე წამიყვანეს და დეტალურად შემისწავლეს, გაუგებარია, ერთი თამაშით ან ვარჯიშით რა დასკვნა უნდა გააკეთონ. რაც მთავარია, მეუცხოვა თავად დამოკიდებულება, რომელიც მტრულიც კი იყო, თითქოს, შენში კარგის კი არა, ცუდის დანახვა უხარიათ, აგერ, უკრაინაში იყო, მაგრამ ჩვენთან ვერ "გაქაჩაო". მერე იყო შემოთავაზება, გამეფორმებინა 3-წლიანი კონტრაქტი ძალიან დაბალი ხელფასით. ვერ გავიგე, რა უნდათ. მგონია, აქ თუ ვილაცამ არ დარეკა, არც აგიყვანენ. ადამიანურად მხოლოდ "ნორჩი დინამოს" მთავარი მწვრთნელი ვალერი გაგუა შემხვდა. არადა, მას არც ვიცნობდი".*

**მერაბ მამულაშვილი**

U16

# ორი სპარინგი ბაქოში

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ბაქოში გაემგზავრა, სადაც 12 და 14 მაისს აზერბაიჯანელ თანატოლებთან ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებს. ჩვენი გუნდი ამ შეხვედრებისთვის 30 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით ზუგდიდის "ბაიას" ბაზაზე მოემზადა.

**გელა შეყილაძემ** და **ლევან ხომერიკმა** ბაქოში შემდეგი ფეხბურთელები იახლეს: **დავით ბააზოვი** (35-ე სკოლა), **დავით მარიამიძე** („დილა"), **გაგი მარგველაშვილი** („კოლხიდა", ქუთაისი), **ზურაბ გელაშვილი** („ოლიმპი", თბილისი), **ზურაბ მალანია, ბაკურ გაბედავა, გიორგი თევზაძე** (სამივე - „ბაია", ზუგდიდი), **ლუკა წითლიძე** („დინამო", თბილისი), **ამირან პავლიაშვილი** („დილა"), **ზურაბ ჯაფიაშვილი** („ოლიმპიკი", თბილისი), **თენგიზ გოროზია, თორნიკე ტურავა** (ორივე- „ბაია", ზუგდიდი), **ცოტნე მესხი, ლუკა ზარანდია** (ორივე, 35-ე სკოლა), **გიორგი ხარაიშვილი** („საბურთალო", თბილისი), **კოტე ჭაბაშვილი, ოთარ კობახიძე** (ორივე - 35-ე სკოლა), **რომან ჭანტურია** („ლოკომოტივი", თბილისი), **რევაზ ბარამიძე** („ოლიმპი", რუსთავი), **რამაზ კვესეიშვილი** („შუქურა", ქობულეთი).

**ლევან ჯანეზაშვილი**



გელა შეყილაძე

ინფრასტრუქტურა

# ოზურგეთის სტადიონი მერცხალსაც გააფრენსო

ოზურგეთში სტადიონის რეკონსტრუქცია დაიწყო. ოზურგეთის "მერცხალის" დირექტორი და მთავარი მწვრთნელი **ხარიტონ ჩხატარაშვილი** გახარებულია - უფულობისა და უპატრონობის გამო დაჩაჩანაკებული კლუბი და, საერთოდ, რაიონის ფეხბურთი გამოცოცხლდა.

*„როდესაც ოზურგეთის „მერცხალში" მივედით, კლუბის აღორძინების გეგმა შევიმუშავეთ ინფრასტრუქტურის განვითარება უმთავრესი პრიორიტეტი იყო, რადგან მოედნის გარეშე გუნდი ვერ ითამაშებს; საჭირო იყო მწვრთნელთა განათლება, რაც ნიჭიერი ბავშვების გამოვლენისა და გაზრდის წინაპირობაა. საფეხბურთო სკოლის ჩამოყალიბება, კლუბს და ნაკრებებს მომავალი თაობები რომ გავუზარდოთ; სარეზერვო გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც „მერცხალს" ფეხბურთელებით მოამარაგებს; სოფელში არსებული საფეხბურთო სკოლების ჩვენს დაქვემდებარებაში გადმოყვანა და ამით რაიონის რესურსის უკეთ გამოყენება.*



*გეგმა ერთია, მაგრამ თანადგომის გარეშე მისი განხორციელება წარმოუდგენელი იყო. ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ზვიად სიჭინავამ სტადიონების რეკონსტრუქციას დიდი ყურადღება მიაქცია, რადგან ხეირიანი მოედნების დეფიციტი ქართული ფეხბურთის დეგრადაციის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. აღმოჩნდა, რომ ოზურგეთის სტადიონის რეკონსტრუქცია მის გეგმებშიც შედიოდა და სამუშაოების პირველი ეტაპი ფეხბურთის ფედერაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით დაიწყო.*

*აქვე გეტყვით, რომ ორმოც წელზე მეტია, ოზურგეთის სტადიონზე ასეთი მასშტაბური სამუშაოები არ ჩატარებულა. პირველი ეტაპი ხარისხიანი საფრის დაგება იყო. ძველი საფარი აიღეს, ახალი დააგეს და ერთ თვეში საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მინდორი გვექნება. რეკონსტრუქციის შემდეგი ეტაპი ტრიბუნების მოდერნიზაცია და ახალი ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება იქნება - სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება მომავალი სეზონისთვის იგეგმება. საბოლოოდ გვსურს, რომ ოზურგეთში ევროპული დონის სტადიონი აშენდეს.*

*ცხადია, ეს ყველაფერი ფეხბურთის განვითარებისთვის გვინდა და „მერცხალსაც" წაადგება. ამის ლოგიკური გაგრძელება ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება იქნება. სამომავლოდ ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ უეფას ლიცენზირების მოთხოვნები, უმაღლესში თამაშის უფლება რომ მივიღოთ. ამის პრეტენზია კი ნამდვილად გვაქვს"* - გვითხრა ჩხატარაშვილმა.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფინალის წინ

# ფერგიუსონი: შეტევა, შეტევა!

სერ **ალექს ფერგიუსონმა** ჩემპიონთა ლიგის მომავალ ფინალზე ილაპარაკა. როგორ უნდა აჯობოს მისმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ბარსელონას“? როგორ უნდა ითამაშოს იმ გუნდის წინააღმდეგ, რომელსაც მსოფლიოში საუკეთესოს უწოდებენ? შოტლანდიელის გეგმა ასეთი ყოფილა: მხოლოდ შეტევა!

კარგა ხანია სერ ალექსი უსმენს, როგორ აჰყავთ ცაში მეტოქე და როგორ უწინასწარმეტყველებენ მის გუნდს კრახს. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონა“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ 28 მაისს „უემბლიზე“ ხვდებიან ერთმანეთს.

ფერგიმ თქვა: *„ჩვენ გვყავს ფეხბურთელები, რომელთაც ნებისმიერი გუნდის შეწუხება შეუძლიათ. დღეს ყველას ჰგონია, რომ „ბარსა“ შემოგვიტევს და „იუნაიტედი“ დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, მე კი იმედი მაქვს, რომ პირიქით მოხდება: ჩემი თავდამსხმელები დააყენებენ მოწინააღმდეგეს სირთულეების წინაშე. ბავშვისთვისაც ნათელია, რომ „ბარსელონა“ დიდი გუნდია, მაგრამ... „მანჩესტერ იუნაიტედი“ ფინალშია.*

*ახლა მოდაშია იმის ლაპარაკი, რომ დღევანდელი „იუნაიტედი“ ისეთი ვერ არის, ადრე რომ იყო. ეს მცდარი შეხედულებაა. ჩვენ სხვა გუნდებზე მეტი გოლი გავიტანეთ. პრემიერლიგაში დიდებულად ვთამაშობთ, ხოლო ევროპაში დაუმარცხებლები ვართ. თუ გნებავთ, შედეგებს გადახედეთ: ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავედით, ინგლისის ჩემპიონატში კი ტიტულს ერთი ქულაღა გვაშორებს.*

*მე მწვრთნელი ვარ და თავს არასდროს ვიტყუებ. როდესაც ჩემი გუნდის თამაშის შემყურე საკუთარ თავს ვეკითხები, ვარ თუ არა კმაყოფილი, პასუხს გულწრფელად ვამბობ“.*

ალექს ფერგიუსონს „ბარსელონასთან“ პირადი ანგარიში აქვს — „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კატალონიელებთან 2009 წელს სწორედ ჩემპიონთა ლიგის ფინალში წააგო. ფერგიმ კარგად იცის, რომ მის ბიჭებს **ანდრეს ინიესტას, ჩავის** და **ლიონელ მესის** წინააღმდეგ მოუწევთ თამაში.

*„იმ ფინალში, თავიდან, კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე დასანანი გოლი გავუშვით... ჩვენი მთავარი ამოცანა, ამჯერადაც ჩავი-მესი-ინიესტას პრობლემის გადაჭრაა. ეს სერიოზული სირთულეა, რადგან ისინი დიდებული ფეხბურთელები არიან“.*

ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს ფერგიუსონმა „ბარსელონას“ გარდა „ჩელსიზე“ და მის იტალიელ თავკაც **კარლო ანჩელოტიზეც** ილაპარაკა. მოგეხსენებათ, კვირას, „ოლდ ტრეფორდზე“, „იუნაიტედმა“ დასავლეთლონდონელებს 2:1 მოუგო და ჩემპიონობა ფაქტობრივად გაინაღდა. ამან გააძლიერა მითქმა-მოთქმა, რომ „ლურჯები“ ანჩელოტის აუცილებლად გაუშვებენ თანამდებობიდან.

*„ანჩელოტის გაშვება კი არ გამიკვირდება, დამზაფრავს — თქვა შოტლანდიელმა — საფეხბურთო ბიზნესი ხანდახან მაგიჟებს. ანჩელოტი არის კაცი, რომელმაც ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი. შარშან, ინგლისში, ჩემპიონიც გახდა და ფეხბურთის ასოციაციის თასზეც გაიმარჯვა... როგორ შეიძლება ასეთი ადამიანის კვალიფიკაციის ეჭვქვეშ დაყენება და მის გაშვებაზე ლაპარაკი?“*



ალექს ფერგიუსონი

● ლივერპული

# ყველაზე მთავარი მატჩი

„ლივერპულის“ მწვრთნელი **კენი დალგლიში** ამბობს, რომ მისმა ფეხბურთელებმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ პატივი უნდა სცენ — მხოლოდ ასე შეიძლება ინგლისის ყველაზე ტიტულიანი კლუბის სახელის დაბრუნება. „იუნაიტედს“ პრემიერლიგის ჩემპიონობამდე ერთი ქულაღა აკლია. თუ სერ **ალექს ფერგიუსონის** ბიჭები ამ ქულას მოიპოვებენ (ან თუ „ჩელსი“ ვერ გაიმარჯვებს „ნიუკასლ იუნაიტედთან“) „იუნაიტედი“ ინგლისის 19-გზის ჩემპიონი გახდება და „ლივერპულს“ ყველა დროის უძლიერესის სახელს ჩამოართმევს. მერსისაიდელთა შოტლანდიელმა თავკაცმა და ლეგენდამ მანჩესტერელთა თანამემამულე მწვრთნელი და მისი გუნდი შეაქო:

*„ყოველთვის, ყველაზე ძლიერია გუნდი, რომელიც ჩემპიონი ხდება. რასაკვირველია, გამონაკლისი არც „მანჩესტერ იუნაიტედია“. ის, მართალია, ჩვენი მეტოქე და კონკურენტია, მაგრამ იმის თქმა, რომ ჩემპიონი დამსახურებულად არ ხდება, არაფრით შეიძლება. დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი“ იმ დონის ფეხბურთს თამაშობს, რომელსაც ჩვენ უნდა მივაღწიოთ თუ გვინდა, რომ კვლავ უმაღლესი შედეგები გვქონდეს“.*

მერსისაიდელებმა, ორშაბათს, „ფულჰემი“ გაანადგურეს — 5:2. არგენტინელმა **მაქსი როდრიგესმა** ჰეთ-თრიკი შეასრულა. ასეთი წარმატების მიუხედავად დალგლიშმა თავი შეიკავა იმაზე ლაპარაკისგან თუ რომელ ადგილს დაიკავებს საბოლოოდ მისი გუნდი. შემდეგ ტურში „ლივერპული“ „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ მასპინძლობს.

*„რომელ ადგილზე გავალთ, ვერ გეტყვით. ორი ტურიც დავიცადოთ და ვნახავთ. ვიცი, რომ ასეთი პასუხი ცუდი მოსასმენია და თან, როდესაც მას ხშირად იმეორებენ, ადამიანს მოსმენა გბეზრდება, მაგრამ ჩვენ, ასეთმა დამოკიდებულებამ წლების განმავლობაში წარმატება მოგვიტანა.*

*ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში ყოველთვის შემდეგი თამაშია. „ლივერპულის“ მიზანი ყოველი კონკრეტული შეხვედრის მოგებაა და ბოლოს, ქულების დაჯამება გამოაჩენს რამდენი მოგვიგროვებია და სად ვართ. აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ „კრეივენ კოტეჯზე“ 5:2-ს მოვიგებდით? მე ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი“.*

შეგახსენებთ, რომ დალგლიში „ლივერპულს“ იანვარში ჩაუდგა სათავეში. მაშინ, „წითლები“ ცხრილის ქვედა ნახევარში ფართხალებდნენ. „კოპის მეფე კენიმ“ თქვა:

*„ვინ იფიქრებდა, რომ „ლივერპულის“ ბიჭები იანვრის შემდეგ ასეთ შედეგებს მიაყოლებდნენ ერთმანეთს. ეს დაუჯერებელია. მეხუთე ადგილი რომც ვერ მოვიპოვოთ, ბიჭები მაინც ქების ღირსნი არიან. გულწრფელად მოგახსენებთ, ჩემთვის ცხრილში დაკავებული ადგილი იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო, რამდენადაც ის, რომ ფეხბურთელები გამოფხიზლდნენ და რთულ მდგომარეობას ღირსეულად დააღწიეს თავი“.*

● ჩელსი

# დიდსულოვანი ტერის მუქარა



ჯონ ტერი

ჯერ ეს ჩემპიონატი არ დასრულებულა, მაგრამ „ჩელსის“ კაპიტანი, **ჯონ ტერი**, „მანჩესტერ იუნაიტედს“ უკვე სამომავლოდ ემუქრება. შეგახსენებთ, რომ კვირას „იუნაიტედმა“ „ლურჯებს“ 2:1 მოუგო და სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ექვსქულიანი უპირატესობა მოიპოვა. შეხვედრა რომ დამთავრდა ტერიმ მანჩესტერელთა თავკაც **ალექს ფერგიუსონს** გამარჯვება მიულოცა, თუმცა უკვე კბილების ლესვასაც შეუდგა.

*„მანჩესტერელებს წარმატებებს ვუსურვებ. ადამიანს წაგებაც დიდსულოვნად უნდა შეეძლოს. კარგად ვიცი რამხელა სიხარულია დიდ შეჯიბრებაში გამარჯვება. ერთი წლის წინ, როდესაც ჩვენ გავხდით ჩემპიონები, ფერგიუსონი მოვიდა და მოგვილოცა. ეს ძალიან სასიამოვნო იყო. ის და მისი გუნდი მთელ მსოფლიოში უყვართ. „მანჩესტერ იუნაიტედს“ ყველგან პატივს სცემენ. სხვა საქმეა, რომ ჩვენც ძალიან კარგად ვითამაშეთ და შეიძლებოდა წარმატება კვლავ ჩვენთვის მოელოცათ. რა გაეწყობა, ახლა გაისისთვის უნდა მოვემზადოთ. „იუნაიტედს“ შემდეგ სეზონში აუცილებლად უნდა ვაჯობოთ“.*

შემდეგ ტერის შეახსენეს, რომ ბევრის აზრით, მას მერე, რაც „ჩელსი“ **რომან აბრამოვიჩმა** იყიდა, გუნდს ასეთი ცუდი სეზონი არ ჰქონია. თავის მხრივ, სტატისტიკაც მეტყველებს, რომ მიჯრით ამდენი წაგება და ფრე, 2010 წლის მიწურულს რომ ჰქონდათ, „ლურჯებს“ მთელი 15 წლის განმავლობაში არ ჰქონიათ. დასავლეთლონდონელთა კაპიტანმა თქვა:

*„სამწუხაროდ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ საუკეთესო ფორმაში მაშინ შევიდა, როდესაც ჩვენ ყველაზე მძიმე პერიოდი დაგვეწყო. „იუნაიტედმა“ სწორედ მაშინ გადაგვასწრო და დიდი უპირატესობაც მოიპოვა. ამის მიუხედავად ჩვენი მწვრთნელების, ფეხბურთელების და ბრწყინვალე ფანების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ორი თვის წინ ჩვენი შემხედვარე ვერავინ იტყოდა, რომ ტიტულისთვის ბრძოლაში ჩავებმებოდით. მეტიც, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილიც კი შეიძლებოდა დაგვეკარგა. მაგრამ, როგორც ნახეთ, თავი ხელში ავიყვანეთ, შედეგები გავაუმჯობესეთ და საქმე კვირის გადამწყვეტ თამაშამდეც კი მივიყვანეთ“.*

„ლურჯები“ მართლაც შეუდგნენ მომავალი სეზონისთვის მზადებას. კერძოდ, მათ ყველასთვის საყვარელ იტალიელს, **ჯანფრანკო ძოლას** სთხოვეს კლუბში დაბრუნება. „სტემფორდ ბრიჯზე“ 44 წლის ყოფილი ვარსკვლავი და სპეციალისტი, რომელსაც „ვესტ ჰემიდან“ წასვლის შემდეგ, დაახლოებით ერთი წელიწადია არსად უმუშავია, ნოემბერში გაშვებული მწვრთნელის, **რეი უილკინსის** ნაცვლად უნდათ. ვარაუდობენ, რომ ძოლა „ლურჯებს“ სატყუარადაც გამოადგებათ — 64 წლის ჰოლანდიელ **გუს ჰიდინკს** მასთან თანამშრომლობა მოუნდება და აბრამოვიჩის წინადადებას დაჰყაბულდება. ჰიდინკს „ჩელსიში“ მუშაობის გამოცდილება აქვს, 2009 წელს ცოტა ხნით ედგა „ლურჯებს“ სათავეში. დღეს ის თურქეთის ნაკრების მწვრთნელია და ამბობს, რომ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე სამსახურს თავს არ დაანებებს. ჰიდინკი ამაყობს, რომ ხელშეკრულება ცხოვრებაში არ დაურღვევია.

ჯანფრანკო ძოლას „ჩელსის“ შემადგენლობაში 300 თამაშზე მეტი აქვს ჩატარებული. 2003 წელს, მან, „ლურჯების“ ქომაგთა გამოკითხვაში გაიმარჯვა, როგორც გუნდის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელმა. ამბობენ, რომ ძოლას დაბრუნება ძალიან გაუხარდებათ ფეხბურთელებსაც, რომელთაც ახლანდელი მწვრთნელები, **მაიკლ ემილიანო** და **პოლ კლემენტი** თვალში არ მოსდით.

● ტრადიცია

# ვინ შეხედავს თასის ფინალს?

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** გულისწყრომა გამოთქვა: შაბათს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალი, შესაძლოა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჩემპიონობამ დაჩრდილოს. დავაზუსტოთ: „იუნაიტედი“ ბლექბერნში საქართველოს დროით 15 საათსა და 45 წუთზე თამაშობს, თასის ფინალი კი, „უემბლიზე“, 18 საათზე იწყება. მოგეხსენებათ, მანჩესტერელებს ჩემპიონის ტიტულამდე ერთი ქულაღა აკლიათ. გამოდის, რომ თუ „იუნაიტედი“ ფრედ ითამაშებს, მისი საჩემპიონო ზეიმი უშუალოდ ფინალის წინ დაიწყება და ემოციურად გადაფარავს მას. რედნაპს ხმა სხვა ვეტერანებმაც შეუერთეს, მათ, ვისაც სხვადასხვა დროს მოუგია ფეხბურთის ასოციაციის თასი. ეს ადამიანები ამბობენ, რომ ფინალის დანიშვნა იმ დღეს როდესაც ქვეყანაში პრემიერლიგის ოთხი შეხვედრა ტარდება, არაფრით შეიძლებოდა.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ მე-19 ტიტულის მოგების წინაშე დგას, „მანჩესტერ სიტი“ კი, იმავე დღეს, „უემბლიზე“ აპირებს იმას, რაც ათწლეულებია არ გაუკეთებია — ტიტული უნდა მოიგოს. ისტლენდელთა მოწინააღმდეგე „სტოკ სიტია“.

რედნაპი, რომელმაც ასოციაციის თასი ორი წლის წინ „პორტსმუთს“ მოაგებინა, ამბობს: *„ძალიან სამწუხარო რამ ხდება ჩვენს თავს. ჩემს ახალგაზრდობაში თასის ფინალი სეზონის მთავარ მოვლენად ითვლებოდა. ეს დღე წლის კულმინაცია იყო. ქუჩებში კაციშვილს ვერ ნახავდით. ყველა შინ, ტელევიზორთან იჯდა და ფეხბურთს უყურებდა. წარმოიდგინეთ მოვლენა, რომელიც მთელ ქვეყანას ტელევიზორთან მიაჯაჭვავს... დღეს ასე აღარ არის“.*

„სტოკ სიტი“ 148-წლიანი ისტორიის მქონე გუნდია, რომელსაც ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთი ჯილდო აქვს მოპოვებული - 39 წლის წინ ლიგის თასი მოიგო. დღეს ამ თასს „ქარლინგი“ სპონსორობს და „ქარლინგის თასსაც“ ეძახიან.

ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა მნიშვნელობის დღეა შაბათი სტოკელთათვის? ანდა, იმავე „სიტისთვის“, რომელმაც ბოლოს 1976 წელს აღმართა იმავე ლიგის თასი? მაგრამ, ამჯერად, ფანები, რომლებიც ჩვეულებრივ, ფინალის დღეს, თავიანთ გუნდებს სასტუმროებიდან სტადიონამდე მიაცილებენ და მერე იქ, ფეხბურთელების „უემბლიზე“ შესვლის რიტუალს ესწრებიან, შესაძლოა ტელევიზორებთან დარჩნენ და უყურონ, რას შვრება სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდი. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ზუსტად იმავე დროს, პრემიერლიგაში კიდევ სამი მატჩი გაიმართება. ბუნებრივია, ხალხის გარკვეული ნაწილის ყურადღება ნებისმიერმა მათგანმა შეიძლება მიიპყროს.

ინგლისური გაზეთები წერენ, რომ ამ საუკუნეში, ფეხბურთის ასოციაციის თასს რამდენიმე სერიოზული დარტყმა მიაყენეს, ისეთი, როგორიც მე-20 ასწლეულში ამ ისტორიული შეჯიბრებისთვის არავის უკადრებია. პირველად ეს 2000 წელს მოხდა, როდესაც ბრაზილიაში ფიფამ მსოფლიოს კლუბთა ჩემპიონატი ჩაატარა და „მანჩესტერ იუნაიტედი“ იძულებული გახდა „უემბლის“ ნაცვლად ოკეანის გადაღმა წასულიყო.

„ტოტენჰემის“ თავკაცის აზრით, „სტოკის“ მწვრთნელმა **ტონი პულისმაც** გაიზიარა. მან ბრძანა:

*„მე სამოციან წლებში გავიზარდე. იმხანად ტელევიზორში პირდაპირი ტრანსლაციები იშვიათობა გახლდათ. ფეხბურთის ასოციაციის თასის შეხვედრებს გადასცემდნენ ხოლმე და მათ ინგლისის საფეხბურთო ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავათ. მე ინგლისელი არ ვარ, უელსელი გახლავართ, მაგრამ ეს თამაშები ჩემთვის და ჩემი ოჯახის თითოეული წევრისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო“.*

მოგეხსენებათ, ტრადიციულად, ინგლისელები თასის ფინალს სეზონის ბოლო დღეს ატარებენ ხოლმე, მაგრამ ამჯერად, ტრადიციის შენარჩუნებას 28 მაისმა შეუშალა ხელი: ამ დღეს კი „უემბლი“ დაკავებულია — ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსელონა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ხვდება, უეფას წესების თანახმად კი იმ სარბიელზე, სადაც ფინალი უნდა გაიმართოს, ორი კვირის განმავლობაში ბურთის გაგორება არ შეიძლება.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



უემბლი

## უცხოური ფეხბურთი

● აიაქსი

# მომდევნო კვირას ამსტერდამ არენაზე...



15 მაისს ამსტერდამ არენაზე ჰოლანდიის ჩემპიონის ბედი გაირკვევა

"აიაქსმა" ჰოლანდიის თასი მე-19-ედ ვერ მოიგო და ამსტერდამელთა ბანაკში ამ ფაქტმა ყველა ძალიან დაამწუხრა. თუმცა ამით ყველაფერი არ მთავრდება. ახლა მთელი კლუბის ყურადღება საოცნებო მესამე ვარსკვლავის ხელში ჩაგდებისკენ არის მიმართული, რაც 30-ე საჩემპიონო ტიტულის აღმნიშვნელი იქნება. შეგახსენებთ, რომ "აიაქსი" ბოლოს ერედივიზიეს ჩემპიონი შორეულ 2004 წელს გახდა. ყველას მხოლოდ ერთი რამ აკერია პირზე: შემდეგ კვირაში... ამსტერდამელთა ახალი თაობის ვარსკვლავები **კრისტიან ერიკსენი** (19 წლის), **იან ფერტონგენი** (24) და **კენეტ ვერმეერი** (26) 15 მაისის მატჩს დიდი იმედებით ელოდებიან.

"მომდევნო კვირას" – ეს ფრაზა ყველაზე ხშირად "ტვენტესთან" კვირას წაგებული თამაშის შემდეგ შეიძლებოდა მოგესმინათ. ორშაბათიდან კი ფეხბურთელები ალბათ უკვე "ამ კვირასო", იტყვიან. აღნიშნული თემა რომ ზეაქტუალურია და მასზე ყველა აიაქსელი თანაბარად მოუთმენლად ლაპარაკობს, ეჭვი არ შეგეპაროთ. და არამარტო დედაქალაქი, დიახ, მთელი ჰოლანდიური საფეხბურთო სამყარო ამ ერთ შეხვედრაზე ლაპარაკობს – 15 მაისს, 34-ე ტურის მატჩში "აიაქსი" "ამსტერდამ არენაზე" სწორედ "ტვენტეს" შეხვდება.

მაგალითად, კრისტიან ერიკსენი არ მალავს გულისტკივილს თასის ფინალში დამარცხების გამო და რევანშზე ხმამაღლა ლაპარაკობს. ჟურნალისტის შეკითხვაზე, რისი დახსომება მართებდათ მის თანაგუნდელებს კვირის მატჩიდან, კრისტიანმა დაუფიქრელად უპასუხა - "არაფრის". *"რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ თასი ვერ მოვიგეთ, რადგან პირველი ტაიმი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩავატარეთ. იმდენი მომენტი გვქონდა, რომ შესვენებამდე შეხვედრის ბედის გადაწყვეტა ნამდვილად შეგვეძლო,* - თქვა დანიელმა შემტევმა ნახევარმცველმა. - *ნამდვილად ვერაფერს ვხედავ დადებითს, რაც ამ მატჩიდან დამამახსოვრდა. ორი გოლი გავიტანეთ, თავი ღირსეულად გვეჭირა მეორე ტაიმშიც, იმაზე უფრო მეტი ენერგია დავხარჯეთ, ვიდრე "ტვენტეს" ფეხბურთელებმა - ეს იმის ნიშანია, რომ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩისთვის, რომელიც კვირას შედგება, ჩვენ მზად ვართ".* "აიაქსის" კიდევ ერთმა 19 წლის დანიელმა ლეგიონერმა **ნიკოლაი ბოილესენმა** ჟურნალისტებთან აღშფოთებულმა ილაპარაკა თავისი არცთუ სრულყოფილი ჰოლანდიურით, რამაც საკმაოდ უხერხული სიტუაცია შექმნა. თანამემამულის "ცოდვების" გამოსწორება ისევ ერიკსენს მოუხდა: *"ახლა ჩვენ ძალიან გაბრაზებულები ვართ და ვხვდებით, რომ რეაბილიტაცია აუცილებლად გვჭირდება. მგონი არც ისე ცუდია, როცა უარყოფითი ემოციებისგან უცბად დაიცლები. ორშაბათიდან მთელ ყურადღებას მომდევნო თამაშზე გადავიტანთ, ისე კი ვეცდებით, რომ კარგად დავფიქრდეთ და ყველაფერი უახლოეს საათებში გავაანალიზოთ.*

*მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს გულშემატკივარს, ვინც დღეს 90 წუთი გვერდით გვედგა და გვამხნევებდა მატჩის დასრულების შემდეგაც. თუკი "ამსტერდამ არენას" ისინი მომდევნო კვირას პირთამდე შეავსებენ, კიდევ უფრო მეტად დაგვეხმარებიან. აუცილებელია, რომ ტრიბუნები მათი შეძახილებით ინგრეოდეს. ჩვენი მხრიდან კი პირობას ვდებთ, მათ დადებითი ემოციების დიდ დოზას ვაჩუქებთ".*

კენეტ ვერმეერი ის ფეხბურთელია, ვისი იმედიანი განწყობაც თანაგუნდელებს ყოველთვის ბევრ რამეში ეხმარება. ის ახლაც არ კარგავს ოპტიმიზმს: *"ტვენტესთან" თასის წაგება უკვე ისტორიაა. რაღაცა დოზით ჩვენთვის წაგება შეიძლება დადებით გამოცდილებადაც მივიჩნიოთ და უარყოფითადაც. ზოგადად მოვლენებს ოპტიმისტური კუთხიდან უნდა შევხედოთ. ხომ ნახეთ, მატჩის დიდი ნაწილი ვლიდერობდით და საერთოდაც, საკმაოდ კარგად ვითამაშეთ. ახლა ერთადერთი რამ დაგვრჩენია, გავიაზროთ, რომ ჩვენ ერთიანი ძალა ვართ. მომდევნო კვირას "ტვენტესთან" დაპირისპირებაში ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ უნდა დავასრულოთ".*

ერიკსენისგან განსხვავებით იან ფერტონგენმა უკვე მატჩის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში სცადა წაგების მიზეზების გაანალიზება. ბელგიელმა აღიარა, რომ მეტოქეს უკეთესი დაცვა ჰყავს და ყურადღებაც სწორედ ამაზე გაამახვილა: *"ტვენტესთან" ჩემპიონატის შეხვედრაში საკუთარი კარის უსაფრთხოების მიზნით უფრო მეტი ყურადღებით ყოფნა გვმართებს. რა თქმა უნდა, ასეთ სტილში გარჯა ჩვენთვის დამღლელი იქნება, მაგრამ უეჭველად მოგვიწევს იმის გათვალისწინება, რომ ენსხედელებს კარგად ეხერხებათ შეტევაში თამაში. ისინი განსაკუთრებით ძლიერები არიან საჰაერო ორთაბრძოლებში. აუცილებელია ძალების მაქსიმალური მობილიზება, რათა ჩვენი უკანა ხაზი მათ შეტევებს გაუმკლავდეს. იცით რა? ერთ კვირაში ჩვენ ვერ გავხდებით სიმაღლეში 10 სმ-ით მაღლები და შესაბამისად, სასურველი შედეგის მისაღებად ეს სასიცოცხლო კომპონენტი იქნება. კარგი იქნება, თუკი გვეცოდინება ჩვენი სუსტი წერტილების შესახებ და ვიმუშავებთ მათ გამოსასწორებლად. მომდევნო კვირას "ამსტერდამ არენაზე" ასეთი ლაფსუსები აღარ უნდა დავუშვათ".*

● სკანდალის დასასრული

# ბლანი მოხსნას გადაურჩა



შანტალ ჟუანო

საფრანგეთში ორიოდე კვირის წინ აგორებული საფეხბურთო სკანდალის შესახებ ჩვენი გაზეთი რეგულარულად წერდა. ბუნებრივი იყო, რომ საქმის დაწვრილებით შესასწავლად სპეციალურად შექმნილ კომისიას 2-3 დღე არ ეყოფოდა. სწორედ ამიტომ მას ვადა დასკვნის წარმოსადგენად 10 მაისამდე მიეცა. გუშინ დილას კომისიის პატივცემული წევრები საფრანგეთის სპორტის მინისტრ **შანტალ ჟუანოსა** და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **სტეფან დიუშოსუას** წარუდგნენ და ყველაფერი მოახსენეს. რამდენიმე საათში კი დასკვნას პრესაც გაეცნო, ვინც უმალ აქტიურად დაიწყო მისი შეფასება.

აღსანიშნავია, რომ მუსიე ბლანი მინისტრთან და ფედერაციის პრეზიდენტთან გუშინ ხელახლა დაიბარეს და კიდევ ერთხელ მიაცემინეს ახსნა-განმარტება. პრესა რამდენიმე დღის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა ბლანს. ჟურნალისტები დაუდასტურებელ ინფორმაციას ეყრდნობოდნენ და წერდნენ, რომ "სამფეროვანთა" თავკაცი 3-4 დღის განმავლობაში იტალიის ჩრდილოეთში მყუდრო სასტუმროში იყო დაბინავებული. თუმცა კონკრეტულად სად, ეს ვერავინ დააზუსტა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ქალბატონმა მინისტრმა სპეციალური განცხადება გააკეთა: *"არ არსებობს არც ერთი სამართლებრივი საფუძველი, რათა ლორან ბლანის წინააღმდეგ საქმე აღიძრას. კვალიფიციური იურისტების დასკვნით, მისი საქციელი არ მოიცავს საფრანგეთის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის დარღვევას. რაც შეეხება არასამართლებრივ მხარეს, მე ჩემს ძველ აზრზე ვრჩები და ვამბობ, რომ ის ფრაზები, მიუხედავად მაშინდელი შეხვედრის კონტექსტისა, რაც მან ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გამოიყენა, სრულიად მიუღებელია და რასიზმისგან არც ისე შორს დგას".*

როგორც ჩანს, სკანდალის გამოძიებას ამით წერტილი დაესმება. ხოლო რამდენად დაეთანხმება ამ ყოველივეს საზოგადოება, უახლოეს მომავალში ვნახავთ. შავკანიანმა ფრანგმა ფეხბურთელებმა (რა თქმა უნდა, არა ყველამ) ხომ ბლანის წინააღმდეგ ერთობ ხმამაღალი განცხადებები გააკეთეს. სხვათა შორის, დასკვნის გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე ლორან ბლანს მოულოდნელად სრული მხარდაჭერა აღუთქვა თვით **ზინედინ ზიდანმაც**.

სკანდალის კიდევ ერთი მონაწილის, ფედერაციის ტექნიკური დირექტორის **ფრანსუა ბლაკარის** ბედი ჯერჯერობით არ გარკვეულა. შეგახსენებთ, რომ გამოძიების დასრულებამდე ჩინოვნიკს უფლებამოსილება შეჩერებული ჰქონდა.

● ამბები

## პსჟ ყატარელების ხელში გადავა

საინვესტიციო ფონდი "კატარ ინვესტმენტ აუტორიტი" ახლოს არის "პარი სენ-ჟერმენის" მფლობელ "კოლონი კეპიტალთან" კონტრაქტის გაფორმებასთან, - გვამცნობს "ეკიპი". აზიელები კლუბის შესაძენად 50 მილიონ ევროს გამოყოფენ, გადაიხდიან პარიზელთა მცირეოდენ ვალებს და ამას გარდა, 150 მილიონ ევროს გამოყოფენ უახლოესი 3 წლის განმავლობაში კლუბის გასაძლიერებლად, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ეს თანხა მარტო ახალი ფეხბურთელების შესაძენად დაიხარჯება. პირველ ეტაპზე გეგმა არ ითვალისწინებს სტრუქტურულ და საკადრო ცვლილებებს. ანუ **ანტუან კომბუარე** მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დარჩება. ყატარელებს ერთი ამბიციური გეგმაც აქვთ, სურთ, გუნდის საშინაო არენად "სტად დე ფრანსი" აქციონ. ამისთვის მათ დამატებით 100 მილიონის დახარჯვა შეუძლიათ.

ფინანსური ექსპერტების გათვლებით, მიუხედავად იმისა, რომელ ადგილზე დაასრულებს "პარი სენ-ჟერმენი" სეზონს, მინიმალური ზარალი, რომელსაც "კოლონი კეპიტალი" უნდა ელოდოს, 20 მილიონ ევრომდე იქნება.

## დეშამი: აცალეთ ბლანს მუშაობა

მარსელის "ოლიმპიკის" მთავარი მწვრთნელი **დიდიე დეშამი** შუადღეზე გამოეხმაურა გუშინ დილას გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციას, სადაც ბოლო პერიოდში აგორებულ სკანდალთან დაკავშირებით სპეციალური კომისიის დასკვნა გამოაქვეყნეს. **ლორან ბლანის** მიმართ არსებული ეჭვები არ დადასტურდა და ის თანამდებობაზე დარჩება. ამის მიუხედავად, მთავარ მწვრთნელზე ზეწოლა უზარმაზარია და სწორედ ეს აღნიშნა ავტორიტეტულმა სპეციალისტმა. *"როცა ვიღაცა დაჟინებით ცდილობს შენი ყურადღება რაღაც მეორეხარისხოვანს მიაპყროს, როგორც წესი, ამ დროს მას უნდა ხოლმე, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიდან შენი ყურადღება გადატანოს. დიახ, როცა ყოველ წუთას თავში გიტენიან ინფორმაციას, მას უნდა მოერიდოთ და დაფიქრდეთ, ვის სჭირდება, რომ თქვენ ეს დაიჯეროთ. ბლანთან დაკავშირებითაც რაღაც ამდაგვარი ხდება და სწორედ ამიტომ ვარ მე ბოლომდე მის გვერდით. მიეცით საშუალება მშვიდად იმუშაოს და გამოიყვანოს ეროვნული ნაკრები ღრმა ჩიხიდან,"* – განუცხადა დეშამმა "გლობალ სპორტსს".

## 40 პროცენტი უკვე გაიყიდა

2012 წლის ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის დირექტორის **მარკიან ლუბკივსკის** ცნობით, ჩემპიონატზე დასასწრები ბილეთების 40% უკვე გაყიდულია. სულ თავისუფალ გაყიდვაში 1 400 ათასი ბილეთი გამოვა, ბოლო მონაცემებით კი განაცხადი მათზე 12 მილიონს აჭარბებდა. უეფა ოფიციალურად ადასტურებს, რომ სურვილი ბილეთის შესაძენად 206 ქვეყნის მოქალაქეებმა გამოთქვეს. შესაბამისად, უხეში გაანგარიშებით 10-დან 9 მსურველი სტადიონს მიღმა დარჩება. ოფიციალური სტატისტიკით, გაყიდული ბილეთების 80 პროცენტი უკრაინელებმა და პოლონელებმა შეიძინეს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი მომავალ ევროპირველობასთან დაკავშირებით: ჩემპიონატის საიტის ცნობით, კიევში 2011 წლის 2 დეკემბერს უეფა და მისი ოფიციალური პარტნიორი "ადიდასი" შეჯიბრების ოფიციალურ ბურთს წარადგენენ. იქვე ვკითხულობთ, რომ ბურთზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A XXXVI ტურის შეჯამება

# მილანი ემოციებში ჩაიძირა

## უდინეზე ოთხეულში, ბრეშა კი ქვემოთ

XXXVI ტურის მთავარი სათქმელი ის გახლავთ, რომ „მილანი“ იტალიის ჩემპიონია. ეს ტურის, უფრო სწორად ჩემპიონატის, მთავარი მოვლენაა და ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ. აქ კი მხოლოდ იმას გავუსვათ ხაზი, რომ მიუხედავად საზეიმო დღეებისა, „როსონერის“ მესვეურები არ წყვეტენ მუშაობას და ბოლო ინფორმაციით, ორი ტრანსფერი აქედანვე გაჩარხეს. როგორც **მასიმილიანო ალეგრიმ** განაცხადა, გუნდს შეტევითი ხაზის გაძლიერება არ სჭირდება და აქცენტი მცველების დამატებაზე გაკეთდება - ესეც შედეგი, მომდევნო სეზონიდან „მილანის“ ამუნიციას **ტაიე ტაოვო** და **ფილიპ მექსე** მოირგებენ. ორივე მცველია, პირველი მარცხენა ფრთაზე თამაშობს, მეორე კი მოგეხსენებათ, ძირითადად ცენტრში - „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, ფეხბურთელები თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდებიან იტალიის მოქმედ ჩემპიონს.

სანამ ტურის სიმბოლურ ნაკრებზე გადავიდოდეთ, „იუვენტუსის“ მორიგი „გმირობის“ შესახებ უნდა ვთქვათ. ბოლო დროს, „ბიანკონერი“ თითქოს გამოცოცხლდა, მნიშვნელოვანი ქულები აკრიფა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლასაც დაუბრუნდა, თუმცა „კიევოსთან“ მატჩმა ყველაფერი წყალში ჩაყარა. უკვე მერამდენედ ხდება, რომ „იუვე“ მოგებულ შეხვედრაში კარგავს ქულებს და თანაც, ასე საჭიროს. თამაში მართლაც რომ დრამატული გამოვიდა, პირველ ტაიმში **ალესანდრო დელ პიერომ** დაარტყა ზუსტად პენალტი და დააწინაურა თანაგუნდელები, მეორე ნახევრის სტარტზე კი **ალესანდრო მატრიმაც** გაიტანა გოლი და თითქოს გადაწყდა კიდეც მატჩის ბედი. თუმცა, ყველასათვის მოულოდნელად, ვერონელები დიდი ძალებით გადავიდნენ შეტევაზე და ერთ წუთში ორბურთიანი ჩამორჩენის აღფოხვრა მოახერხეს. გოლების აღწერით აღარ შეგაწყენთ თავს, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ „იუვეს“ დაცვაში ტრადიციულმა პანიკამ და ქაოსმა დაისადგურა. დარჩენილ დროში ორივე კართან შეიქმნა სახიფათო მომენტები, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა - „იუვე“ ლიგის მილმა რჩება.

**იუვენტუსი–კიევო 2:2**

**იუვენტუსი (4-4-2):** ბუფონი - მოტა, ბარძალი, კიელინი, გროსო - აკვილანი, პეპე, მარკიზიო, კრასიჩი (80. ტონი) - დელ პიერო, მატრი.

**კიევო (4-4-2):** სორენტინო - ცეზარი, მანტოვანი, სარდო, იოკიჩი (78. მანდელი) - ანდრეოლი, ფერნანდესი, რიგონი, კონსტანტი (64. ურიბე) - პელისიერი, თერეუ (40. ბოლიაჩინო).

**გოლები:** 1:0 დელ პიერო (13-პენ.), 2:0 მატრი (55), 2:1 ურიბე (68), 2:2 სარდო (69).

**გაფრთხილება:** აკვილანი, კრასიჩი, მარკიზიო - ანდრეოლი, რიგონი.

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 15(4)-13(3); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 22 000

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ჰანდანოვიჩი** (უდინეზე) - **მოტა** (იუვენტუსი), **ჟუანი** (რომა), **ტიაგო სილვა** (მილანი), **იოკიჩი** (კიევო) - **ბენტივოლიო** (ბარი), **პალომბო** (სამპდორია), **კამბიასო** (ინტერი), **ხიმენესი** (ჩეზენა) - სანჩესი (უდინეზე), **დი ნატალე** (უდინეზე).

უმეტესად, ტურის სიმბოლურ ნაკრებში სამი გამოკვეთილი თავდამსხმელია, თუმცა ამჯერად, 4-4-2 ტაქტიკა მივიღეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ გასულ ტურში ფორვარდებმა ვერ იბრწყინეს და უკეთესად შუა და უკანახაზელები წარმოჩინდნენ. დაცვის ცენტრალური ტანდემი ვარსკვავურია, **ჟუანი** მეოთხეჯერ მოხვდა რჩეულებს შორის, **ტიაგო სილვას** კი ეს პატივი სულაც მეექვსედ ერგო. საინტერესოა, რომ ოთხი ნახევარმცველიდან ორი დამარცხებულია - „სამპდორიამ“ გენუური დერბი წააგო, მაგრამ **ანჯელო პალომბომ** თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა, იგივე შეიძლება ითქვას **ბენტივოლიოზე** „ბარიდან“. **იოკიჩის** და **კამბიასოს** გამორჩევა სრულიად ლოგიკურია, შესანიშნავად ითამაშეს და თანაც, გოლები გაიტანეს.

თავდასხმაში მხოლოდ ერთი გუნდის ფეხბურთელები მოხვდნენ, რაც ამ სეზონში პირველად მოხდა. **ალექსის სანჩესმა** და **ანტონიო დი ნატალემ** ბრწყინვალედ ითამაშეს „ლაციოსთან“ და განაპირობეს კიდეც ფრიულელთა გამარჯვება. თანაც, ამ მოგებას მართლაც რომ ოქროს ფასი ჰქონდა - „ბიანკონერი“ მეოთხე ადგილზე გადავიდა და თუ დარჩენილი ორი შეხვედრაც მოიგო, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებს.

### ტურის გმირი

არსებობენ გუნდები, რომლებიც ყველაზე მეტად ერთ კონკურეტულ ფეხბურთელთან არიან ასოცირებულნი და ასეა „უდინეზეს“ შემთხვევაშიც. „ბიანკონერი“ და ანტონიო დი ნატალე უკვე განუყოფელ ცნებებად იქცნენ და მიმდინარე სეზონში ეს კიდევ ერთხელ დასტურდება. ტოტო მორიგ ფანტასტიკურ სეზონს ატარებს და 28 გატანილი გოლით სათავეში უდგას ბომბარდირთა დავას.

გასულ უქმეებზე, „უდინეზეს“შესაძლოა სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში ჰქონდა „ლაციოსთან“ და დი ნატალეს ორი გოლის წყალობით მეტოქე მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. ტოტო საუკეთესო იყო მოედანზე და გარდა გატანილი გოლებისა, უდიდესი სამუშაო გასწია. ნამატჩევს კი ბედნიერი გახლდათ:

*„ბოლო მატჩებში აშკარად ვერ გამოვავლინეთ შესაძლებლობები და გავიუარესეთ სატურნირო მდგომარეობა, მაგრამ ყველაზე საჭირო მომენტში კვლავ ვირწმუნეთ საკუთარი თავის და მეოთხე ადგილზე დავბრუნდით. მთლიანად გუნდმა ითამაშა ბრწყინვალედ და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ სწორედ ჩვენ ვიმსახურებთ ჩემპიონთა ლიგაზე გასვლას“.*

### ტურის მოვლენა

„მილანმა“ სკუდეტო მოიპოვა და ეს არათუ ტურის, ჩემპიონატის მთავარი მოვლენაა. შვიდწლიანი პაუზის შემდეგ „როსონერი“ პირველია, რასაც გუნდის მრავალათასიანი გულშემატკივართა არმია ჯერ კიდევ დიდი-ზარზეიმით აღნიშნავს. მილანის შავ-წითელი ნაწილი სრულ ეიფორიაშია და ამის ნიადაგზე, ბევრს ჭკუაც კი არ მოეკითხება. მაგალითად, **ჯენარო გატუზომ** ტიფოზებთან ერთად ისეთი სიმღერა შეასრულა, კინაღამ საჩემპიონო ზეიმი დაჩრდილა - მოკლედ გეტყვით, სიმღერის შინაარსი მთლიანად **ლეონარდოს** ლანძღვაზე იყო აგებული, მთავარი სათქმელი კი ის გახლდათ, რომ ბრაზილიელი სპეციალისტი არც მეტი, არც ნაკლები, განავალია.

ბუნებრივია, ამ ამბავმა ლეოს ყურამდეც მიაღწია და პრესასთან გაკეთებულ კომენტარში, გატუზოს ახსნა-განმარტება სთხოვა, რაზეც ფეხბურთელმა უპასუხა, რომ სიმღერას კი აჰყვა, მაგრამ როდესაც შინაარსი გააცნობიერა, მყისვე გაჩერდა. ამ ამბავს თვით **ადრიანო გალიანი** გამოეხმაურა და ჟურნალისტებს სთხოვა, რომ ვითარების დრამატიზირებას მოერიდონ.

მოკლედ, მილანში ემოციები დუღს - „როსონერიმ“ 2004 წლის შემდეგ, პირველად მოიპოვა სკუდეტო.

### ტურის ფიასკო

„ბრეშამ“ „კატანიასთან“ წააგო საკუთარ მოედანზე და თეორიული შანსიც კი მოისპო იმის, რომ მომდევნო სეზონშიც სერია A-ში იასპარეზოს. არადა, სიცილიელები უმოტივაციოდ ესტუმრნენ აუტსაიდერს და ფავორიტად სწორედ მასპინძელი გუნდი ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, „კატანიამ“ უპირატესობით წარმართა შეხვედრა და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ნამატჩევს, პატარა ქალაქში სამგლოვიარო განწყობა დადგა, გუნდის ლიდერმა **ანდრეა კარაჩოლომ** კი შემდეგი განაცხადა:

*„შევპირდი გულშემატკივრებს, რომ „ბრეშას“ დავტოვებდი ელიტაში, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიეთ. ვხედავ ქომაგთა მოწყენილ სახეებს და ეს კიდევ უფრო ცუდ ხასიათზე მაყენებს. ვერ გეტყვით, დავრჩები თუ არა „ბრეშაში“, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ამ გუნდს ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ“.*

### ტურის დრამა

გენუური დერბი ყოველთვის საინტერესოა და გამონაკლისი არც გასულ უქმეებზე გამართული შეხვედრა ყოფილა. „ჯენოა“ უმოტივაციოდ შეხვდა ამ პაექრობას, მაგრამ ეს მხოლოდ სატურნირო თვალსაზრისით - ისე კი, როდესაც თანაქალაქელის დაქვეითებას შეგიძლია ხელი შეუწყო, მეტი მოტივაცია რა შეიძლება იყოს?! მოკლედ, გუნდები მთელი ძალებით შეასკდნენ ერთმანეთს და გაიმარჯვა უფრო ძლიერმა. დღეს, „ჯენოა“ უკეთესი გუნდია, ვიდრე „სამპდორია“ და ეს განვლილ პაექრობაშიც გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ნომინალურმა მასპინძლებმა მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ მეხუთე წუთზე მოახერხეს გოლის გატანა, მთლიანობაში სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას სწორედ „ჯენოა“ ფლობდა. დრამა კი იმაში მდგომარეობს, რაც უკვე აღვნიშნეთ - არბიტრის მიერ კომპენსირებული მეხუთე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც შეცვლაზე შესულმა **ბოზელიმ** მეტოქის საჯარიმოში მიიღო ბურთი, შემოტრიალდა და მარცხენა ფეხით ულამაზესი გოლი გაიტანა. თუ რა ხდებოდა ამ გოლის შემდეგ „სტადიო მარასის“ ტრიბუნებზე, სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია - „ჯენოელთა“ ფიესტამ კი ნამატჩევს ქალაქის ქუჩებში გადაინაცვლა.

### ტურის დაბრუნება

**რაფაელ ბენიტესის** „ინტერში“ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა **ფელიპე კოუტინიო** გახლდათ, ბრაზილიელი შემტევი, რომელიც მდიდარი ტექნიკური არსენალით და მოედნის ხედვით გამოირჩევა. მძიმე ტრავმის შემდეგ, სამხრეთამერიკელი „ფიორენტინასთან“ პაექრობაში დაუბრუნდა მოედანს და შესანიშნავადაც წარმოჩინდა - ერთი, რომ გოლი გაიტანა და მეორე, „ნერაძურის“ შეტევებს კრეატიულობა და სიმწვავე შემატა. ამად იყო, რომ ნამატჩევს ლეონარდომ სხვებზე მეტად სწორედ კოუტინიო შეაქო და მას „ინტერის“ მომავალი უწოდა.



მასიმილიანო ალეგრი ჰაერში

### ტურის ფრაზა

**ლეონარდო (ინტერის მთავარი მწვრთნელი):** *„ერთადერთი, რაზეც გული მწყდება არის ის, რომ სკუდეტო ვერ მოვიპოვეთ, არადა, მიზანთან ახლოს ვიყავით. თუმცა, „მილანმა“ დაიმსახურა ჩემპიონობა, რადგან უფრო სტაბილურად ჩაატარა სეზონი. როგორც ხედავთ, წარსულთან დაკავშირებით არავითარი კომპლექსები არ მაწუხებს“.*

### ციფრები და ფაქტები

- „მილანი“ მოგებული სკუდეტოების რაოდენობით „ინტერს“ გაუთანაბრდა, ორივე გუნდის ანგარიშზე 18 საჩემპიონო ტიტულია;
- **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** ზედიზედ მერვედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული (აიაქსი, იუვენტუსი, ინტერი, ბარსელონა, მილანი);
- **მარკ ვან ბომელი** რვაჯერ გახდა ჩემპიონი ოთხ სხვადასხვა ქვეყანაში: ჰოლანდია, ესპანეთი, გერმანია, იტალია;
- **ალესანდრო ნესტამ** მეოთხასე შეხვედრა ჩაატარა „მილანის“ შემადგენლობაში, **ალეშანდრე პატომ** კი მეასე;
- **ანტონიო დი ნატალეს** სერია A-ში 130 გოლი აქვს გატანილი, იქიდან 10 „ლაციოს“ კარში;
- **სამირ ჰანდანოვიჩმა** მიმდინარე სეზონში რვიდან ექვსი პენალტი მოიგერია;
- მიმდინარე სეზონში, „უდინეზეს“ უკვე 63 გოლი აქვს გატანილი, რაც გუნდის ყველა დროის საუკეთესო მაჩვენებელია;
- „ლაციომ“ სამი მატჩი წააგო ზედიზედ, ასეთი უარყოფითი შედეგი გუნდს ბოლოს 2009 წლის მაისში ჰქონდა;
- „ლეჩეს“ 1998 წლის შემდეგ არ ჰყავდა დამარცხებული „ნაპოლი“, შვიდი მატჩი ფრედ ითამაშა, სამი კი წააგო;
- „ჯენოამ“ მესამეჯერ ზედიზედ დაამარცხა „სამპდორია“ „საკუთარ მოედანზე“;
- **ფაბრიციო მიკოლიმ** საიუბილეო, მეორასე შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში და 78-ე გოლი გაიტანა;
- „ბოლონიას“ უკვე 510 წუთია გოლი არ გაუტანია;
- „კატანიამ“ პირველი გასვლითი მატჩი მოიგო ჩემპიონატში;
- **ესტებან კამბიასომ** 30-ე გოლი გაიტანა სერია A-ში და პირადი რეკორდი დაამყარა: სეზონში 7 შედეგიანი დარტყმა;

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

## ინგლისი. პრემიერლიგა.

**გამოტოვებული მატჩი**

**მანჩესტერ სიტი–ტოტენჰემი 1:0**

**სიტი (4-3-3):** ჰარტი - რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, საბალეტა (57. კოლაროვი) - მილნერი, ი. ტურე, დე იონგი - ჯონსონი (67. ვიეირა), ჯეკო, სილვა (83. ტევესი).

**ტოტენჰემი (4-4-2):** კუდიჩინი - ჩორლუკა, გალასი (88. კაბული), დოუსონი, როუზი - ლენონი, პალასიოსი (32. პიენაარი), სანდრო, მოდრიჩი - ვან დერ ვაარტი, კრაუჩი (78. დეფო).

**გოლი:** 1:0 კრაუჩი (30 ს.კ.)

**გაფრთხილება:** მილნერი - პიენაარი

**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 7-9; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 9-16 (3-2); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 36 | 22 | 10 | 4 | 73-34 | 76 |
| 2. ჩელსი | 36 | 21 | 7 | 8 | 67-30 | 70 |
| 3. არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 69-39 | 67 |
| 4. მანჩესტერ სიტი | 36 | 19 | 8 | 9 | 55-33 | 65 |
| 5. ლივერპული | 36 | 17 | 7 | 12 | 59-41 | 58 |
| 6. ტოტენჰემი | 36 | 14 | 14 | 8 | 51-45 | 56 |
| 7. ევერტონი | 36 | 12 | 15 | 9 | 50-44 | 51 |
| 8. სტოკ სიტი | 36 | 13 | 7 | 16 | 46-44 | 46 |
| 9. ბოლტონი | 36 | 12 | 10 | 14 | 49-50 | 46 |
| 10. ფულჰემი | 36 | 10 | 15 | 12 | 45-42 | 45 |
| 11. ნიუკასლი | 36 | 11 | 11 | 14 | 51-52 | 44 |
| 12. სანდერლენდი | 36 | 11 | 11 | 14 | 41-53 | 44 |
| 13. ვესტ ბრომვიჩი | 35 | 11 | 10 | 14 | 51-65 | 43 |
| 14. ასტონ ვილა | 36 | 10 | 12 | 14 | 45-58 | 42 |
| 15. ბლექბერნი | 36 | 10 | 9 | 17 | 42-56 | 39 |
| 16. ბირმინგემი | 36 | 8 | 15 | 13 | 36-54 | 39 |
| 17. ბლეკპული | 36 | 9 | 9 | 18 | 49-71 | 36 |
| 18. უიგანი | 36 | 7 | 15 | 14 | 36-59 | 36 |
| 19. ვულვზი | 35 | 9 | 7 | 19 | 38-61 | 34 |
| 20. ვესტ ჰემი | 36 | 7 | 12 | 17 | 41-64 | 33 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### ევროტურნირები



2001 წელი: ჰასან სალიჰამიჯიჩი, ოლივერ კანი და კარსტენ იანკერი ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ვალენსიას“ დამარცხებას ზეიმობენ. მას მერე გერმანულ კლუბებს არც ერთი ევროტურნირი არ მოუგიათ

# უეფა გვწამს, ტიტულები გვაკვირვებს

## ესპანეთი საუკეთესოა: 7 ტიტული 2001 წლის შემდეგ

უეფას ბოლო ხუთი წლის რეიტინგში გერმანიამ იტალიას გადაასწრო და ინგლისსა და ესპანეთთან ერთად საუკეთესო სამეულს ქმნის - იტალიის ჩემპიონატი კი მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალი სეზონიდან, ჩემპიონთა ლიგაში იტალიიდან არა ოთხი, არამედ უკვე სამი გუნდი გავა (როგორც აქამდე გერმანიაში იყო), ხოლო ბუნდესლიგიდან კი ჩემპიონთა ლიგის საგზურს უკვე 4 გუნდი მოიპოვებს.

ახლა რაც შეეხება სათაურს: რა შუაშია აქ „ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს“? საქმე იმაშია, რომ თუ 2001 წლის შემდეგ ნაჩვენებ შედეგებს შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ გერმანულ კლუბებს არც ჩემპიონთა ლიგა მოუგიათ, არც უეფას თასი და არც ევროპის ლიგა. ეს იმ დროს, როცა იტალიურმა კლუბებმა ამ ხნის მანძილზე სამჯერ მოახერხეს ჩემპიონთა ლიგის მოგება (ორჯერ „მილანმა“, ერთხელ „ინტერმა“). მეტსაც გეტყვით: 2001 წლის შემდეგ იტალიური კლუბები 5-ჯერ იყვნენ ევროტურნირების ფინალში, გერმანულები კი 4-ჯერ. იტალიის სერია A ბუნდესლიგას ნახევარფინალში გასვლების რაოდენობითაც სჯობნის: იტალია 12, გერმანია 10. კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ ასეთი შეჯამების შედეგად, გერმანიაზე უკეთესი მიღწევა აქვს თვით პორტუგალიასაც - ორი ტიტული, 3 ფინალი, 7 ნახევარფინალი (გერმანია: 0 ტიტული, 4 ფინალი, 10 ნახევარფინალი).

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიდან „შალკეს“ გავარდნამ გერმანული კლუბების უტიტულობა კიდევ უფრო გაახანგრძლივა - ბუნდესლიგის წარმომადგენელმა ევროტურნირი ბოლოს 2001 წლის 23 მაისს მოიგო, როცა მიუნხენის „ბაიერნმა“ მილანში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ვალენსია“ პენალტების სერიაში დაამარცხა. 10 წელი ევროტიტულის გარეშე - ეს ბუნდესლიგისთვის ყველაზე ნეგატიური სერიაა, რომელსაც ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში ანალოგი არ აქვს.

ამ ხნის განმავლობაში იყო შემთხვევები, როცა გერმანულ კლუბებს არ გაუმართლათ: მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის ცხრა წლის წინანდელი ფინალი, რომელშიც „ლევერკუზენმა“ „რეალთან“ 1:2 წააგო; უეფას თასის ფინალი 2002 წელს, რომელშიც დორტმუნდის „ბორუსია“ როტერდამის „ფეიენოორდთან“ 2:3 დამარცხდა და ევროპის ლიგის ფინალი 2009 წელს, რომელიც „ვერდერმა“ დონეცკის „შახტართან“ დამატებით დროში 1:2 წააგო. საინტერესოა კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემიც, რომელიც ცხრილში აღარ შევიყვანეთ: ამ ათი წლის განმავლოვაში ორივე ევროტურნირის მეოთხედფინალში მხოლოდ 9 გერმანული კლუბი ვიხილეთ, 2004/2005 წლების სეზონში კი, უეფას თასის მეოთხედფინალში არც ერთი გერმანული კლუბი არ ყოფილა.

გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** მიაჩნია, რომ ყველაზე მთავარი ინდიკატორი მაინც ტიტულების რაოდენობაა და ამ მხრივ ბუნდესლიგას სერიოზული პრობლემა აქვს. თუმცა იოგი ასი პროცენტით იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ გერმანიის ჩემპიონატმა როგორც ფინანსური, ისე სპორტული თვალსაზრისით უდიდესი პროგრესი განიცადა. უბრალოდ, ლიოვის აზრით, დღესდღეობით ესპანეთი და ინგლისი ამ მხრივ გერმანიაზე მთელი თავით მაღლა დგანან.

სამაგიეროდ, ბუნდესლიგა საერთო სეზონური ბრუნვით მეორე ადგილზეა: წინა სეზონში ბუნდესლიგის ბრუნვამ 1.8 მილიარდი ევრო შეადგინა, რითაც გერმანიამ აჯობა როგორც ესპანეთის პრიმერადივიზიონს (1.6 მილიარდი), ისე იტალიის სერია A-ს (1.5 მილიარდი). ამ მხრივ პირველ ადგილზე (თანაც, უდიდესი უპირატესობით) ინგლისის პრემიერლიგაა - 2.4 მილიარდი ევრო.

დასწრებით კი ბუნდესლიგა სულაც პირველ ადგილზეა: აქტუალური შედეგით, გერმანიის ჩემპიონატის ერთ მატჩს საშუალოდ 42 214 მაყურებელი ესწრება, პრემიერლიგის ერთ მატჩს 35 099, ესპანეთის პრიმერადივიზიონის ერთ მატჩს 28 770, ხოლო იტალიის სერია A-ს ერთ შეხვედრას კი, საშუალოდ, 24 829 ქომაგი ესწრება.

### გერმანია: 10 წელი ტიტულის გარეშე

ევროტურნირების გამარჯვებულების, ფინალისტებისა და ნახევარფინალისტების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით, 2001 წლის შემდეგ ამ სეზონამდე

| | ჩემპ. ლიგა | | | უეფა/ევრ. ლიგა | | | სულ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტ | ფ | ნფ | ტ | ფ | ნფ | ტ | ფ | ნფ |
| ესპანეთი | 3 | 3 | 11 | 4 | 5 | 8 | 7 | 8 | 19 |
| იტალია | 3 | 5 | 7 | 0 | 0 | 5 | 3 | 5 | 12 |
| ინგლისი | 2 | 6 | 15 | 0 | 2 | 4 | 2 | 8 | 19 |
| პორტუგალია | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 6 | 2 | 3 | 7 |
| გერმანია | 0 | 2 | 3 | 0 | 2 | 7 | 0 | 4 | 10 |

*ტ - ტიტული; ფ - ფინალი; ნფ - ნახევარფინალი*

***შენიშვნა:** ამ სეზონის შედეგები არ არის შეტანილი*

### მოსალოდნელი ტრანსფერი

# მიუნხენი თუ ჰამბურგი

## მეორე ბუნდესლიგის ბომბარდირი გადაწყვეტილებას მომავალ კვირაში მიიღებს

ერთი რამ უკვე ცხადია: ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირ **ნილს პეტერსენს** ძალიან ბევრი მთხოვნელი ჰყავს, ნაღდად არ არის გადაჭარბებული. „კოტბუსის“ გოლეადორმა უკვე შეუთვალა უარი ისეთ გუნდებს, როგორებიც არიან „ჰოფენჰაიმი“, „ვოლფსბურგი“ და „შალკე“ და ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ არჩევანს ორ გუნდს შორის გააკეთებს - პეტერსენი ან „ბაიერნში“ გადავა, ანაც „ჰამბურგში“. ნილსი ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომელ გრანდში გადასვლა იქნება უფრო აზრიანი.

პეტერსენის აგენტი **ლარს-ვილჰელმ ბაუმგარტენი** აცხადებს, რომ ნილსის თაობაზე საერთო ჯამში 14 გუნდიდან დაუკავშირდნენ, საიდანაც 10 ბუნდესლიგის წარმომადგენელია და 22 წლის თავდამსხმელმა გადაწყვიტა, რომ არჩევანი ან „ჰამბურგზე“ უნდა შეაჩეროს, ანაც გერმანიის სუპერგრანდ „ბაიერნზე“. „ჰოფენჰაიმთან“, „ვოლფსბურგთან“ და „შალკესთან“ ერთად, მან უარი „ფრაიბურგსაც“ შეუთვალა. ფაქტია ისიც, რომ პეტერსენის მომავალ კლუბს 2.8 მილიონ ევროზე მეტის გადახდა არ მოუწევს, რადგან „კოტბუსთან“ 2014 წლამდე გაფორმებულ ხელშეკრულებაში გარკვევით წერია, რომ ნილსის მაქსიმალური ფასი სწორედ 2.8 მილიონი იქნება. სამაგიეროდ, გაურკვეველია, სად უფრო აწყობს გადასვლა - „ჰამბურგში“ თუ „ბაიერნში“?

პეტერსენმა მეორე ბუნდესლიგაში 24 გოლის გატანა შეძლო და ბომბარდირის წოდება გარანტირებული აქვს. ამ მიღწევით მან შარშანდელი შედეგი ორმაგად გააუმჯობესა. თუმცა მეორე ბუნდესლიგა მაინც მეორე ბუნდესლიგაა და ექსპერტები ჯერ კიდევ ეჭვობენ, შეძლებს თუ არა „კოტბუსის“ ფორვარდი იმას, რომ ელიტაშიც ასეთივე შედეგიანი იყოს. თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ პირველი ბუნდესლიგისთვის უკვე მზადაა. ასეა თუ ისე, ექსპერტები პეტერსენს „ჰამბურგში“ გადასვლას უფრო ურჩევენ, რადგან „ბაიერნისგან“ განსხვავებით, HSV-ს ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრების გაცილებით უკეთესი შანსი ექნება. თანაც, „ჰამბურგის“ მწვრთნელი **მიხაელ იონინგი** ხომ სწორედ ტალანტების აღმოჩენისა და მათი განვითარების ნიჭით დაჯილდოვებული სპეციალისტის სახელითაა ცნობილი.

პეტერსენი ტიპური ცენტრფორვარდია, რომელიც მუდმივად საჯარიმოშია. კონტრშეტევების დროს უმეტესად უმაქნისია, რადგან დიდი სისწრაფით არ გამოირჩევა და არც ისეთი ტექნიკურია, რომ მცველი იოლად მოატყუოს. დამთხვევა ნამდვილად არ არის ის, რომ ამ სეზონში არც ერთი გოლი არ გაუტანია სისწრაფის ხარჯზე ან საჯარიმოს გარედან. *„ერთ მატჩში ბურთთან 100 კონტაქტი არასდროს მქონია,* - თქვა პეტერსენმა, - *სამაგიეროდ, შესანიშნავი საგოლე ალღო მაქვს და ვიცი, როდის სად უნდა გავიხსნა. იმისათვის, რომ გოლები გავიტანო, მჭირდება გუნდი, რომელიც შემტევ ფეხბურთს ითამაშებს და ნახევარმცველები, რომლებიც პასებით მომამარაგებენ.“*



ნილს პეტერსენი 24 გოლით მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირია და მომავალ სეზონში კარიერას ბაიერნში ან ჰამბურგში გააგრძელებს

ამ თვალსაზრისით მას ნაღდად „ბაიერნი“ ურჩევნია, სადაც **ფრანკ რიბერი, არიენ რობენი, თომას მიულერი** და **ბასტიან შვაინშტაიგერი** მისთვის პასებს არ დაინანებენ, მაგრამ ულირს რეკორდმაისტერში გადასვლა - გუნდში, სადაც პირველი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი **მარიო გომესი** თამაშობს? ხელფასის თვალსაზრისით ნამდვილად ულირს, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა? *„ვიცი, რომ „ბაიერნში“ გადასვლის შემთხვევაში თავიდან სკამზე ჯდომა მომიწევს, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ მეშინია,“* - ამბობს პეტერსენი.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი თავდამსხმელი, რომელიც „ბაიერნში“ გადავიდა და იმედები ასი პროცენტით გაამართლა, მხოლოდ ერთი იყო: 1984 წელს **როლანდ ვოლფარტი** მეორე ბუნდესლიგის ბომბარდირი გახდა (დუისბურგის ფორმით 30 გოლი გაიტანა) და მერე რეკორდმაისტერს მიაშურა, სადაც გოლების გატანა თავიდანვე დაიწყო. მეორე მხრივ, **მარიო გომესი** სწორედ პეტერსენის სტილის თავდამსხმელია. ის „ბაიერნში“ თავის დროზე უკვე შემდგარი გოლეადორის სახელით გადავიდა და მიუხედავად ამისა, მიუნხენური გრანდისთვის შესაგუებლად ძალიან დიდი დრო დასჭირდა - გომესმა გოლების გატანა მხოლოდ ამ სეზონშილა დაიწყო.

ნილს პეტერსენი საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალი კვირის დასაწყისში მიიღებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უარს „ჰამბურგს“ შეუთვლის და „ბაიერნში“ გადასვლას გარისკავს, რადგან მიუნხენურ გრანდში გადაბარგების შანსი სხვა დროს შეიძლება აღარ მიეცეს...

### ბაიერნი

# ჰამითი რეალში, კლოზე იუვეში?

## კრაფტმა ჰერტა გადაწყვიტა, მიროს დორტმუნდშიც ეპატიჟებიან

ჩემპიონთა ლიგის საგზურის განაღდების შემდეგ, მიუნხენის „ბაიერნი“ სატრანსფერო ციებ-ცხელებაში ჩაება, ოღონდ, ჯერ კონკრეტულად მხოლოდ მიუნხენიდან წამსვლელ მოთამაშეებზეა საუბარი. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ 22 წლის მეკარე **თომას კრაფტი** ბერლინის „ჰერტაში“ გადავა, 21 წლის ნახევარმცველი **მეჰმეთ ექიჩი**, რომელიც „ნიურნბერგშია“ განათხოვრებული, ბრემენის „ვერდერს“ უნდა და ეს ტრანსფერიც თითქმის გადაწყვეტილია (უბრალოდ, „ვერდერს“ ექიჩში „ჰამბურგიც“ ეცილება). ამასობაში, მადრიდის „რეალმა“ „ბაიერნის“ რეზერვისტი ნახევარმცველის, **ჰამით ალთინთოფის** გადაბირება მოისურვა, **მიროსლავ კლოზეს** კი დორტმუნდის „ბორუსიასა“ და ტურინის „იუვენტუსში“ ეპატიჟებიან.

გუშინ დილას კრაფტმა ჩვეულებრივად ივარჯიშა და თორმეტის ნახევარზე გულშემატკივრებს ავტოგრაფებიც ჩამოურიგა. ვარჯიშის შემდეგ კი ახალგაზრდა მეკარე ბერლინში გაფრინდა, ოღონდ ეს ვიზიტი გასაიდუმლოებული იყო, თუმცა „ბილდის“ ჟურნალისტებს ხომ არაფერი გამოეპარებათ. „ჰერტას“ მთავარმა მწვრთნელმა **მარკუს ბაბელმა** რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთხელ გაიმეორა, კრაფტი ძალიან მაგარი მეკარეა, რომელიც მაგრად გვჭირდება და იმედი მაქვს, რომ მომავალ სეზონში „ჰერტას“ კარს დაიცავსო - შეგახსენებთ, **ლევან კობიაშვილის** გუნდმა უკვე გაინაღდა პირველი ბუნდესლიგის საგზური და ერთწლიანი მეორელიგელობის შემდეგ ისევ ელიტაში ბრუნდება. „ბილდის“ ინფორმაციით, კრაფტი „ჰერტასთან“ ოთხწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს და წელიწადში ერთ მილიონ ევროს აიღებს.

მოგვიანებით, თვითონ თომასმაც არ დამალა, რომ ბერლინელებთან შეთანხმებას მიაღწია: *„ჰერტა“ დიდი ისტორიისა და ტრადიციების მქონე გუნდია, ბერლინი კი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქია. ამ გუნდში თამაში ჩემთვის დიდი პატივი იქნება,“* - უთხრა კრაფტმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

მიუნხენიდან წასვლა გადაწყვეტილი აქვს მეჰმეთ ექიჩისაც, რომელიც ამ სეზონში „ნიურნბერგშია“ განათხოვრებული. გუშინ, „ბაიერნის“ სპორტულმა დირექტორმა **კრისტიან ნერლინგერმა** და მისმა ბრემენელმა კოლეგამ **კლაუს ალოფსმა** მოლაპარაკებები გამართეს. აღსანიშნავია, რომ ექიჩისთვის „ჰამბურგიც“ იბრძვის.

კლოზეს „ბაიერნთან“ კონტრაქტი რომ უმთავრდება, ეს ამბავი მკითხველებს დიდი ხანია ვაცნობეთ. შეგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ აქედან გამომდინარე, თუ ახალი ხელშეკრულება არ გააფორმა, მირო ზაფხულში უფასო იქნება. კლოზემ უკვე შეუთვალა უარი „ჰოფენჰაიმს“. მისი გადაბირება დორტმუნდის „ბორუსიას“, „ტოტენჰემსა“ და „იუვენტუსს“ სურთ. ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, მირო არჩევანს „იუვესა“ და „ბორუსიას“ შორის გააკეთებს.

რაც შეეხება ჰამით ალთინთოფს: 28 წლის თურქ ნახევარმცველს კლოზეს დარად კონტრაქტი უმთავრდება. მისდამი ყველაზე დიდ ინტერესს თურქული გრანდები იჩენენ, მაგრამ სხვადასხვა გერმანული გაზეთები წერენ, რომ ჰამითის გადაბირება მადრიდის „რეალმა“ მოინდომა - სამეფო გუნდი კი, როგორც ხვდებით, უკონკურენციო იქნება.

### ვინ მოვა? საკითხავი აი, ეს არის

აი, პოტენციური ბაიერნელების სიაში კი განსაკუთრებული სიახლე ჯერ არ არის. დაცვის ცენტრისთვის **ჟერომ ბოატენგი** (მანჩესტერ სიტი) და **ჟუანი** (რომა) განიხილებიან, ნახევარდაცვისთვის **არტურო ვიდალი** (ლევერკუზენი), მეორე მეკარეობისთვის კი **ჰაინც მიულერი** (მაინცი) და **გერჰარდ ტრემელი** (ზალცბურგი). მიუნხენური გრანდის შეფებს **ფრანკ რიბერისა** და **არიენ რობენის** დამზღვევი გარემარბების შეძენა სურთ, რომლებიც ფრანგს ან ჰოლანდიელს დაშავების ან დისკვალიფიკაციის შემთხვევაში ჯეროვნად შეცვლიან და მიზანში ორი ფეხბურთელი ჰყავთ ამოღებული: **მარკო როისი** (მიონხენგლადბახის „ბორუსია“) და **ივო ილიჩევიჩი** (კაიზერსლაუტერნი). ფაქტია ისიც, რომ თუ განახორციელა, რეკორდმაისტერი ამ ტრანსფერებითაც არ დაკმაყოფილდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXV ტურის მიმოხილვა.

XXXVI ტური

# მზის ქვეშ ადგილისთვის

## ეს რა პენალტები დანიშნეთ, ბიჭო...

35-ე და 36-ე ტურებს შორის სულ ორი დღე იყო. ამიტომ, როცა ამ მიმოხილვას წაიკითხავთ, მომდევნო ტურის ნაწილი უკვე გამართული იქნება. ტურის მთავარ მოვლენად ყველა ბარსელონურ დერბის სახავდა, თუმცა „ბარსელონამ“ მშვიდად და აუღელვებლად მოუგო „ესპანიოლს“ და საჩემპიონო სვლა განაგრძო, თუმცა ტიტულს ფინიშამდე 3 ტურით ადრე ვერ შესწვდა. „სანჩეს პისხუანზე“ „რეალმა“ 6 გოლი გაიტანა, აქედან 4 კი - კრიშტიანო რონალდოს ანგარიშზეა. სხვა მხრივ, ტური პრიმერადივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად მეომართა ველს დაემსგავსა.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

GOAL.COM. 3-4-3

**მეკარე**

**ვილფრედო კაბალიერო** (მალაგა, 1): ტურის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა „მალაგას“ გამარჯვება იყო „ვისენტე კალდერონზე“. მიუხედავად იმისა, რომ ანდალუსიელები საოცრად უტევდნენ, სენსაცია არ შედგებოდა, რომ არა მათი 29 წლის არგენტინელი გოლკიპერი. კაბალიეროს „სეივებიდან“ განსაკუთრებით სამაგალითო **დიეგო ფორლანის** დარტყმულის მოგერიება იყო.

**მცველები**

**ენრიკე** (რასინგი, 2): ბრაზილიელმა მცველმა მაშინ გამოიჩინა თავი, როცა მის გუნდს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა ეს - „ერკულესთან“ დაცვაში ბრწყინვალედ ითამაშა და გადამწყვეტი გოლიც გაიტანა.

**კარლოს მარჩენა** (ვილიარეალი, 4): ბოლო დროს „ელ სუბმარინოს“ დაცვის ხაზი ბევრ შეცდომას უშვებს, თუნდაც „პორტუსთან“ 1:5 გავიხსენოთ, თუმცა „მალიორკას“ წინააღმდეგ მსოფლიოს ჩემპიონმა მარჩენამ უნარიანად უხელმძღვანელა თავისიანებს და ბალეარელებს გოლის გატანა არ დაანება.

**მანე** (ხეტაფე, 1): მადრიდელებმა ძალიან მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვეს და სეგუნდაში დაქვეითებულ „ალმერიასთან“. ყველაზე საიმედო გუნდში „ხეტაფეს“ მარცხენა მცველი მანე იყო.

**ნახევარმცველები**

**ხავიერ კამუნიასი** (ოსასუნა, 1): ცოტა თუ წარმოიდგენდა, რომ ნავარელები „ლა რომალედადან“ 3 ქულას წაიღებდნენ. კამუნიასის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია.

**ჟოვანი დოს სანტოსი** (რასინგი, 3): ერთ დროს „ბარსელონას“ ფეხბურთელმა „ერკულესის“ კარში დუბლი შეასრულა.

**ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა, 7): ანდრესს საუკეთესო სეზონი აქვს, მისი გოლი კი „ესპანიოლის“ კარში შედევრი იყო.

**მესუთ იოზილი** (რეალი, 7): გერმანელს ჯერჯერობით, რაც არ გამოსდის „ბარსელონას“ წინააღმდეგ თამაშია. „სევილიასთან“ იოზილი საუცხოოდ გაისარჯა.

**თავდამსხმელები**

**ადრიანი** (დეპორტივო, 3): ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების შემტევი ალბათ არ დარჩება „დეპორტივოში“, მაგრამ ის ყველაფერს აკეთებს, რომ გალისიურმა კლუბმა ადგილი შეინარჩუნოს ლიგაში. ადრიანმა „სპორტინგთან“ მატჩში დუბლი შეასრულა.

**როზერტო სოლდადო** (ვალენსია, 5): სოლდადომ ძალიან კარგი სერია გამოაცხო. ახლა მას ყველა შეჯიბრებაში 23 გოლი დაუგროვდა. არადა, სეზონი მან ვერ დაიწყო ყოჩაღად.

**კრიშტიანო რონალდო** (რეალი, 11): რონი სიმბოლურში მე-11-ჯერ მოხვდა და ხშირად ყოფილა, რომ ის საუკეთესო იყო ტურში. ახლაც ასეა - სევილიაში პოკერის შესრულება მხოლოდ გამორჩეულ ფორვარდებს თუ შეუძლიათ. ყველა ტურნირში მას უკვე 46 გოლი დაუგროვდა.

**ტურის გმირი**

მანუელ პელეგრინი

ჩილელი მწვრთნელი, რომელიც შარშან „რეალს“ თავკაცობდა, არც ცუდად ათამაშა „სამეფო კლუბი“, მაგრამ ერთ ტიტულსაც ვერ შესწვდა და პოსტი ჟოზე მოურინიოს გადაულოცა. გავარდნის პირას მყოფი გუნდი **პელეგრინიმ** „ვისენტე კალდერონზე“ გამოიყვანა და შემტევი ფეხბურთი ათამაშა, 3:0-იც მოაგებინა.

**ტურის ანტიგმირი**

გრეგორიო მანსანო

„რეალი“ ძლიერია, რონალდო სუპერმოტივირებული იყო, მაგრამ შინ 2:6 მაინც ძალიან ბევრია. მართალია, მწვრთნელმა თამაშის შემდეგ მოიბოდიშა, მაგრამ ბოდიში საქმეს ვერ უშველის.

XXXV ტურის სიმბოლური ნაკრები







ასე აღნიშნავენ გოლს კრიშტიანო რონალდო და ემანუელ ადებაიორი

**ლეო VS რონალდო. დუელი 35...**

ბოლო კვირებია, **ლეო მესი** და კრიშტიანო რონალდო მორიგეობით ამყარებენ გოლეადორულ რეკორდებს და ახლებს უტევენ. მოკლედ, შესანიშნავ ფორმაში არიან.

ვინ როგორ ითამაშა? მესიმ დერბიში ვერ გაიტანა, თუმცა კარგად ითამაშა, თანაგუნდელებსაც მომენტები შეუქმნა. მესიმ უკვე იცოდა რონალდოს პოკერის შესახებ, მონწადინებულიც იყო, თუმცა ეს არ იყო არგენტინელის დღე - კარში სულ ორჯერ დაარტყა და მხოლოდ ერთ ეპიზოდს ეთქმოდა საგოლე. ზედიზედ მე-7 შემთხვევაა მესის „ესპანიოლის“ კარში გოლი ვერ გააქვს. რონალდომ კი ამ სეზონში მე-2 პოკერი გაახერხა. პირველ ტაიმში მან „სევილიას“ კარში ბურთის დაუმუშავებლად დაარტყა და ისე გაიტანა, მეორე ტაიმის სულ რამდენიმე წუთში კი 3 გოლი მიითვალა.

**ტურში**

| | მესი | რონალდო |
|---|---|---|
| გოლი | 0 | 4 |
| დარტყმა | 2 (0) | 11 (6) |
| საგოლე პასი | 0 | 0 |
| დაკარგვა | 9 | 15 |
| მოპოვება | 0 | 3 |
| ეუხეშნენ | 3 | 3 |
| GOAL.COM | 6,5 | 9,0 |

**სეზონში**

| | მესი | რონალდო |
|---|---|---|
| წუთი | 2892 | 2775 |
| გოლი | 31 | 33 |
| პენალტით | 4 | 7 |
| ჯარიმით | 1 | 2 |
| I გოლი | 12 | 6 |
| დარტყმა | 143 (78) | 230 (89) |
| საგ. პასი | 19 | 8 |
| პასი | 2262 | 1296 |
| ზუსტი | 1887 | 919 |
| ეუხეშნენ | 54 | 80 |
| იუხეშეს | 21 | 22 |
| GOAL.COM/საშ. | 7,50 | 7,23 |

**რეკორდული სეზონი**

| გოლი | ფეხბ. | კლ. | სეზ. |
|---|---|---|---|
| 38 | ტელმო ზარა | ბილბაო | 50/51 |
| 38 | უგო სანჩესი | რეალი | 89/90 |
| 35 | ბალტასარი | ატლეტიკო | 88/89 |
| 34 | უგო სანჩესი | რეალი | 86/87 |
| 34 | რონალდო | ბარსელონა | 96/97 |
| 34 | ლეო მესი | ბარსელონა | 09/10 |

### ტურის ფრაზები

*„ძალიან დამსახურებული ტიტულია, განსაკუთრებით, თუ გავიხსენებთ, რა არ გადაგვხდა ამ 9 თვის განმავლობაში და როგორ გვებრძოდა მადრიდული მედია“,* - **ჩავი** დერბის მოგების შემდეგ.

*„მე შემიძლია განვაცხადო, რომ ამ სეზონში მოურინიო არ აპირებს პრესკონფერენციებზე მოსვლას. მხოლოდ როცა სიტუაცია დამშვიდდება, იხილავთ მას“,* - **მოურინიოს** ასისტენტი **აიტორ კარანკა**.

*„ვფიქრობ, ერთი ქულაც გვჭირდება“,* - „მალიორკას“ თავკაცი **მიქაელ ლაუდრუპი**.

*„სამივე გოლი საშინელი შეცდომის შემდეგ გავუშვით“,* - **კიკე ფლორესი** „მალაგასთან“ 0:3-ის შემდეგ.

*„თქვენ, ბიჭებო, ხომ არ აფრენთ? ეს რა პენალტები დანიშნეთ“,* - **მიგელ ანხელ ლოტინა** (დეპორტივო).

*„უარესიც შეიძლებოდა“,* - **მარტინ ლასარტე** (რეალ სოსიედადი).

### ტურის მსხვერპლნი

**კარლოს დიოგო** (სარაგოსა): მცველმა „ოსასუნასთან“ მატჩში მარცხენა კოჭი დაიზიანა. შესაძლოა, მისთვის სეზონი დასრულდა კიდეც.

**მიკელ გონსალესი** (რეალ სოსიედადი): მცველმა ორთავა კუნთი დაიშავა და მომდევნო ტურს ტოვებს.

**ლუის პერეა** (ატლეტიკო): „მალაგასთან“ მატჩში კოლუმბიელმა კუნთი დაიზიანა და 2 კვირას ვერ ითამაშებს.

### პირველი...

„ბარსელონას“ ფრანგმა მცველმა **ერიკ აბიდალმა** ღვიძლის სიმსივნეზე ოპერაციის გაკეთების შემდეგ პირველად ითამაშა ლა ლიგის მატჩში. 31 წლის მცველმა ბოლოს 13 მარტს ითამაშა და 2 თვეში დაბრუნდა! დერბიში მან ბოლო 29 წუთი ითამაშა.

### ტურის სტატისტიკა

36 გოლი 10 მატჩში. 3,6 გოლი საშუალოდ. 4 შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს, ამდენივე - სტუმრებმა, 2 კი ფრედ დასრულდა. ტურში აჩვენეს 44 ყვითელი ბარათი და 1 წითელი. შესრულდა 1 პოკერი (კრიშტიანო რონალდო) და 4 დუბლი (სოლდადო, ადრიანი, დოს სანტოსი, **ნეგრედო**). ტურის ყველაზე ახალგაზრდები: **მუნიაინი** (18), **კოკე** (19), **ამატი** (19), **ხ. ლუკე** (19).

**ყველაზე, ყველაზე**

**მეტი მაყურებელი:** 89 994 - კამპ ნოუ
**ნაკლები მაყურებელი:** 16 500 - ალფონსო პერეს კოლისეუმი
**მეტი დარტყმა:** 21 - ერკულესი
**ზუსტი დარტყმა:** 12 - რეალი
**ჯარიმა:** 20 - რასინგი
**კუთხური:** 12 - ერკულესი
**თამაშგარე:** 6 - რასინგი
**ბურთის ფლობის %:** 68 - ბარსელონა

**TOP-10 დონ ბალონის მიხედვით**

| ფეხბ. | კლ. | ქ. (თ.) | საშ. |
|---|---|---|---|
| 1. მესი | ბარსელონა | 235 (32) | 7,34 |
| 2. რონალდო | რეალი | 221 (31) | 7,13 |
| 3. როსი | ვილიარეალი | 234 (33) | 7,09 |
| 4. ინიესტა | ბარსელონა | 237 (34) | 6,97 |
| 5. კასორლა | ვილიარეალი | 236 (34) | 6,94 |
| 6. ბ. ვალერო | ვილიარეალი | 222 (32) | 6,94 |
| 7. დიეგო ალვესი | ალმერია | 227 (33) | 6,88 |
| 8. ჩავი | ბარსელონა | 201 (30) | 6,70 |
| 9. არანსუბია | დეპორტივო | 194 (29) | 6,69 |
| 10. დანი ალვესი | ბარსელონა | 214 (32) | 6,69 |

**დეპორტივო-ბილბაო 2:1**

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - ლაურე, ლოპო, კოლოტო, მანუელ პაბლო - ხ. როდრიგესი (78. აიტამი), რ. პერესი - ადრიანი (85. ლასადი), ვალერონი, გუარდადო - რიკი (91. ხ. დომინგესი).

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, ეკიზა, ამორებიეტა, კასტილიო - დ. ლოპესი (67. გაბილონდო), გურპეგი (57. იტურასპე), ხ. მარტინესი (76. ი. გომესი), მუნიაინი - ფ. ლორენტე, ტოკერო.

**გოლები:** 0:1 ტოკერო (3), 1:1 ადრიანი (22), 2:1 კასტილიო (71 ს.კ.)

**გაფრთხილება:** ხ. როდრიგესი, გუარდადო, რიკი - გურპეგი, ამორებიეტა

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 6-12; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 10-12 (3-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 33 000

**რასინგი-ატლეტიკო 2:1**

**რასინგი (4-4-2):** ტონიო - პინილიოსი, ენრიკე, ალვარო, სისმა - კენედი (82. ფრანსისი), ციოლისი, ლასენი, მუნიტისი (66. კრისტიანი) - როზენბერგი, ჟ. დოს სანტოსი (72. ხ. ლუკე).

**ატლეტიკო (4-2-3-1):** დე ხეა - ვალერა, უიფალუში, დომინგესი, ა. ლოპესი (80. ფილიპე ლუიში) - მ. სუარესი, ტიაგო (84. მერიდა) - რეიესი, ელიასი (56. ფორლანი), კოკე - აგუერო.

**გოლები:** 0:1 მ. სუარესი (10), 1:1 კენედი (37), 2:1 როზენბერგი (47)

**გაფრთხილება:** ალვარო, ტონიო - უიფალუში, რეიესი

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 24-19; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 14-6 (6-1); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 18 000

**მალაგა-სპორტინგი 2:0**

**მალაგა (4-4-2):** კაბალიერო - გამესი, სტადსგაარდი, დემიკელისი, ელიზეუ - ს. ფერნანდესი, ნ. კამაჩო, აპონიო (68. ს. სილვა), დუდა (78. მარესკა) - ბაპტიშტა, რონდონი (37. რესიო).

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - ლორა, გრეგორი, ხორხე, კანელია - ეგურენი (60. დე ლას კუევასი), ანდრე კაშტრო - მორანი (69. ნაჩო ნოვო), სანგოი (46. ბარალი), აიოსე - ბილიჩი

**გოლები:** 1:0 ბაპტიშტა (9), 2:0 ელიზეუ (67)

**გაფრთხილება:** კამაჩო, დუდა - გრეგორი

**კუთხური:** 6-7; **ჯარიმა:** 10-14; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 6-13 (3-4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 22 000

**რეალი-ხეტაფე 4:0**

**რეალი (4-2-3-1):** ადანი (83. მეხიასი) - არბელოა, პეპე, რიკარდო კარვალიო, მარსელო - ჩაბი ალონსო, ლ. დიარა - დი მარია, იოზილი (75. ადებაიორი), რონალდო - იგუაინი (75. იგუაინი).

**ხეტაფე (4-2-3-1):** უსტარი - მ. ტორესი, კატა დიასი, მარიო, მანე - ბოატენგი, კასკერო (63. მოსკერა) - სარდინერო (46. მიკუ), პარეხო (70. ბორხა), არისმენდი - კოლუნგა.

**გოლები:** 1:0 რონალდო (23), 2:0 რონალდო (57), 3:0 ბენზემა (76), 4:0 რონალდო (91-პენ)

**გაფრთხილება:** კარვალიო, დიარა - მანე, ბოატენგი

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 21-8 (8-1); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 70 000

**დღეს:** ალმერია-ვილიარეალი, ლევანტე-ბარსელონა, რეალ სოსიედადი-სარაგოსა, ესპანიოლი-ვალენსია, ერკულესი-მალიორკა, ოსასუნა-სევილია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 35 | 29 | 4 | 2 | 91-19 | 91 |
| 2. რეალი | 36 | 27 | 5 | 4 | 91-31 | 86 |
| 3. ვალენსია | 35 | 20 | 6 | 9 | 60-42 | 66 |
| 4. ვილიარეალი | 35 | 18 | 7 | 10 | 53-40 | 61 |
| 5. ბილბაო | 36 | 17 | 3 | 16 | 56-53 | 54 |
| 6. სევილია | 35 | 15 | 7 | 13 | 54-55 | 52 |
| 7. ატლეტიკო | 36 | 15 | 7 | 14 | 56-49 | 52 |
| 8. ესპანიოლი | 35 | 15 | 3 | 17 | 42-49 | 48 |
| 9. რასინგი | 36 | 12 | 10 | 14 | 39-52 | 46 |
| 10. მალაგა | 36 | 13 | 6 | 17 | 52-64 | 45 |
| 11. სპორტინგი | 36 | 10 | 13 | 13 | 33-41 | 43 |
| 12. მალიორკა | 35 | 12 | 7 | 16 | 35-47 | 43 |
| 13. ლევანტე | 35 | 12 | 7 | 16 | 39-49 | 43 |
| 14. დეპორტივო | 36 | 10 | 12 | 14 | 31-45 | 42 |
| 15. ოსასუნა | 35 | 11 | 8 | 16 | 41-42 | 41 |
| 16. სოსიედადი | 35 | 13 | 2 | 20 | 45-61 | 41 |
| 17. ხეტაფე | 36 | 11 | 7 | 18 | 46-59 | 40 |
| 18. სარაგოსა | 35 | 10 | 9 | 16 | 36-50 | 39 |
| 19. ერკულესი | 35 | 9 | 6 | 20 | 33-56 | 33 |
| 20. ალმერია | 35 | 5 | 11 | 19 | 32-61 | 26 |

ბომბარდირები: 36 - რონალდო (რეალი); 31 - მესი (ბარსელონა); 18 - ვილია (ბარსელონა), როსი (ვილიარეალი)

ტრანსფერი

## ბარსელონადან... ბრიუგეში

ბელგიურმა „ბრიუგემ“ გამოაცხადა, რომ თავისუფალი აგენტის სტატუსით აიყვანა „ბარსელონას“ 24 წლის ნახევარმცველი **ვიქტორ ვასკესი**. *„ის გააძლიერებს ჩვენს გუნდს, თუმცა ბელგიის ჩემპიონატთან შესაგუებლად დრო დასჭირდება“,* - განაცხადა „ბრიუგეს“ პრეზიდენტმა **ბარტ ვერჰაეგემ**.

ვიქტრო ვასკესი „ლა მასიას“ აღზრდილია, 9 წლის ასაკიდან „ბარსას“ აკადემიაშია. 2008 წლის აპრილში მას „უელვასთან“ თამაშში დებიუტი ჰქონდა პირველ გუნდში და ბოლო 15 წუთიც ითამაშა, მაგრამ სულ ეს არის - მეტჯერ ლა ლიგაში „ბარსელონას“ ძირითად გუნდში არ უთამაშია. თუმცა ჩემპიონთა ლიგაში „რუბინის“ კარში გოლიც აქვს გატანილი. წლეულს სარეზერვო გუნდში 20-მდე მატჩში მონაწილეობდა და 1 გოლი მიითვალა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ოლიმპიელთა კლუბი

# ქართული სპორტი ევროპასა და გაურკვევლობას შორის

გუშინ მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა „საქართველოს „ოლიმპიელთა კლუბმა", რომელმაც ისეთ საჭირბოროტო საკითხებზე იმსჯელა, როგორიცაა მართვის პრობლემა სპორტში და ქართული სპორტის განვითარების გზები; სპორტის მუზეუმის პრობლემა; სპორტის აკადემიის აღდგენის აუცილებლობა და სხვა...

დარბაზში ქართული სპორტის სახელოვანი ვეტერანები და წლების განმავლობაში სპორტში მოტრიალე ადამიანები შეკრებილიყვნენ, რომლებსაც, სახელმწიფო მოხელეთაგან განსხვავებით, პრაქტიკულად, ესმით სპორტის წინაშე მდგარი ამოცანები და არა მხოლოდ თეორიულად. ამიტომ თითქმის ყველა საკითხზე საქმიანი სჯა-ბაასი და კამათი გაიმართა. მაგალითად, ხანგრძლივად იკამათეს ტერმინებზე - რას ნიშნავს „ფიზიკური განათლება" და ხომ არ სჯობია „სპორტული აღზრდა". საყოველთაო მოსაზრებით უპირატესობა მეორე ვარიანტს ენიჭებოდა, რადგან სხდომაზე პირველი ტერმინის ენციკლოპედიური განმარტებაც წარმოადგინეს, ფიზიკის დარგში მიღებულ განათლებას ნიშნავსო, თუმცა მოგვიანებით დაასაბუთეს, რომ სპორტული ტერმინიცაა - როცა სპორტსმენმა თვითონ იცის, რა დატვირთვები უნდა მიიღოს, როდის და რა არგებს ან პირიქით მის ორგანიზმს, ეს ნიშნავს ფიზიკურ განათლებასო. საბოლოოდ მაინც იმ აზრზე შეთანხმდნენ, რომ მთავარია არა ტერმინები, არამედ მათში ჩადებული შინაარსი.

ზოგადად, ტერმინოლოგია და ძველი გადმონაშთები არაერთხელ გახდა განხილვის თემა. ითქვა, რომ ძველის ხელაღებით უგულებელყოფა არ უნდა ხდებოდეს და რაც კარგია, იმაზე უარი არ უნდა ვთქვათ; რომ რეფორმის მიზანი ძველის მოდერნიზაცია უნდა იყოს და არა უარყოფა...

ყველაზე მეტი დრო სპორტის რეფორმას, მართვის თანამედროვე ევროპულ მეთოდებზე საუბარსა და კამათს დაეთმო. ამ საკითხზე მომხსენებელმა **თამაზ თევზაძემ** კიდევ ერთხელ წამოსწია წინ ქოლგა-ორგანიზაციის - კონფედერაციიის შექმნის აუცილებლობა და განმარტა, რომ ეს ფედერაციების დამოუკიდებლობას საფრთხეს არ უქმნის. პირიქით - ამით კონფედერაცია ინარჩუნებს თავის ხმას ოლიმპიურ მოძრაობაშიო. მან ის მოსაზრებაც გააკრიტიკა თითქოს კონფედერაციის იდეა ეწინააღმდეგება ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებს. მოგვიანებით კამათი იმაზეც გაიმართა, თუ ასეთი კარგია კონფედერაცია, რატომ არაა ის გავრცელებული აშშ-ში, რუსეთში, აზიურ ქვეყნებში და რატომაა მხოლოდ ევროპაში. ამაზე განმარტეს, რომ ესაა ევროპულ გამოცდილებაზე დაფუძნებული მოდელი, რომელიც უკვე 25 ქვეყანაშია აპრობირებული. ამასთან, ითქვა კიდევ ძალიან ბევრ პრობლემაზე, რაც მართლაც სერიოზულად აწუხებს ჩვენს სპორტს - ფედერაციებში არაა მოთხოვნა სახელმწიფო პროგრამებზე და უმრავლესობას ეს ჩვეულებრივ კალენდარში ერევა; მმართველობის ნებისმიერ დონეზე უნდა იყოს საკონსულტაციო საბჭო, იგივე სახელმწიფო პროგრამებს უნდა განიხილავდნენ ექსპერტთა საბჭოზე, თორემ ხარვეზების რისკი ათმაგდება... განსაკუთრებით ხაზგასმით ის აღინიშნა, რომ ექსპერტ-კონსულტანტთა საბჭოზე მოთხოვნა - არც ერთ ფედერაციაში არაა. შესაბამისად, არც განვლილი გზის, დაშვებული შეცდომების ანალიზი ხდება სადმე. ასევე ნათლად და მკაფიოდ თქვეს, რომ ქართული სპორტის პრობლემა მართვის მონოპოლიაა ანუ, როცა გადაწყვეტილების მიღების ბერკეტი ერთი კაცის ხელშია და ის წყვიტავს ყველაფერს, უმთავრესად - დაფინანსებას. ამ თემაზე საინტერესო იყო გერმანული კალათბურთის მაგალითი - თურმე თავის დროზე იქაურმა ფედერაციამ სახელმწიფოს განვითარების პროგრამა წარუდგინა, რომელიც მთავრობამაც რეალურად მიიჩნია და თანადაფინანსებას დათანხმდა. ამგვარმა თანამშრომლობამ ნაყოფი მართლაც გამოიღო - 1993 წელს გერმანია ევროპის ჩემპიონი გახდა. მართალია, მერე მან მსგავსი წარმატება ვერ გაიმეორა, მაგრამ იმ პერიოდმა მაინც უდიდესი გარღვევა გამოიწვია - გერმანიაში კალათბურთის ბუმი ატყდა და თუმც მასობრიობით ხელბურთს, შაიბიან ჰოკეის და ფეხბურთს ვერ გაუტოლდა, შეუდარებლად გაიზარდა კლუბების, მოვარჯიშე ბავშვების რიცხვი, რასაც ნბა-ში გადასულთა რაოდენობის ზრდაც მოჰყვა, შედეგად კი გერმანიის ნაკრები არა მარტო ევროპაში, მსოფლიოშიც ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.

სხდომაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სპორტული მუზეუმის, პრაქტიკულად, არარსებობა გახდა. ითქვა, რომ სპორტის სამინისტროში არსებული მუზეუმი დახურეს, რადგან დაცული არ იყო უსაფრთხოების ზომები და რამდენჯერმე გაიქურდა, ოლიმპიური მუზეუმი კი საფრთხის ქვეშაა - მისი ნაწილი ეოკის ახალმა ხელმძღვანელობამ ახალ ოფისში თან გადაიტანა, მაგრამ უფრო დიდი ნაწილი მარჯანიშვილზე დარჩა ძველ ოფისში, რომელსაც განადგურების საფრთხე ემუქრება. არაერთხელ აღინიშნა, რომ საქართველო თავისი სპორტული მიღწევებით ნამდვილად იმსახურებს მუზეუმს. სხდომის მონაწილეებს არც ის სიძნელეები დავიწყებიათ, რაც თან ახლავს მუზეუმის შენახვას - დაცვიდან დაწყებული, შენახვის სპეციფიური პირობებით დამთავრებული და გადაწყვიტეს, ამ პრობლემის მოგვარება ხელისუფლებას სთხოვონ.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი სპორტის აკადემიის აღდგენა იყო. ითქვა, რომ საქართველოს მაგალითი უპრეცედენტოა, რადგან მთელ მსოფლიოში მხოლოდ აქ წყდება სპორტის ბედი ფაკულტეტის დონეზე. თურმე აშშ-ში ამ პროფილის სამი უნივერსიტეტი არსებობს, გერმანიაში - 64 ფაკულტეტი და რამდენიმე უნივერსიტეტი. გაიხსენეს მავან ჩინოსანთა გამონათქვამებიც, სპორტის აკადემია უსაქმურთა ბირჟა იყო და იმიტომ გააუქმესო, საპასუხოდ კი განმარტეს, დახურვა არაა გამოსავალი. აჯობებდა, ის მუქთახორებისგან გაეწმინდათ და ახალი მოთხოვნები წარედგინათო. ითქვა, რომ ილიას უნივერსიტეტში ფაკულტეტის გახსნა კარგია, მაგრამ ის ვერ გადაჭრის იმ მოთხოვნებს, რასაც - დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი თუნდაც იმიტომ, რომ წელიწადში მხოლოდ 20 სპეციალისტს გამოუშვებს, სპორტს კი ბევრად მეტი სჭირდება. ამ თემაზე საინტერესო მოსაზრებები მოიყვანეს თვით საპარლამენტო კომიტეტის მიერ მოძიებული სტატისტიკიდან - თურმე დღეს ქვეყნის საჯარო სკოლებში სპორტს 4200 მასწავლებელი ასწავლის, ამათგან კი მხოლოდ 40%-ია სპეციალისტი, 820-ს კი საერთოდ არ გააჩნია უმაღლესი განათლება! ითქვა ისიც, რომ სპორტის მასწავლებლებად ძირითადად სხვა საგნებიდან „ჩამოწერილებს" უშვებენ, ასეთი აგდებული დამოკიდებულება კი სპორტისადმი, განსაკუთრებით - ბავშვთა სპორტისადმი დანაშაულია. სკოლებში სპორტის გაკვეთილების მოშლას დაუკავშირეს კიდევ ერთი საგანგაშო ტენდენცია - ბოლო წლებში არმიაში გაწვეულთა შორის სულ უფრო იზრდება სქოლიოზით დაავადებულთა რაოდენობა. სპორტისადმი ამგვარი მიდგომით ახსნეს საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობის კლებაც. სტატისტიკას ვეხებით და კიდევ ერთი სამწუხარო ცნობა - ქვეყანაში სპორტში ჩაბმულია მოსახლეობის მხოლოდ 6 %, ევროპაში კი ეს რიცხვი 60%-ს აღწევს.

გუშინ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელთა მხრიდან ისიც ითქვა, რომ უმაღლესი სპორტული სასწავლებლის აღდგენის საკითხი ხელისუფლებაშიც განიხილება, სპორტის ყოფილი აკადემიის პრორექტორმა **გურამ ძაგანიამ** უმაღლესი სასწავლებლის პროექტიც წარმოადგინა, რომელიც შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტისთვისაც გადაუცია. ეს პროექტი თავიდან სასწავლო უნივერსიტეტის დაარსებას ითვალისწინებს, თუმცა კამათი აქაც ტერმინმა გამოიწვია - რატომ „სასწავლო" და არა უბრალოდ, „უნივერსიტეტი"? ძაგანიამ განმარტა, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს სწავლების სამსაფეხურიან სისტემას - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა, სასწავლო უნივერსიტეტში კი დოქტურანტურა არ შედის და ორსაფეხურიანია. ამიტომ აჯობებს, თავიდან შედარებით დაბალი რანგით დაიწყონ - მით უფრო, უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად საკმაოდ მკაცრი კრიტერიუმებია დასაკმაყოფილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით, რაც საწყის ეტაპზე გაჭირდება. ამიტომ აჯობებს, ჯერ შედარებით დაბალი საფეხურით დაიწყონ, მერე კი, როცა ფეხს მოიკიდებენ და სისტემას ააწყობენ, აკრედიტაცია გაიარონ და სტატუსი აიმაღლონ. ძაგანიამ სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურაც წარმოადგინა, რომელიც სამ - მწვრთნელ-პედაგოგის; რეაბილიტაციისა და ადაპტაციის სპეციალისტის; დაწყებითი სამხედრო მომზადების ინსტრუქტორ-მეთოდისტთა ფაკულტეტებს და რამდენიმე დეპარტამენტსა და ცენტრს ითვალისწინებს, რომლებიც მონათესავე მიმართულებებს გააერთიანებენ.

ცხადია, ამ საკითხმაც საკმაოდ ბევრი კამათი გამოიწვია, თუმცა მსგავსი სასწავლებლის არსებობის აუცილებლობაში ყველა ერთსულოვანი იყო. ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, კლუბის სახელით სასწავლო უნივერსიტეტის დაარსების თხოვნით ხელისუფლებას მიმართონ.

სხდომაზე ძალზე საინტერესო მაგალითები მოიყვანეს იმის შესახებ, როგორ აფასებენ ევროპაში წარმატებულ სპორტსმენებს. კლუბის დამაარსებელმა **კახი კახიაშვილმა** საბერძნეთის მაგალითზე ილაპარაკა, სადაც პრივილეგიები პირდაპირ კანონშია ჩაწერილი - თურმე ოლიმპიურ ჩემპიონებს სამხედრო ჩინი ანუ პენსია გარანტირებული აქვთ, ეძლევათ დაზღვევა, სახელმწიფო ლატარიიდან იღებენ პროცენტს, ქვეყნის შიგნით მთელი ცხოვრება სარგებლობენ უფასოდ გადაადგილების უფლებით - თვითმფრინავზე, მატარებელზე, გემზე, ავტობუსზე, მეტროზე, ნებისმიერი სახის მუნიციპალურ ტრანსპორტზე და კიდევ მრავალგვარი შეღავათები. თან ეს ყველაფერი - სიცოცხლის ბოლომდე. ოლიმპიურ ჩემპიონებს ხალხი ისედაც აღმერთებს, მაგრამ ამას მთავრობა იმიტომ აკეთებს, რომ მომავალ თაობას დაანახოს - ჩემპიონებს სახელმწიფოც აფასებს და ამით მათ სტიმული მისცეს სპორტში ჩასაბმელად. ამავე თემაზე არანაკლებ საინტერესო მაგალითი მოიყვანა თევზაძემ შვეიცარიულ ფირმა „ადეკოს" მაგალითზე, რომელიც სოკ-თან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, 30 ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან თანამშრომლობს და ეხმარება როგორც ვეტერანებს, ასევე - მოქმედ წარმატებულ სპორტსმენებს. მაგალითად, ძიუდოში ევროპის ჩემპიონსა და პეკინის ოლიმპიადის პრიზიორ **სერგეი აშვანდენს** (90) უმაღლეს სასწავლებელში სწავლას უფინანსებენ, მავან ბრიტანელ ტყვიის მსროლელს კი ჯერ თურმე ოჯახური მდგომარეობა გამოუკვლიეს, მიღებული დასკვნის საფუძველზე კი სამსახურის შოვნაში დაეხმარნენ. არანაკლებ საინტერესო იყო კახიაშვილის გამოსვლა იმ თემაზეც, როგორ ეხმარება საბერძნეთში ფედერაცია წარმატებულ სპორტმენს სამწვრთნელო კარიერის დაწყებაში - ნაკრების წევრებს ორჯერ ჩაგვიტარეს ორთვიანი სემინარი, სადაც სწორედ იმ სამწვრთნელო ნიუანსებს გვასწავლიდნენ, რასაც ჩვეულებრივ სავარჯიშო პროცესში ვერ ვისწავლიდით და ამის შემდეგ მოგვცეს სერთიფიკატიო.

დაგვეთანხმებით, საქართველოში ამგვარ მიდგომებზე ლაპარაკიც არაა. ჰოდა, მოდი და ნუ იტყვი, რომ ქართულ სპორტს გვარიანი რეფორმა სჭირდება.

**ირაკლი თავაძე**

● ჭადრაკი



მარცხნიდან: ნადეჟდა კოსინცევა და ვიქტორია ჩმილიტე

# ვიქტორია ჩმილიტე სათავეში მოექცა

„შერატონში" მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატზე სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ 4 დიდოსტატი მეწინავეობდა. გუშინ სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. **ბელა ხოტენაშვილისა** და **ელინა დანიელიანის** (სომხეთი) პარტიაში დიდი შეხლა-შემოხლა არ გამართულა 21-ე სვლაზე დაზავდნენ. სამაგიეროდ, **ვიქტორია ჩმილიტესა** (ლიტვა) და **ნადეჟდა კოსინცევას** (რუსეთი) ორთაბრძოლა გაგრძელდა დიდხანს. ბალტიისპირელმა კუთა ენდშპილში ზედმეტი პაიკი შეინარჩუნა, მერე მეორე პაიკიც მოიგო და 73-ე სვლაზე მეტოქეს საათი გააჩერებინა. ევროპის ჩემპიონატების სამგზის ვერცხლის პრიზიორი 4 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა.

დიდ ინტერესს იწვევდა მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონ **ანტოანეტა სტეფანოვას** (ბულგარეთი) და **ნინო ბაციაშვილის** შეხვედრა. მეტოქეებმა ლაზიერის გამბიტის ლასკერის ვარიანტი აირჩიეს. დებიუტში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. აი, მე-18 სვლაზე კი ქართველმა მოჭადრაკემ ბულგარელს პაიკი შესწირა და სათამაშო ინიციატივასაც დაეუფლა, რადგან სტეფანოვამ როქის გაკეთება ვერ მოახერხა და მეფე ცენტრში დარჩა.

- ოცდამეორე სვლის წინ საკმაოდ დიდხანს ვიფიქრე, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ შეტევის არასწორი გეგმა ამირჩევია - b3 სვლით მეორე პაიკის შეწირვა შეცდომა იყო, მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება მივეცი. მომდევნო ხუთ სვლაში ფორსირებულად გამოვიდა საყაიმო სიტუაცია. მუდმივი ქიშის შესაძლებლობა რომ არ გამომეყენებინა, უარეს პოზიციას მივიღებდი. დასანანია, რომ სახელოვან დიდოსტატთან უპირატესობა სასურველ დასასრულამდე ვერ მივიყვანე, თუმცა სტეფანოვასთან ნახევარი ქულის მოპოვებაც საპატიოა", - მითხრა ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ ნინო ბაციაშვილმა.

**ბაციაშვილი**



**სტეფანოვა**

**22. ... b3 23. axb3 მxe4 24. მxe4 ლ b4+ 25. მc3 ეxc3 26. ბxc3 ლxc3+ 27. ლd2 ლa1+ და ყაიმი.**

მე-4 ტურში ლიდერთაგან, ასევე, დაზავდნენ: იოლანტა ზავადსკა (პოლონეთი)-კატერინა ლახნო (უკრაინა), პია კრამლინგი (შვედეთი)-ევგენია ოვოდი (რუსეთი), ანასტასია სავინა (რუსეთი)-ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი), ლილით გალოიანი (სომხეთი)-ანა უშენინა (უკრაინა), ლელა ჯავახიშვილი-ბაირა კოვანოვა (რუსეთი), ქეთინო კახიანი-გერშინსკა (გერმანია)-სოფიკო ხუხაშვილი, ტატიანა კოსინცევა (რუსეთი)-ოლგა ზიმინა (იტალია), მირანდა მიქაძე-ნანა ძაგნიძე, დარია ჩაროჩკინა (რუსეთი)-ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), ქეთევან არახამია-გრანტი (შოტლანდია)-გულნარ მამადოვა (აზერბაიჯანი), ანუ პირველი



15 პარტიიდან 12 ყაიმით დამთავრდა და მხოლოდ სამი აღმოჩნდა შედეგიანი. ჩმილიტეს გამარჯვებაზე უკვე გითხარით. დანარჩენ ორ პარტიაში კი ჩვენებურები დამარცხდნენ: სოფიკო გურამიშვილს ანასტასია ბოდნარუკმა (რუსეთი) სძლია, სოფიო გვეტაძე კი ანა მუზიჩუკს (სლოვენია) დანებდა.

ორ-ორქულიან ქართველთა პარტიები კი ასე დასრულდა: ინგა ხურცილავა-სალომე მელია 0:1, ნინო ხურციძე-ნათია ჯანჯღავა 1:0, ნაზი პაიკიძე-ქეთი წაწალაშვილი 1:0, მაია ლომინეიშვილი-ალექსანდრე ვახანია 0,5:0,5, საბინა იბრაჰიმოვა (აზერბაიჯანი)-ინგა ჭარხალაშვილი 0:1, ლაურა როგულე (ლატვია)-ანა გავაშელი 1:0, მაკა ფურცელაძე-ანა ჰაირაპეტიანი (სომხეთი) 1:0.

ოთხი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა: ჩმილიტე-4, დანიელიანი, ხოტენაშვილი, ბოდნარუკი-3,5:3,5 ქულა. 3-3 ქულა 25-მა მოჭადრაკემ მოაგროვა. მათ შორის ჩვენებურებიც არიან - ჯავახიშვილი, ხურციძე,. პაიკიძე, ფურცელაძე, ბაციაშვილი, ხუხაშვილი, მელია და ჭარხალაშვილი.

დღეს მე-5 ტურში დანიელიანი თეთრებით ჩმილიტეს შეხვდება, ბოდნარუკი-ხოტენაშვილს. ნ. კოსინცევა-პაიკიძეს, ბაციაშვილი-პია კრამლინგს, ჭარხალაშვილი-ჯავახიშვილს, მელია-გალოიანს, კოვანოვა-ხურციძეს, ხუხაშვილი-ფურცელაძეს, ხოლო 2,5-ქულიანი ძაგნიძე კახიანი-გერშინსკას დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

● სამოყვარულო სუმო

# წარმატება ბულგარეთში

ბულგარეთის ქალაქ ვარნაში 5-8 მაისს გაიმართა ევროპის ჩემპიონატი სუმოში 18, 21-წლამდელთა და უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის. ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში 5 მედალი მოიპოვა.

18-წლამდელებში **ზურაბ აქუბარდიამ** (100 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 21-წლამდელთა შორის **ზაზა ბალაშვილმა** (მძიმე) ოქროს, დიდებში **ავთანდილ ცერცვაძემ** (აბსოლუტური) ვერცხლის და **ადამ ბალაშვილმა** ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

პირად-გუნდურ შეჯიბრებაში დიდებში ჩვენებს მესამე ადგილი ხვდათ წილად...

ჩემპიონატში 21 ქვეყნის 400-მდე მოყვარული სუმოისტი მონაწილეობდა.

**სამინისტროს პრესსამსახური**

# ზავმა ლიდერობა შეუნარჩუნა

სარაევოში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე **ბაადურ ჯობავა** გუშინ შავი ფიგურებით სომეხ **ჰრანტ მელქუმიანს** დაუზავდა და 17 ქულით ლიდერობა შეინარჩუნა. მართალია, დაწინაურების შანსი ჰქონდათ 15-ქულიან დიდოსტატებს, მაგრამ **ივან სარიჩი** (ხორვატია) და **მირჩეა-ემილიან პარლიგრასი** მშვიდობიანად დასცილდნენ ერთმანეთს, ხოლო სლოვენიელი **მატეი სებენიკი** გერმანელ **არკადი ნაიდიჩთან** დამარცხდა. შვიდი ტურის შემდეგ ჯობავას ნახევარ-ნახევარი ქულით 8 მოჭადრაკე ჩამორჩება.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# ქართული რეალობა და დასავლური მიდგომა

ამას წინათ ვეტერანმა მოჭიდავეებმა - მსაჯებმა და მწვრთნელებმა შემომჩივლეს, თბილისის გუნდს დედაქალაქის მერია ტურნირებზე ნასასვლელად არ აფინანსებს და სპორტსმენები საკუთარი ხარჯებით დადიანო. პრობლემის გარკვევაში დახმარება მედიას გვთხოვეს, რაზეც უარი არ გვითქვამს.

რატომ არ აფინანსებდა თბილისის მერია საკუთარ გუნდს, ცხადია, ამაზე განმარტებისთვის მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელ **მერაბ ჩიქობავას** მივმართეთ, რომელმაც შემდეგი გვითხრა: „წლეულს ჩვენი ბიუჯეტი შემცირდა, რის გამოც გადავწყვიტეთ, რომ საერთაშორისო რანგის შეჯიბრებები დაგვეფინანსებინა, შიდა ტურნირებზე კი უარი გვეთქვა. ამის შესახებ ყველა ფედერაციას ვაცნობეთ და საქმის კურსში ჩავაყენეთ. დედაქალაქის მერია რამდენიმე ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებას ატარებს, როგორიცაა ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკში, ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირები ჭიდაობაში და სხვა. ამდენად, საქართველოს ჩემპიონატებზე მოჭიდავეთა გუნდის დაუფინანსებლობა ბიუჯეტის შემცირებითაა გამოწვეული, თუმცა ამის შესახებ თვითონაც იცოდნენ".

მოკლედ, ასეთია რეალობა. როგორც საქართველოს და ამგვარი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, ამ შემთხვევაშიც მერიასა და თბილისის ჭიდაობის ფედერაციას შორის სეზონის დასაწყისში არ გაფორმებულა არანაირი კონტრაქტი, რომელშიც მკაცრად იქნებოდა გაწერილი მხარეთა ვალდებულებები და მათ შორის ურთიერთობა მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებების დონეზე ხორციელდებოდა. დაგვეთანხმებით, ასეთი ხელშეკრულება რომ ყოფილიყო, მაშინ მოჭიდავეებსაც ეცოდინებოდათ, როდის უნდა ჰქონოდათ მერიის იმედი და როდის - არა. შესაბამისად, არც იმის განცდა გაუჩნდებოდათ, რომ ვილაცამ მათი პრობლემები არ გაითვალისწინა. შესაბამისად, არც ჩვენ მოგვმართავდნენ დახმარებისთვის. თავის მხრივ, ვერც მეორე მხარე გაბედავდა კონტრაქტის დარღვევას და თუ მაინც მოხდებოდა ასეთი პრეცედენტი, მაშინ ფედერაციას კანონიერად მოქმედების საშუალება ექნებოდა, ახლა კი გაურკვეველი ვითარებაა.

როცა დასავლურ სისტემაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (მნიშვნელობა არ აქვს, დედაქალაქისა თუ სხვა დონის დასახლებული პუნქტისა), უარს ამბობს საკუთარი სპორტსმენების მუნიციპალურ დაფინანსებაზე. არადა, ურთიერთობის ასეთი ფორმა ძალზე მნიშვნელოვანი და პრესტიჟულია დასავლეთში ნებისმიერ თვითმმართველობით დონეზე. იქ პატივია, საკუთარი ქალაქის, სოფლის, რეგიონის, მხარისა და ა.შ. წარმატებულ სპორტსმენს რაც უფრო მეტ ფულს გადაუხდიან, რაც უფრო მეტ წვლილს შეიტანენ მისი სოციალური პირობების გაუმჯობესებაში (ეს თვითმმართველობების გარდა, ბიზნესსექტორსაც ეხება). სამწუხაროდ, ჩვენთან საპირისპირო მდგომარეობაა, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს - სპონსორობისა და მეცენატობის კულტურის არარსებობა; ეკონომიკური პოლიტიკით ბიზნესსექტორის შეზღუდული შესაძლებლობები; გაუმართავი, მოუქნელი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც სპონსორობა-მეცენატობას ძალზე ცუდად ან საერთოდ ვერ ახალისებს და ასე შემდეგ. ოღონდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბოლომდე ვერც მერიას დავადანაშაულებთ - მისი ბიუჯეტი რეალურად შემცირდა, შექმნილ ვითარებაში კი მან ისე იმოქმედა, რის საშუალებასაც რეალობა აძლევდა. ანუ აქცენტი ქვეყნის საერთაშორისო სპორტულ იმიჯზე აილო. ცხადია, შიდა შეჯიბრებებიც აუცილებელია, მაგრამ, ვთქვათ, იმავე კარტოზია-ბალავაძის ტურნირის რიგიანად ჩატარება ამაზე უფრო მნიშვნელოვანი თუ არა, არც ნაკლებია. მარტივი ჭეშმარიტებაა - როცა საბანი ბოლომდე არ გწვდება, მაშინ ფეხის გაშლაშიც შეზღუდული ხარ და მერიამაც კორექტირება იმის მიხედვით გააკეთა, რამდენითაც შეუმცირდა ბიუჯეტი. არადა, მოჭიდავეები დაფინანსებაზე მერიის უარის ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად იმასაც ასახელებდნენ, რომ თბილისის ფედერაცია აგერ უკვე სამი წელიწადია, უპრეზიდენტოდაა დარჩენილი - მთელი ეს პერიოდი **გივი ყვარელაშვილი** მოსკოვშია. ესეც ტიპური ქართული რეალობაა - საზოგადოებრივი ორგანიზაცია ამდენი ხანი ხელმძღვანელის გარეშე არ უნდა იყოს დარჩენილი. თუ ყვარელაშვილი მიზეზთა გამო ვერ ჩამოდის საქართველოში და ვერც თავის მოვალეობას ასრულებს, მაშინ ვადამდე არჩევნები უნდა ჩატარდეს და ფედერაციამ ნორმალური მუშაობა შეძლოს. ამ თემაზე საუბრისას ჩიქობავამ ერთ საგულისხმო დეტალზეც გვითხრა - სასტიკად აიკრძალა ფულის ხელზე გაცემა და ანგარიშსწორება მხოლოდ გადარიცხვით ხდება. ესეც ძალზე კარგია, რადგან სირცხვილია, ინტერნეტის, კომუნიკაციების, საბანკო სექტორის ასეთი განვითარების ეპოქაში ფული ჩანთებით დაგვქონდეს! თავის დროზე სწორედ ეს გახდა უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზი ძიუდოს ფედერაციაში, რამაც ისეთ ამბოხებამდე მიგვიყვანა - მართალია, მაშინ **შოთა ხაბარელს** ვერაფერი დაუმტკიცეს, მაგრამ ფულის ხელით ტარება ბუნტის სტიმულატორად კი ნამდვილად გამოიყენეს.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ნელნელა მაინც მივდივართ მართვის, ურთიერთობის დასავლური მოდელისკენ. იმედია, ცოტა ხანში მენტალური გარღვევა საზოგადოებრივი აზროვნების იმ ნაწილშიც მოხდება, ზემოთ მეცენატობა-სპონსორობის კულტურის არარსებობაზე რომ ვილაპარაკეთ.

ამ ბოლო ხანებში ქართველი მოჭიდავეები კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ იმ ტიპური ქართული ურთიერთობების წინაშე, რაც დასავლეთში წარმოუდგენელია. საქმე ქუთაისში გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა საქართველოს ჩემპიონატს ეხება. ამ ტურნირს ერთი დღით წინ უსწრებდა მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **დავით გობეჯიშვილის** სახელობის შეჯიბრება ონში. იქიდან წამოსულმა 9 მსაჯმა ითხოვა, თბილისში ჩამოსვლას და მეორე დილითვე ქუთაისში გაბრუნებას, ბარემ იმ ერთ ღამესაც ქუთაისში გავათევთო. ფედერაციასაც ჭკუაში დაუჯდა მათი თხოვნა და იმავე სასტუმროში - „ალავერდში" ითხოვა დამატებითი ადგილები, სადაც დელეგაცია უნდა დაბინავებულიყო. როგორც ჭიდაობის ფედერაციაში გვითხრეს, ადმინისტრაცია დაეთანხმა, თუმცა მეორე დღეს ეს ხალხი არაკომფორტულ ოთახებში გადაიყვანა. მათი თქმით, ეს არც იყო სასტუმროს ნომრები და იქ სახელდახელოდ კოსმეტიკური რემონტი მოინდომეს, თუმცა ოთახებს არ ჰქონია ნომრისთვის აუცილებელი არანაირი ატრიბუტიკა.

თურმე ნუ იტყვით და მოჭიდავეებს ასე იმიტომ მოექცნენ, რომ სასტუმროში სტუმრად... საფეხბურთო კლუბი „ოლიმპი" ჩადიოდა"! ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი მხარის - მოჭიდავეთა პოზიციას ვიცნობთ და შეფასებას არ გავაკეთებთ, მაგრამ თუ ეს მართალია, მაშინ საქმე აქაც ქართულ არაპროფესიონალიზმთან გვაქვს. უცხოეთში შეთანხმების ამგვარი დარღვევისთვის მოდავე მხარე ადმინისტრაციას აუცილებლად უჩივლებდა. თან აქაც იგივე ვითარებაა - წერილობითი შეთანხმება ანუ იურიდიული დოკუმენტი არც ამ შემთხვევაში არსებობს და ყველაფერი კვლავაც სიტყვიერი შეთანხმებით ხდება.

**ირაკლი თავაძე**

ფრენბურთი


ფინალისტები

# ისევ და ისევ ჯიკო

საქართველოს რეგიონებში სპორტის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურისადმი ყურადღების გაძლიერებამ და ახალი კეთილმოწყობილი სპორტული კერების შექმნამ დიდად შეუწყო ხელი სპორტის ცალკეული სახეობის პოპულარიზაციას, რაც თავისთავად მასობრიობისთვის საუკეთესო ფონს ქმნის. სპორტის პოპულარობას და განვითარებას კი ეროვნული ჩემპიონატების რეგიონებში გატანაც აძლევს სტიმულს.

ადრე ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ მარნეული უმასპინძლებდა ფრენბურთში საქართველოს ჩემპიონატს. ახლა ეს რეალობაა და ფრენბურთის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი **ლევან ახვლედიანი**) ყველაფერი გააკეთა, რომ ქალთა საქართველოს 2010-2011 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მარნეულის ახალ სპორტულ დარბაზში ზეიმად ექცია.

ჩემპიონობისთვის 4 რჩეული გუნდი იბრძოდა - „თბილისი", თსუ, „ბათუმი" და დიდი ჯიხაიშის „ჯიკო". ფრენბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ამ ოთხეულიდან ყველაზე გამოცდილი, ტიტულოვანი და მაღალი ოსტატობითაც გამორჩეული ტრადიციულად დიდჯიხაიშელები არიან. ისინი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. ნახევარფინალში მისი მეტოქე „ბათუმი" იყო, რომელიც 3:1 დაამარცხა, დაძაბულ ფინალურ შეხვედრაში კი „თბილისს" 3:2 სძლია და კიდევ ერთხელ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული.

მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი მანამდე „თბილისის" მძლეველ (3:0) თსუ-ს „ჯიკოსთან" დამარცხებული „ბათუმი" დაუპირისპირდა. ბათუმელებმა მატჩი 3:0 მოიგეს და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

**თენგიზ თომაშვილი**

სუმო. ნაცუ ბაშო. 8-22 მაისი

# ტოჩინოშინი ორასს უმიზნებს

**ლევან გორგაძისთვის (ტოჩინოშინი)** გუშინდელი გამარჯვება გამოცდილ **ვაკანოსატოზე** კარიერაში 199-ე იყო. ასე რომ, დღეს ქართველი რიკიშისთვის 36 წლის მონღოლი **კიოკუტენჰოს** ძლევა საიუბილეო, მე-200 იქნება. ტოჩინოშინისთვის ნაცუ ბაშო დიდებულად დაიწყო, ის დაუმარცხებელ ექვსეულშია, რომელსაც სათავეში დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** უდგას. აი, სხვა ქართველ სუმოისტებზე იმავეს ვერ ვიტყვით.

გუშინ ტოჩინოშინს ვაკანოსატო ეჭიდავა, რიკიში, რომელიც ბოლო წლებში ყველაზე დიდი ხნის განმავლობაში ფლობდა სუმოს იერარქიაში მესამე წოდებას - სეკივაკეობას. იაპონელმა ხერხი იხმარა და 23 წლის ქართველის ჰატაკიკომიზე დაჭერა მოინდომა, მაგრამ ტოჩინოშინმა ცაციათი იგდო ხელთ მეტოქის მავაში და შემდეგ ვეტერანი დოჰიოდან გაიყვანა. კიოკუტენჰო მონღოლური სუმოს პიონერია იაპონიაში. მას ჩვენებური აქამდე ხუთჯერ შეხვედრია, 3:2 წინ კიოკუტენჰოა.

**გაგამარუსთვის (თეიმურაზ ჯუღელი)** ეს მე-5 ბაშოა უმაღლეს დივიზიონში და, თუ დროულად არ გამოფხიზლდა, დაქვეითება არ აცდება. გუშინ ჩვენებურმა **კიმურაიამას** ზურგი შეაქცია, რითაც იაპონელმა უმალ ისარგებლა და ოკურიდაშით გაიყვანა ქართველი დოჰიოს რკალიდან. გაგამარუს 1-2 ბალანსი აქვს და დღეს დაუმარცხებელ **ტოიოჰიბიკის** ხვდება. ქართველის არ იყოს, ტოიოჰიბიკიც დიდწონიანი სუმოისტია - 200-კილოიანი გაგამარუ, 170-კილოიან იაპონელს შეერკინება.

ძურიოს დივიზიონში ზედიზედ მესამე მარცხი იგემა **ლევან ცაგურიამ (კოკაი)**. „შავი ზღვა" ამჯერად ჰატაკიკომიზე გამოიჭირეს. დღეს ჩვენებური **სადანოფუჯის** შეხვდება.

პუბლიკა კვლავ აღაფრთოვანა დიდმა ჩემპიონმა, ჰაკუჰომ მე-3 ორთაბრძოლა წინა ორზე უკეთ ჩაატარა და ამჯერად მე-2 მაეგაშირა **ჰომაშოს** 2 წამში მოუმთავრა საქმე. ოთხი ჩემპიონიდან (ოძეკი) დაუმარცხებელი მხოლოდ **ბარუტო** იყო და გუშინ ესტონელმაც წააგო. მას პირველმა მაეგაშირა **გოეიდომ** კონტრშეტევაზე აჯობა და გოლიათი თიხნარზე დაანარცხა.

**III დღე**

**მაკუუჩი:** ჰაკუჰო-ჰომაშო (იორიკირი), გოეიდო-ბარუტო (უვატენაგე), ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა (იორიტაოში), კიტატაიკი-კოტოოშუ (ჰატაკიკომი), კაიო-ტოჩიოძანი (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-ოკინოუმი (იორიკირი), კაკურიუ-კისენოსატო (იორიკირი), ამინიშიკი-ტაკეკაძე (ოშიდაში), ტამავაში-არანი (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-ვაკანოსატო (იორიკირი), იოშიკაძე-შოტენრო (ოშიდაში), ასასეკირიუ-კიოკუტენჰო (იორიკირი), ტოსაიუტაკა-ვაკაკოიუ (ჰიკიოტოში), ტოჩინოვაკა-ტოკიტენკუ (ოშიდაში), ტოიოჰიბიკი-ტაკამისაკარი (იორიკირი), კიმურაიამა-**გაგამარუ** (ოკურიდაში), კაისეი-ტოჩინონადა (ოშიდაში), მიაბიამა-ტაკარაფუჯი (ოშიდაში). ძურიო: სადანოუმი-**კოკაი** (ჰატაკიკომი).


ტოჩინოშინი

**3-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), ტოჩინოშინი (მაეგაშირა 6), ასასეკირიუ (მ 9), ტოიოჰიბიკი (მ 12), კაისეი (მ 16).

**IV დღე**

**მნიშვნელოვანი ბრძოლები, მაკუუჩი:** ჰაკუჰო-ტოჩიოძანი, ჰარუმაფუჯი-გოეიდო, კოტოოშუ-ჰომაშო, კაიო-კიტატაიკი, ბარუტო-ამინიშიკი, კისენოსატო-ტოიონოშიმა, კოტოშოგიკუ-კაკურიუ, ტაკეკაძე-ვაკანოსატო, არანი-ოკინოუმი, **ტოჩინოშინი**-კიოკუტენჰო, **გაგამარუ**-ტოიოჰიბიკი. ძურიო: **კოკაი**-სადანოფუჯი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი


ანა ტატიშვილი

# მიზანი - ნახევარფინალი

გასულ კვირაში **ანა ტატიშვილმა** ეროვნულ ნაკრებში თამაშს კანის საერთაშორისო ტურნირში გამოსვლა არჩია. ამით ჩვენმა პირველმა ჩოგანმა დიდად ვერ იხეირა, ხოლო ჩვენი გუნდი ისევ „ფედერაციის თასის" რანგით მე-4 ლიგაში ჩარჩა. მართალია, 21 წლის ქართველს ახლა უფრო მეტი სარეიტინგო ქულა აქვს, მაგრამ ის კვლავ მსოფლიოს 105-ე ჩოგანია. მე-100 ადგილზე მყოფ **სანდრა ზაჰლალოვას** 640 ქულის მქონე ტატიშვილი 21 ქულით ჩამორჩება. წლის რბოლაში ჩვენი თანამემამულე 71-ე პოზიციაზეა, წყვილთა რეიტინგში - 133-ე.

სხვა ქართველები რეიტინგში, WTA: 189 (-2) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 310 ქულა; 224 (-3) **მაკა ჩახნაშვილი** - 251; 274 (+6) **სოფიო შაფათავა** - 195; 306 (-2) **თათია მიქაძე** - 162; 412 (+17) **სოფიო ქვაცაბაია** - 95; 492 (+16) **ეკა გორგოძე** - 72; 780 (-3) **მანანა შაფაქიძე** - 22. ATP: 665 (+4) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 25 ქულა; 828 (-1) **ლადო ჩიხლაძე** - 13.

ტატიშვილი ფრანგულ სენ გოდენშია, სადაც ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათას დოლარზე მეტია. ჩვენებური ტურნირის მე-2 ჩოგანია და პირველ წრეში მასპინძელ **ანაის ლორენდონს** (215) ხვდება. მიზნის (ასეულის) მისაღწევად, მას, შესაძლოა, მეოთხედფინალში გასვლაც ეყოს, ნახევარფინალისტობის შემთხვევაში კი მომავალ ორშაბათს ყველა ვარიანტში გვეყოლება წარმომადგენელი საჩოგბურთო ელიტაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### სუპერლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები



# ახალი ჩემპიონის მოლოდინში

სუპერლიგის ნახევარფინალში „არმია“, „სოხუმი“, თსუ და „ქუთაისი“ თამაშობენ. მათგან ერთსაც არ მოუგია საქართველოს პირველობა, რაც იმას ნიშნავს, რომ წლეულს ახალი ჩემპიონი გვეყოლება. რომელი გუნდის სახელწოდება დაიწერება ჩემპიონისთვის განკუთვნილ თასზე, მაისის ბოლოს ვნახავთ, მანამ გასარკვევი გვაქვს, ვინ ითამაშებს ფინალში.

ნახევარფინალური ეტაპი გუშინ სპორტის სასახლეში დაიწყო და ჯერჯერობით ლოგიკას თავისი გააქვს - რეგულარული ეტაპის პირველადგილოსანმა „არმიამ“ მეხუთე ადგილზე გასული „სოხუმი“ დაამარცხა, ხოლო მეორემ, თსუ-მ - მესამეადგილოსანი „ქუთაისი“. სერიის (სამ მოგებამდეა) მეორე მატჩები დღეს გაიმართება.



### 10 მაისი. თბილისი, სპორტის სასახლე

**არმია-სოხუმი 66:52**

14:19, 18:18, 18:8, 16:7

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

კომისარი: რ. ხომერიკი.

| არმია | წთ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაქრაძე | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბაბიაშვილი | 20 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| ბოისა | 34 | 6 | 2 | 1 | 0 | 3 | 0 | 10 |
| მინაშვილი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 |
| ტულუში | 35 | 6 | 4 | 0 | 0 | 2 | 2 | 15 |
| პირველაშვილი | 7 | 3 | 0 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ათანელიშვილი | 18 | 7 | 1 | 0 | 1 | 2 | 2 | 6 |
| ათუაშვილი | 8 | 3 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 6 |
| საყვარელიძე | 29 | 8 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 | 9 |
| შარაბიძე | 25 | 7 | 0 | 0 | 0 | 3 | 4 | 14 |
| გ. ბერიშვილი | 17 | 3 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 1 |

| სოხუმი | წთ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფარლალავა | 28 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 8 |
| ჰარისი | 35 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 1 | 6 |
| ჩლაიძე | 20 | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 0 | 6 |
| კვიტენაძე | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 |
| შანიძე | 18 | 2 | 0 | 0 | 0 | 3 | 1 | 1 |
| სორდია | 14 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 | 3 |
| კანკია | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| კოპალიანი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კ. დამუსი | 22 | 7 | 0 | 0 | 0 | 3 | 2 | 10 |
| რ. დამუსი | 22 | 9 | 0 | 0 | 4 | 4 | 1 | 7 |
| ფაცაცია | 32 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 3 | 9 |

დაწინაურდა „არმია“ 1:0

შენიშვნა: წთ - წუთი, ქ - ქულა, მ - მოხსნა, პ - პასი, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, შ - შეცდომა.

### 10 მაისი. თბილისი, სპორტის სასახლე

**თსუ-ქუთაისი 97:64**

24:22, 24:19, 20:12, 29:11

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერიშვილი

კომისარი: მ. რატიშვილი

| თსუ | წთ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხიზანიშვილი | 6 | 0 | 0 | 0 | 1 | 2 | 1 | 7 |
| ფანჩულიძე | 32 | 7 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 18 |
| გაფრინდაშვილი | 33 | 4 | 5 | 1 | 0 | 3 | 1 | 1 |
| მარხვაშვილი | 20 | 2 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 9 |
| კოხრეიძე | 6 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ლონდარიძე | 21 | 12 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 21 |
| კორკოტაძე | 9 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 3 |
| ჩიტაშვილი | 18 | 3 | 2 | 1 | 0 | 2 | 2 | 7 |
| მათიაშვილი | 19 | 8 | 1 | 1 | 0 | 3 | 2 | 10 |
| ზ. დეკანოიძე | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მ. ბერიშვილი | 31 | 11 | 0 | 2 | 0 | 2 | 4 | 21 |
| ჩქარეული | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

| ქუთაისი | წთ | მ | პ | ჩ | დ | ფ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაბუნაშვილი | 27 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 0 | 7 |
| დიდია | 32 | 2 | 1 | 1 | 4 | 3 | 2 | [illegible] |
| კვიმსაძე | 31 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 | 4 | 14 |
| ტუკვაძე | 10 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ბოლქვაძე | 15 | 3 | 2 | 2 | 0 | 4 | 3 | 0 |
| ლომინაშვილი | 13 | 2 | 0 | 0 | 2 | 2 | 1 | 7 |
| გ. ბარბაქაძე | 26 | 5 | 1 | 2 | 0 | 2 | 2 | 10 |
| ცეკვავა | 20 | 4 | 3 | 2 | 0 | 4 | 1 | 5 |
| კოლუაშვილი | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 2 |
| ძორიძე | 10 | 1 | 0 | 1 | 0 | 3 | 1 | 4 |
| მესხი | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კუჭავა | 5 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |

დაწინაურდა თსუ - 1:0

შენიშვნა: წთ - წუთი, ქ - ქულა, მ - მოხსნა, პ - პასი, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ფ - ფოლი, შ - შეცდომა.

### მეხუთე-მერვე ადგილები

10 მაისი, თბილისი

**სამედიცინო 111**
**სტუ 73**

33:10, 30:16, 31:20, 17:27

**სამედიცინო:** გულისაბედაშვილი (13ქ), ჩაჩიბაია (15ქ), ს. ლეჟავა (12ქ, 6მ, 4პ, 3ჩ), თავართქილაძე (12ქ, 3პ), ბექაური (13ქ, 9მ, 3დ), გაბისონია (6ქ, 8მ), ჭოჭუა (11ქ), ფაიქრიძე (8ქ), დვალიშვილი (15ქ, 10მ, 3პ, 3ჩ), როჯერსი (6ქ, 4პ)

**სტუ:** ჭოხონელიძე, ვ. ბერუაშვილი (15ქ, 6მ, 4ჩ), ჩიკვილაძე (16ქ, 5მ, 4პ), ლომოური (6ქ), გასიტაშვილი (3ქ), მაჩალაძე (7ქ, 5ჩ), თევზაძე (4ქ), ჯანგველაძე (10ქ, 5მ), ლაშქარაძე, ძიძიგური (5ქ, 3პ), ახალკაცი (7ქ, 5მ)

10 მაისი, თბილისი

**შსს 91**
**ენერჯი 76**

23:17, 15:22, 24:19, 29:18

**შსს:** ლაფანაშვილი (16ქ, 6მ, 5პ), ნიკოლაძე (16ქ, 6მ, 3ჩ), ი. ბერიშვილი (8ქ, 5პ, 3ჩ), ტუჯანი (4ქ, 5მ), დ. ბარბაქაძე (10ქ, 5მ), იმნაძე (19ქ, 7მ), შერმადინი (6ქ), დეკანოიძე, ტომარაძე (12ქ, 4პ)

**ენერჯი:** გ. ბერუაშვილი (3ქ), აბაიშვილი (17ქ, 11პ), გუგავა (17ქ, 13მ), ლამუ (25ქ, 7მ, 2დ), თვარაძე, არაბული (6პ), აბულაძე (14ქ, 3პ)

# წვერით მწვერვალისკენ

გამოცდილმა ჟურნალისტმა მატჩის დაწყებისას თქვა: თანახმა ვარ, თბილისში „სოხუმმა“ მოიგოს, ოღონდ სოხუმში „არმიამ“ გაიმარჯვოსო...

გუშინ არმიელებმა კიდევ ერთხელ დაგვანახეს საკუთარი ძალა - სეზონში 22-ე მატჩი მოიგეს (ერთადერთი წაგება აქვთ). არადა, პირველ ტაიმში **ლევან მოსეშვილის** შეგირდები მდევრის როლში იყვნენ: დაცვით თამაშში, ორივე გუნდი თითოეული ქულისთვის ბევრს ბრძოლობდა, თუმცა რამდენჯერმე პერიმეტრზე თავისუფალ პოზიციაში მაინც აღმოჩნდნენ „სოხუმელები“ და პირველი ნახევარი 5 ქულის სხვაობით რომ მოიგეს, სწორედ სამქულიანების შედეგი იყო. „სოხუმმა“ 4 შორეული ტყორცნა გამოიყენა, „არმიამ“ - 1. იყო კიდევ ერთი ნიუანსი, რამაც პირველი ტაიმის შედეგზე იქონია გავლენა: არმიელები საჯარიმოებს ვერ აგდებდნენ - 13-დან 3 გამოიყენეს.

23-ე წუთისთვის **აინარს ბაგაცკისის** შეგირდები 44:37-ს იგებდნენ, თუმცა 44-ზე გაიყინნენ და მეტოქეს 13:0 გაქცევის უფლება მისცეს. სპურტისას ორქულიანები გამოიყენეს **საყვარელიძემა** და **შარაბიძემ**, ხოლო სამქულიანები - **ტულუშმა** და **ბოისამ**.



არმია-სოხუმი. საყვარელიძის ეფექტური გდება

მატჩის ბედი სწორედ კოტე ტულუშისა და ანატოლი ბოისას ზუსტმა შორეულმა ტყორცნებმა გადაწყვიტეს: კოტემ სირენამდე 7:40 წუთით ადრე შეარხია „სოხუმის“ კალათის ბადე, ხოლო ზუსტად 42 წამში იგივე ანატოლიმ გაიმეორა და „არმიას“ 11-ქულიანი ფორა დაუბევა. **ირაკლი სორდიას** სამქულიანს „სოხუმელები“ თითქოს უნდა გამოეფხიზლებინა, მაგრამ გულშემატკივრებით შეგულიანებული და ათამაშებული „არმიას“ შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მეორე ტაიმში სამქულიანების მაჩვენებელი საპირისპიროდ შებრუნდა - „არმიამ“ 4 ჩააგდო, „სოხუმმა“ - 1. ძალოვნებმა გამოასწორეს საჯარიმოების რეალიზების პროცენტულობაც - მეორე ტაიმში 11-დან 8 გამოიყენეს. ასევე თვალში საცემი იყო გამარჯვებულთა უპირატესობა მოხსნებში - 51:39.

ვნახოთ, მეორე მატჩში რას შემოგვთავაზებენ გუნდები, გუშინდელი დამღლელი მატჩის შემდეგ სადღეისოდ ვის უფრო მეტი ენერგია შერჩება...

## კომენტარი
### კოტე ტულუში
(არმია)

- სერია ახლა დაიწყო, ამიტომ, ჯერ პირველი ტაიმიც არ გვაქვს მოგებული - ფინალში გასასვლელად 3 მატჩში გამარჯვებაა საჭირო. „სოხუმი“ დაცვის ხარჯზე დავამარცხეთ.

- თუ დააკვირდებით, ბოლო მატჩებში თამაშს ჩვენს სასარგებლოდ გადამწყვეტ მომენტში ვატრიალებთ. ასე იყო შსს-სთან, „ენერჯისთან“, „სოხუმთან“... ამას ბრძოლისუნარიანობისა და ერთსულოვნების ხარჯზე ვალწევთ, რისი სიმბოლოც სწორედ წვერია, რომელიც „არმიას“ ყველა კალათბურთელს გვაქვს მოშვებული.

- მეორე მატჩიც რთული იქნება, „სოხუმი“ არ არის ის გუნდი იოლად რამე დათმოს.

## კალენდარი

**11 მაისი**

**თბილისი**

| | |
|---|---|
| 12:00 | სტუ-ენერჯი |
| 14:00 | თსუ-ქუთაისი |
| 16:00 | არმია-სოხუმი |
| 18:00 | შსს-სამედიცინო |

**13 მაისი**

**თბილისი**

| | |
|---|---|
| 14:00 | სოხუმი-არმია |

**ქუთაისი**

| | |
|---|---|
| 18:00 | ქუთაისი-თსუ |

**14 მაისი**

**თბილისი**

| | |
|---|---|
| 14:00 | სოხუმი-არმია* |

**ქუთაისი**

| | |
|---|---|
| 18:00 | ქუთაისი-თსუ* |

* - თუ საჭირო გახდა

## ლეგიონერი
### როკი განელდა

ესტონეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში ფიასკოს წინაშეა „ტარტუ როკი“, რომელმაც „კალევთან“ მესამე მატჩიც წააგო. სერიაში, რომელიც ოთხ მოგებამდეა, ტალინელები 3:0 დაწინაურდნენ და ჩემპიონობამდე ერთი გამარჯვებალა აშორებთ.

მესამე შეხვედრა ტარტუში გაიმართა და „კალევის“ ათქულიანი უპირატესობით დასრულდა - 77:67. „როკის“ მწვრთნელმა **ინდრიკ ვესპაანუმ გიორგი ცინცაძე** სასტარტო ხუთეულში არ შეიყვანა, 22 წუთი ათამაშა. ქართველმა პლეიმეიქერმა 6 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა, 5 ორქულიანი და 2 საჯარიმო ისროლა რომელთაგან 2-2 ჩააგდო.

სერიის მეოთხე შეხვედრა 14 მაისს „როკის“ მოედანზე გაიმართება.

# თსუ-მ 1:0 მოხსნა



თსუ-ქუთაისი. ქუთაისურის ფარქვეშ

თსუ-“ქუთაისი“63:86, 82:100... რეგულარულ ეტაპზე ქუთათურებმა თსუ-ს ორივე მატჩი მოუგეს, ორივე დამაჯერებლად. არადა, სტუდენტებს წლევანდელ ჩემპიონატში სულ ოთხი მატჩი აქვთ წაგებული. ნახევარფინალებამდე სტატისტიკა „ქუთაისის“ მხარეს იყო, მაგრამ თსუ-მ წინაისტორია პლეი ოფების წინ დაივიწყა, „ქუთაისთან“ სათამაშოდ სათანადოდ მოემზადა და სერიაში 1:0 დაწინაურდა.

აი, რა იგულისხმება სათანადოდ მომზადებაში: ქუთათურები რეგულარულ ჩემპიონატში მონაწილე 11 გუნდს შორის ყველაზე კარგად ისროდნენ სამქულიანებს - 511-დან 160 აქვთ ჩაგდებული (31.3 პროცენტი). აქედან გამომდინარე, თსუ-ს მთავარი ამოცანა პერიმეტრის გადაკეტვა იყო, რასაც მეტ-ნაკლებად კარგად გაართვა თავი. განსაკუთრებით მეორე ტაიმში.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ფარქვეშ უპირატესობის მოპოვება. თსუ-მ ეს „არმიასთანაც“ კარგად შეძლო და „ქუთაისთან“ სულაც მთავარ კოზირად უნდა გამოეყენებინა. ასეც მოხდა - ნუგზარ ქეიშვილის გუნდმა მოხსნებში 57:32 იმარჯვა. ხაზგასასმელია „ქუთაისის“ ფარზე აღებული ბურთების „ურიცხვი“ რაოდენობა - 29. სამწამიან ზონაში თბილისელთა უპირატესობა **რიჩარდ მათიაშვილმა** (10 ქულა, 8 მოხსნა), **ილია ლონდარიძემ** (21 ქულა, 12 მოხსნა) და **მიხეილ ბერიშვილმა** (21 ქულა, 11 მოხსნა) განაპირობეს.

პერიმეტრზე კი შეუჩერებელი იყო **მიხეილ ფანჩულიძე**, რომელმაც სამქულიანები 60-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა - 10-დან 6 ჩააგდო.

ასე და ამგვარად, სერია გამარჯვებით თსუ-მ გახსნა (97:64), თუმცა „ქუთაისიც“ სერიოზული გუნდია და უნდა ვივარაუდოთ, რომ დღეს უფრო თანაბარ თამაშს ვიხილავთ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**
*გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები*

## კომენტარი
### მიხეილ ფანჩულიძე
(თსუ)

- ასეთი სხვაობით მოგებას ნამდვილად არ ველოდით, თუმცა ნახევარფინალებისთვის ინტენსიურად ვემზადებოდით და ვიცოდით, რომ შედეგი აუცილებლად გვექნებოდა. სწორი ტაქტიკის წყალობით მოვიგეთ.

- რაც შეეხება 6 ჩაგდებულ სამქულიანს, თანაგუნდელების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, სატყორცნ პოზიციაზე მტოვებდნენ და სხვა რა დამრჩენოდა... თუმცა მხოლოდ პერიმეტრიდან შეტევა არ მიმაჩნია გამართლებულად, ფარქვეშ უფრო უნდა გავაქტიურდე.

- „ქუთაისი“ მრავალმხრივი გუნდია და დარწმუნებული ვარ, მეორე მატჩის წინ გადაეწყობა, ტაქტიკას შეცვლის... არც ჩვენ გავჩერდებით ერთ ადგილზე.

საქართველოს ჩემპიონატი

# მამა-შვილი კობახიძეები: ვემსახურებით სამშობლოს!


ბურთით ბახვა კობახიძე

| | |
|---|---|
| ყოჩები | 6 |
| არმია | 23 |

**ყოჩები** (15-9) მახარაშვილი, გეგენავა (კოშკრიძე 68), მაისურაძე, ინაშვილი, ს.ნიჟარაძე, კვარაცხელია, ბეგაძე (ხელაძე 70). (1-8) გოგეშვილი (ანთიძე 59), მამუკაშვილი (ნიკლაური 73), ხოსიტაშვილი (ბეჟუაშვილი 60), ბელაშვილი, არჩუაშვილი, გრძელიშვილი, ცხვედიანი (ცუცქირიძე 67), ილიაევი.

**2ს:** მახარაშვილი.

**სინბინი:** ბეგაძე, გრძელიშვილი

**არმია** (15-9) ბ.კობახიძე, ქავთარაშვილი, მჭედლიძე, ნადარეიშვილი, ნუცუბიძე, ელიზბარაშვილი (ბაირამაშვილი 62), სამხარაძე (ზაბახიძე 65). (1-8) ქორიძე, ნატრიაშვილი (კაკოვინი 72), ნავროზაშვილი (მამრიკიშვილი 62), ბიწაძე, კიკვიძე (კ.კობახიძე 20), კალმახელიძე, დარასელია, ცხადაძე (კილასონია 50).

**2ლ:** საჯარიმო, ნუცუბიძე, 3ს,2გ: ბ.კობახიძე

**მსაჯი:** ნ.რობიტაშვილი

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ჩემპიონატის მე-5 ტურის მატჩები საინტერესო, დაძაბულ ბრძოლებში წარიმართა. ტურის ცენტრალურ შეხვედრაში, მალთაყვაში ქუთაისის „აიამ“ ერთ-ერთ ფავორიტ თბილისის „ლელოს“ უმასპინძლა და 31:25 დაამარცხა. ქუთათურებმა ხუთი თამაშიდან ხუთივე მოიგეს, გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობენ და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს საჩემპიონო ამბიციების საფუძვლიანობა.

„აიას“ კვალში ჩაუდგა უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „არმია“, რომელმაც „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ გათამაშების აუტსაიდერ „ყოჩებს“ - 23:6 მოუგო. არმიელებმა წინა ტურში „აკადემიასთან“ ფრედ ნათამაშებ მატჩში მიღებული გაკვეთილი გაითვალისწინეს და, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს ყველა მატჩი წაგებული აქვს და ღრმა კრიზისს განიცდის, მაქსიმალურად მობილიზებულად გაისარჯნენ.

ცხადია, „ყოჩებს“ უბრძოლველად არაფერი დაუთმია, ამ გუნდს ასეთი რამ არ სჩვევია. ის ყოველთვის გამოირჩეოდა ბოლომდე ჟინიანი ბრძოლის უნარით, თუმცა ახლა გუნდს სხვა, საკმაოდ მწვავე პრობლემა, მოკლე სათადარიგო სკამი აწუხებს. ეს განსაკუთრებით შერკინების პირველი ხაზის თამაშში იგრძნობა.

„არმია“, როგორც უკვე ვთქვით, დასაწყისიდანვე შეუდგა გამარჯვებისკენ მიმავალი გზის ძებნას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა, მეტოქის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. „ყოჩები“ რაკში თამაშისას დაჯარიმდა და ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** 40 მეტრიდან გაიტანა - 3:0.

„არმიამ“ გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება 36-ე წუთზე შეძლო. მანამდე კი ანგარიში „ყოჩებს“ მიჰყავდა. ფულბეკმა **შავლეგ მახარაშვილმა** მე-9 და მე-16 წუთებზე ორი საჯარიმო გაიტანა - 6:3. მან მალევე კიდევ ერთხელ დაარტყა საჯარიმოდან, მაგრამ არაზუსტად.

ამას პირველი ტაიმის 30-ე წუთზე „ყოჩების“ მასირებული შეტევა მოჰყვა. მათ საჯარიმოს დარტყმის უფლება კიდევ ერთხელ მოიპოვეს, მაგრამ ამჯერად ბურთი აუტში გადაიტანეს. დერეფანი მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში მოიგეს, მოლის დაყენება სცადეს, არ გამოუვიდათ, თამაში რაკში გადავიდა. იქ კი არმიელები ისევ დაჯარიმდნენ. „ყოჩებმა“ საჯარიმო გაათამაშეს. მორკინალების რამდენიმე მოკლე დარტყმის შემდეგ, რაკში თამაშისას ბურთი დაკარგეს და „არმიამ“ ვითარება განმუხტა.

არმიელებმა, შედეგიანი კონტრიერიში წამოიწყეს. მათ რიგებში გამორჩეულები საქართველოს ნაკრების წევრები **ბიძინა სამხარაძე** და **ირაკლი ნატრიაშვილი** იყვნენ. შესანიშნავად ითამაშა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების შუამარბმა **თამაზ მჭედლიძემ**. საუკეთესო კი, უდავოდ იყო შეცვლაზე შესული ვეტერანი **კახა კობახიძე**, რომელმაც გუნდის თამაში ბევრად აგრესიული, ცოცხალი და ეფექტური გახადა.

35-ე წუთზე „არმიამ“ დაწინაურება შეძლო. მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ათ მეტრში არმიელებმა საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს, მაგრამ დარტყმის სანაცვლოდ შერკინება მოითხოვეს. არც შემცდარან. შერკინება სამჯერ მოეწყო და „ყოჩებმა“ სამივეჯერ დაარღვიეს თამაშის წესი. მატჩის არბიტრმა საჯარიმო ლელო დააფიქსირა. ბახვა კობახიძემ გარდასახა - 10:6.

თამაშის მშვენება კი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე მგეზავი **გიორგი ელიზბარაშვილის** დიდოსტატური არეკნი იყო. „არმიას“ მორკინალებმა დარტყმის არეალი შესანიშნავად გაწმინდეს და ელიზბარაშვილმა არეკნი 35 მეტრიდან, დაჰკრა - 13:6.

შესვენების შემდეგ „ყოჩები“ ბევრს ეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ გუნდს თამაშში სიმწყობრე აკლდა და მორაგბეები სწორ ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ.

„არმიას“ ფულბეკმა ბახვა კობახიძემ 46-ე წუთზე კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა - 16:6. ოთხ წუთში კი სამხარაძის, ნატრიაშვილის და მჭედლიძის შესანიშნავ თამაშს გარემარბ **რატი ნუცუბიძის** გარღვევა მოჰყვა, რომელმაც ლელოში შეაღწია, ბახვამ ესეც გარდასახა - 23:6.

თამაშის დამთავრებამდე დარჩენილ 30 წუთში ორივე გუნდმა არაერთი ხელსაყრელი მომენტი შექმნა, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა.

ლევან ცაბაძე, „არმიას“ მწვრთნელი:

*„გუნდმა დასახული ტაქტიკური მონახაზი ნაწილობრივ შეასრულა. ჯერჯერობით ყველაფერი ისე არ გამოგვდის, როგორც ვგეგმავთ და გვინდა. ეს გასაგებიცაა, რადგან ახალი გუნდია, ბევრი ახალი მორაგბე გვყავს და შესათამაშებლად დრო გვჭირდება. რამდენიმე თვის შემდეგ, ვფიქრობ, ბევრად უკეთესი გუნდი გვეყოლება“*

**ნიკოლოზ ჭავჭავაძე,** „არმიას“ მთავარი მწვრთნელი:

*„ამ მატჩში ახალი ტაქტიკური მონახაზით ვითამაშეთ, ამიტომ ყველაფერი არ გამოგვივიდა. წინა თამაშის შემდეგ ხუთდღიანი მონაკვეთი გვქონდა და ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ახლის სრულყოფილად შესასწავლად. თუმცა მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ნაწილობრივ მაინც მოვახერხეთ დასახული ტაქტიკური მონახაზის განხორციელება.*

*სამომავლოდ, „არმია“ კიდევ უფრო მაღალი დონის რაგბის ითამაშებს, მით უფრო, რომ სატრანსფერო სეზონზე უცხოეთში მოთამაშე რამდენიმე ქართველი მორაგბის დამატებას ვაპირებთ“.*

### V ტური

აია-ლელო 31:25, ხარები-ლოკომოტივი 5:22, აკადემია-არმაზი 26:26

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 5 | 5 | 0 | 0 | +82 | 10 |
| 2.არმია | 5 | 3 | 1 | 1 | +18 | 7 |
| 3.ლელო | 5 | 3 | 0 | 2 | +39 | 6 |
| 4.ლოკ. | 5 | 3 | 0 | 2 | +32 | 6 |
| 5.არმაზი | 5 | 2 | 1 | 2 | -24 | 5 |
| 6.აკადემია | 5 | 1 | 2 | 2 | -17 | 4 |
| 7.ხარები | 5 | 1 | 0 | 4 | -59 | 2 |
| 8.ყოჩები | 5 | 0 | 0 | 5 | -69 | 0 |

### VI ტური

არმია-არმაზი, ყოჩები-აია, ლელო-ხარები, ლოკომოტივი-აკადემია


მარცხნიდან პირველი (44) კახა კობახიძე

პრესკონფერენცია


მარცხნიდან: გიორგი ენუქიძე, ბექა მაზმიშვილი და ზვიად ცუხიშვილი

# ვიენისა და კორსიკას გამოძახილი

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებები საფრანგეთიდან, ვიენისა და კორსიკის ტრადიციული ტურნირებიდან ტრიუმფით დაბრუნდნენ. ჩვენმა მორაგბეებმა ჯამში გამართული 18 მატჩიდან 16 მოიგეს. „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ ნაკრების მწვრთნელებმა და მოთამაშეებმა პრესკონფერენცია გამართეს.

**გიორგი მამარდაშვილი,** საქართველოს რაგბის კავშირის საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტის ხელმძღვანელი:

*„ვიენასა და კორსიკაში მოზარდ მორაგბეთა ტრადიცული ტურნირები დიდი ხანია ტარდება. ჩვენ ამ შეჯიბრებაში 2009 წლიდან ჩავერთეთ. ორი წლის წინ წარმატებული დებიუტი გვქონდა, ვიენას ტურნირი მოვიგეთ. წლეულსაც თითქმის მაშინდელი შედეგი გავიმეორეთ, ფინალში საკმაოდ ძლიერ გუნდთან დავმარცხდით.*

*ალსანიშნავია, რომ აქვე 17-წლამდელთა შეჯიბრებაც იმართება, გვინდოდა ამ ასაკის მორაგბეთა ტურნირზეც გაგვეშვა გუნდი, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. არადა, ეს ასაკი გარდამავალი ეტაპია, ბავშვთა რაგბიდან მოზრდილთა რაგბისაკენ. „უვერტიურა“- სწორედ ამიტომ დაარქვეს ამ ტურნირს ფრანგებმა“*

**ზვიად ცუხიშვილი,** საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი:

*„ვიენის ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, საფრანგეთის რეგიონების ნაკრებებთან ერთად აქ დედაქალაქების გუნდებიც ასპარეზობდნენ. ლიტვა ქვეყნის ნაკრებით იყო წარმოდგენილი. სულ 16 გუნდი ასპარეზობდა, რომლებიც ორ ჯგუფში გაანაწილეს. ჯგუფში ყველა თამაში მოვიგეთ. მეოთხედფინალში კი ფრეს დავჯერდით და არეკნებით გავიმარჯვეთ. ფინალშიც არ გვითამაშია ცუდად, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან კარგ გუნდთან დავმარცხდით.*

*ამ ტურნირზე ვნახეთ ის გუნდები, რომლებიც ორი წლის წინ 15-წლამდელთა შეჯიბრებაზე დავამარცხეთ. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დაწინაურებულან და ჩვენთან შედარებით ზრდის დინამიკა თვალშისაცემად უკეთესია. ამას, ცხადია, თავისი მიზეზები აქვს. იქ ვარჯიშისა და დასვენებისთვის გაცილებით უკეთესი პირობებია და, შესაბამისად, ბავშვები მალე ვითარდებიან, იზრდებიან.*

*ვფიქრობ, ჩვენ უფრო სიღრმისეულად უნდა შევხედოთ პრობლემას. საქმე მარტო საწვრთნელი ბაზების სიმწირეში არ არის. სწორი აზროვნება, რაგბისადმი მიდგომა ბავშვებს ჯერ კიდევ საფესტივალო ასაკიდან უნდა ვასწავლოთ. ამ ეტაპზე მთავარი არ არის მოგება. თუ წააგებ, ამისგან ტრაგედია არ უნდა შექმნა. მაგალითად, ვიენის ტურნირზე იყო ერთი გუნდი, რომელიც მოედანზე სიმღერით შედიოდა და რომ წააგებდა, სიმღერითვე გამოდიოდა. ერთმანეთს ამხნევებდნენ და მომავალი თამაშისთვის ემზადებოდნენ.*

*რაც შეეხება ჩვენს გუნდს, მინდა აღვნიშნო, რომ წინა ტურნირისგან განსხვავებით, ბევრად უკეთესი, სანახაობრივი რაგბი ვაჩვენეთ. ორგანიზატორებმაც აღნიშნეს, რომ ხელდახელ ბურთაობაში სერიოზული პროგრესი გვაქვს. კორსიკაში ახალი ზელანდიის ქალაქ ქრაისთჩერჩის ნაკრებს 47:0 მოვუგეთ. მატჩის შემდეგ ჩემთან მათი მწვრთნელი მოვიდა და ბოდიში მომიხადა, კარგი გუნდი ვერ შევკრიბე, მოთამაშეები სულ ექვსასი მორაგბიდან შევარჩიეო. აბა ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ, როცა საუკეთესოების გამოვლენამ სულ რაღაც 75 მოთამაშეში მოგვიწია.*

*მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ძალიან დიდი დახმარება გაგვიწია რიჩი დიქსონის განვითარების ჯგუფმა, რომელიც მზადების პერიოდში ყველანაირ კონსულტაციას გვიწევდა. ჯგუფის წევრები ყველა ასაკის ნაკრებთან მუშაობენ და კოლოსალურ საქმეს აკეთებენ.“*

**გიორგი ენუქიძე,** ნაკრების ვიცე-კაპიტანი:

*„ორივე ტურნირმა ძალიან დიდი გამოცდილება შეგვძინა. გაგვიმართლა წესებმა. თამაშისას წელს ზემოთ შებოჭვა აკრძალული იყო, ამან თამაში საგრძნობლად გაგვიადვილა. ხელით თამაშში ყველას ვაჯობეთ. ფინალში კი მეტოქის დაუფასებლობის გამო დავისაჯეთ. ნახევარფინალში იოლად მოვიგეთ და ეიფორიაში ვიყავით. ამან ცუდი სამსახური გაგვიწია. უპირატესობა გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ, მათ კი შანსი ხელიდან არ გაუშვეს.“*

**გიორგი ჭუმბურიძე,** სანაკრებო კომიტეტის ხელმძღვანელი:

*„ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ წლევანდელი შედეგი უწინდელზე უარესია, მაგრამ ასე არ არის. ჩვენ დავინახეთ, რომ როგორც მოთამაშეებში, ისე მწვრთნელებში, მოდის ძალიან კარგი, პერსპექტიული თაობა. ისეთი, რომელიც იმედს გვაძლევს, რომ ელიტარულ ქვეყნებს მალე შევუტევთ.*

*კარგია რუმინეთთან, რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან თამაში, მაგრამ დროა, წინ გავიხედოთ. ამავე ქვეყნებთან შედარებით, არც ერთ ასაკში ჩავარდნა არ გვაქვს. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ აუცილებლად გვექნება ნახტომისებური წინსვლა.“*

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**
**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტოები

msy.gov.ge

# უცხოური სპორტი

## ამბები

ჰოკეი

### ტამპას განიე უბრუნდება

სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს „ტამპა ბეის" გულშემატკივრებმა. როგორც იცით, ეს გუნდი აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალშია გასული, სადაც „ბოსტონ ბრუინზს" შეხვდება. გაირკვა, რომ „ლაითნინგის" ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდი **საიმონ განიე** გამოჯანმრთელდა და „ბოსტონთან" სერიის პირველ მატჩში მიიღებს მონაწილეობას. შეგახსენებთ, რომ განიემ პლეი ოფის მეოთხედფინალში, „ვაშინგტონთან" სერიის პირველივე თამაშში მიიღო ტრავმა და მას შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩენილა.

რაც შეეხება „ტამპას" კიდევ ერთ ტრავმირებულ მოთამაშეს, ჩეხ მცველ **პაველ კუბინას**, მას გამოჯანმრთელებისთვის უფრო მეტი დრო სჭირდება.

ცურვა

### სიკვდილს გადარჩენილი

კინაღამ ტრაგედიით დასრულდა ფლორიდის პლაჟზე ავსტრიის მოცურავეთა ოლიმპიური ნაკრების გართობა. 19 წლის სპორტსმენი, რომლის გვარი არ სახელდება, თითქმის ნახევარი დღე იმით ერთობოდა, რომ ქვიშაში 2x1,8 მეტრის ზომების ორმო ამოთხარა და შემდეგ შიგნით ჩახტა.

ჩახტომისას ქვიშა დაიძრა და მოცურავე ორმოში ჩაიტანა. სპორტსმენის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე დაემუქრა. მის გათავისუფლებას ზუსტად ორი საათი დასჭირდა და ბოლოს საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობის შესახებ ჯერ ზუსტი ცნობები არ გავრცელებულა. ავსტრიის ნაკრები ფლორიდაში აპრილიდან იმყოფებოდა და იქ შეკრებას გადის.

კალათბურთი

### ფერნანდესი ევრობასკეტზე იქნება

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" მცველმა **რუდი ფერნანდესმა** დაადასტურა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა, რომელიც 3-18 სექტემბერს ლიტვაში გაიმართება. ესპანელი კალათბურთელი ამბობს, რომ ეროვნულ გუნდთან ერთად სურს ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საგზურის მოპოვება.

*„ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად ვითამაშებ,* - მოჰყავს ფერნანდესის სიტყვები FIBA-ის ოფიციალურ ვებგვერდს. - *ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტურნირზევე მოვიპოვოთ ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება. მინდა გუნდთან ერთად ვიყო და ღირსეულად წარმოვაჩინო ევრობასკეტზე ესპანეთი".*

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატიდან პირდაპირ ლონდონის ოლიმპიადაზე მხოლოდ გამარჯვებული გუნდი მოხვდება.

კრივი

### პირველი აბორიგენი ჩემპიონი გარდაიცვალა

ავსტრალიაში 62 წლის ასაკში გარდაიცვალა ადგილობრივი მოკრივე **ლიონელ როუზი**. ის ისტორიაში შესულია, როგორც პირველი აბორიგენი, ვინც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

როუზი 1968 წელს ავსტრალიაში „წლის ადამიანად" აღიარეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ლიონელმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის იაპონელი **მასაჰიკო ჰარადა** დაამარცხა. იმავე წელს როუზი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დაჯილდოვდა, გარდა ამისა, ავსტრალიის წლის ადამიანად დაასახელეს - ის ამ ტიტულის მფლობელი პირველი აბორიგენი გახლდათ.

როუზი 1994 წელს პროფესიული საკრივო ასოციაციების დიდების დარბაზში შეიყვანეს. ის ალკოჰოლიზმზე დამოკიდებულებას ებრძოდა და გარკვეული დრო ციხეში გაატარა მცირე დანაშაულებებისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში როუზი სერიოზულად იყო გატაცებული მუსიკით და ორი სინგლიც კი ჩაწერა: I Thank You და Please Remember Me. სხვათა შორის, პირველი სიმღერა ეროვნულ ჰიმნად იქცა და რეგულარულად ტრიალებდა რადიოში.

## კრივი

# სიტყვიერი ომი დაწყებულია



უპასუხო მისალმება

**ვლადიმერ კლიჩკოსა** და **დევიდ ჰეის** საჩემპიონო ბრძოლამდე დაახლოებით ორი თვით ადრე მებრძოლებმა პირველი პრესკონფერენცია ჩაატარეს და ამ შეხვედრით გაიხსნა სიტყვიერი ომი სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონებს შორის.

WBA-ის ჩემპიონმა დევიდ ჰეიმ თავის მომავალ მეტოქეს „თაღლითი" უწოდა, რადგან უკრაინელი სპეციალურად არჩევდა სუსტ მეტოქეებს და ამით ახანგრძლივებდა თავის ბატონობას WBO-სა და IBF-ის სერიებში. თავის მხრივ, კლიჩკო მეტოქეს დაჰპირდა, რომ მას კარგ მანერებს რინგზევე შეასწავლიდა და ბრძოლას კარიერაში 50-ე საიუბილეო ნოკაუტით დაასრულებდა.

*„ვიცნობ მის სტილს, მინახავს რასაც რინგზე აკეთებს და შემიძლია ვთქვა, რომ კლიჩკო, უბრალოდ, თაღლითია,* - განაცხადა ბრიტანელმა ჩემპიონმა. - *ის სპეციალურ პიჯაკს იცვამს, რომ დიდი გამოჩნდეს და ირჩევს ისეთ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც მას წინააღმდეგობას ვერ უწევენ. მაგრამ მე ვერ მომატყუებს. კრივის ღმერთებმა გადაწყვიტეს - 2 ივლისს მე ერთადერთი ჩემპიონი გავხდები! მას 20 წუთი თვალებში ვუყურე და მივხვდი, როგორ გავანადგურო ის. დავინახე, რომ კლიჩკო გატეხილი და განადგურებულია. ის არასოდეს შეხვედრია ჩემი დონის მეტოქეს. ეს ორივესთვის რაღაც ახალი იქნება.*

*ის გააკეთებს იმას, რასაც ყოველთვის აკეთებდა. ადრე უკვე მიჩხუბია ასეთი „რობოტების" წინააღმდეგ. არც სამოყვარულო და არც პროფესიულ დონეზე არ წამიგია აღმოსავლეთ ევროპის მებრძოლებთან. ახლაც ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა დაირღვეს ეს ტრადიცია. ვნახე, როგორ მიიღო მან მსუყე ჯები, ვნახე როგორ დაეცა რინგზე... არ მგონია, რომ ბრძოლა 12 რაუნდი გაგრძელდება. ის სუსტია - მორალურად და ფიზიკურად. მას „ბროლის ყბა" აქვს, რომელიც 2 ივლისს დაიმსხვრევა.*

*ველოდები, რომ ბრძოლას 15-20 ათასი მაყურებელი დაესწრება. ისინი ერთად დასხდებიან, შესანიშნავ შოუს და ნოკაუტს იხილავენ. ვიცი, რასაც ვლაპარაკობ".*

კლიჩკომ ჰეის ხელი გაუწოდა, მაგრამ ბრიტანელმა მისალმებაზე უარი განაცხადა. ვლადიმერმა უსმინა დევიდის მონოლოგს და თავადაც მწვავე რეპლიკები ისროლა მოწინააღმდეგის მისამართით.

*„ჰეის დიდი პატივისცემით ვეპყრობი,* - განაცხადა კლიჩკომ. - *ის დიდი მებრძოლია და შესანიშნავი კარიერა აქვს, მძიმე მუშტები და კარგი სისწრაფე გააჩნია. ჰეის უდიდესი მოტივაცია აქვს - ყურებიდან ბოლიც კი გამოსდის. იმედია, ამჯერად მაინც არ გამოიჩენს სიმხდალეს და რინგზე წინ დამიდგება. მე ამ ბრძოლისთვის სათანადოდ მოვემზადები. დევიდი ჩემი 50-ე ნოკაუტი გახდება. ბოლო 15 წლის განმავლობაში 49 მებრძოლი დავაწვინე რინგზე და ჰეი მათ არანაირ პატივს არ სცემს. არა უშავს, მე მას ვასწავლი კარგ მანერებს. დავუმტკიცებ, რომ ერთ-ერთი იმ ორმოცდაცხრათაგანია. 2 ივლისს ნოკაუტში გავუშვებ მას".*

ამასობაში, უკრაინელი მოკრივის მენეჯერმა ისევ განაცხადა, რომ კლიჩკომ ბრძოლისგან მეტი ჰონორარი უნდა მიიღოს. **ბრენდ ბენტემ** ეს მოსაზრება ვლადიმერის ტიტულებით გაამართლა, რომელიც უმცროს კლიჩკოს უფრო მეტი აქვს: *„ვლადიმერი 2006 წლიდან არის სუპერმძიმე წონის ჩემპიონი. საუკეთესოა ჟურნალ „რინგის" ვერსიით, ამიტომაც შემოსავალიც მეტი უნდა მიიღოს. ამასთან, ვლადიმერს ოთხი საჩემპიონო ქამარი აქვს, ჰეის კი მხოლოდ ერთი".*

შეგახსენებთ, რომ ბრძოლას „ჰამბურგის" საფეხბურთო კლუბის სტადიონი - „იმტეხ-არენა" უმასპინძლებს.

## ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# ტრაგედიის გამოძახილი

გუშინდელ ნომერში გაუწყებდით იმ საშინელი ტრაგედიის შესახებ, რომლითაც პრესტიჟული ველორბოლის - ჯირო დ'იტალიას მესამე ეტაპი დასრულდა. ერთ-ერთ სერპანტინზე დაშვებისას ტრასაზე დაეცა ბელგიელი ველომრბოლი **ვოუტერ ვეილანდტი**, რომელიც მიღებული ტრავმების გამო გარდაიცვალა.

თავად ავარიის მომენტი ტელეტრანსლაციის მიღმა დარჩა - ბელგიელი იმ ადგილას დაეცა, სადაც ტექნიკური დახმარების მანქანები სათითაოდ თუ გაივლიდნენ. როცა ოპერატორებმა სპორტსმენი აჩვენეს, ის უკვე უგონოდ ინვა ასფალტზე და ცხვირიდან სისხლი სდიოდა.

ექიმებს 26 წლის მრბოლელის ჩაფხუტის გაჭრა მოუწიათ - ვეილანდტს ტვინის უმძიმესი ტრავმა ჰქონდა მიღებული. 40 წუთის განმავლობაში სამედიცინო პერსონალი ყველა ხერხს იყენებდა ბელგიელის გონს მოსაყვანად, მაგრამ ვეილანდტი ვერ გადაარჩინეს.

*„რაც შეგვეძლო ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ ვოუტერის გადარჩენა შეუძლებელი იყო",* - თქვა იტალიურ ტელევიზიასთან კომენტარში ეტაპის მთავარმა ექიმმა **ჯოვანი ტრედიჩიმ**.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთი წლის წინ ბელგიელმა სწორედ მესამე ეტაპზე შეძლო ფინიშზე პირველი მისვლა. ეს მის შვიდწლიან კარიერაში ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა. ასევე მის ანგარიშზეა ერთი მოგებული ეტაპი 2008 წლის ვუელტაზე.

აღსანიშნავია, რომ 2009 წელს ველომრბოლები პროტესტს აცხადებდნენ იტალიურ ველომარათონზე არასაკმარისი უსაფრთხოების გამო. უკმაყოფილების მიზეზი გახდა საშინელი ავარია, რომელშიც ესპანელი ველომრბოლი **პედრო ორილიო მუნიოსი** მოხვდა. ხევში გადაჩეხვის შემდეგ მან ტანის ზედა ნაწილის სერიოზული ტრავმები მიიღო, რამდენიმე ძვალი გაიტეხა, თავი დაიზიანა და სასწაულებრივ გადაურჩა დაღუპვას. ვეილანდტის სიკვდილი ჯიროს ისტორიაში მეოთხე მსგავსი შემთხვევაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრაგიკულად დაღუპული ველომრბოლის მეუღლე **ანა სოფი ვეილანდტი** ოთხი თვის ფეხმძიმეა. ბავშვი სექტემბერში დაიბადება.

ვეილანდტის გუნდმა - Leopard-Trek-მა თავიდან ჯიროს მიტოვება გადაწყვიტა, მაგრამ მოგვიანებით ლუქსემბურგული საჯინიბოს ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ბელგიელის საპატივცემულოდ გააგრძელებს იტალიურ ველომარათონში გამოსვლას. თავის მხრივ, ჯიროს ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ მეოთხე ეტაპს სიმბოლური ხასიათი ექნება და მისი შედეგები არ შევა საერთო ჩათვლაში.

ვეილანდტის დაღუპვას მთელი ველოსამყარო გამოეხმაურა. მაგალითად, ლეგენდარულმა ამერიკელმა **ლენს არმსტრონგმა** თანაგრძნობა გამოხატა დაღუპულის ოჯახის მიმართ. *„შოკირებული ვარ,* - განაცხადა სააგენტო AP-სთან კომენტარში ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონმა. - *ასე ერთ წუთში შეიძლება შეწყდეს ადამიანის სიცოცხლე. მინდა თანავუგრძნო მის ოჯახს. სხვა არაფრის თქმა შემიძლია".*

მესამე ეტაპზე გამარჯვება კი ესპანელმა **ანხელ ვისიოსო არკოსმა** მოიპოვა. Androni Giocattoli-ის წევრმა დისტანცია 3 საათში, 57 წუთსა და 58 წამში დაფარა. მეორეზე გავიდა ბრიტანელი **დევიდ მილარი** „გარმინ-ჩერველოდან". ამის წყალობით მან საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



წუთიერი დუმილი

## ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

**E ჯგუფი**

**სლოვაკეთი-დანია 4:1**

2:1, 0:0, 2:0

**გოლები:** 0:1 კრისტენსენი-4 (ბოდკერი-1, იაკობსენი-5), 1:1 შტუმპელი-2 (იურჩინა-2, შატანი-2), 2:1 შატანი-3 (რუჟიჩკა-1, მაესკი-2), 3:1 მარიან ჰოსა-1 (გაბორიკი-1, ჰალაკი-1), 4:1 ზედნიკი-1 (ჰანძუში-2, გრანიაკი-1).

**რუსეთი-ფინეთი 2:3 (ბ)**

2:0, 0:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 კულემინი-1 (კულიკოვი-1, არტიუხინი-1), 2:0 ნიკულინი-3 (ზარიპოვი-5, მოროზოვი-3), 2:1 მ. კოივუ-2 (პუისტოლა-3), 2:2 ნისკალა-1 (იმონენი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** იმონენი-5.

**გერმანია-ჩეხეთი 2:5**

1:2, 0:3, 1:0

**გოლები:** 0:1 პრუხა-2 (პლეკანეცი-2, იაგრი-1), 1:1 ტრიპი-3 (ლავალე-3, პიორდლერი-2), 1:2 ფროლიკი-3 (ნოვოტნი-2, ჰუბაჩეკი-2), 1:3 რახუნეკი-1 (იაგრი-2, ჩერვენკა-3), 1:4 პლეკანეცი-3 (იაგრი-3, ჩერვენკა-4), 1:5 ელიაში-3 (პრუხა-1, ჰავლატი-4), 2:5 გრაილინგერი-2 (ბარტა-1, კროიცერი-1).

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 0 | 19-7 | 15 |
| 2. ფინეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 0 | 16-10 | 10 |
| 3. გერმანია | 5 | 2 | 0 | 1 | 2 | 15-17 | 8 |
| 4. რუსეთი | 5 | 2 | 0 | 2 | 1 | 12-14 | 7 |
| 5. სლოვაკეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 0 | 13-14 | 3 |
| 6. დანია | 5 | 0 | 1 | 4 | 0 | 9-22 | 2 |

**F ჯგუფი**

**ფინეთი-ნორვეგია 2:5**

1:3, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 სკრიოდერი-3 (რეიმარკი-2, ასკი-3), 0:2 ჰოლტეტი-3 (კ.ა. ოლიმბი-1, ჰოლესი-2), 1:2 ფლეერი-1 (რო-1, დეროზიე-1), 1:3 ჰოლტეტი-4, 2:3 მენიე-2 (ეკეფეი-3, ბელემარი-1), 2:4 ჰოლტეტი-5 (სკრიოდერი-4, ჰოლესი-3), 2:5 ჰოლტეტი-6 (ბონსაკენი-2).

**შვეიცარია-აშშ 5:3**

2:1, 2:1, 1:1

**გოლები:** 0:1 სმიტი-3 (უილსონი-2, შატენკირკი-2), 1:1 ლეჩერი-1 (ტრაქსლერი-1, მოზერი-2), 2:1 დიასი-3 (პლუსი-1, რიუტემანი-5), 3:1 რიუტემანი-2 (ბიბერი-1, პლუსი-2), 3:2 შენონი-1 (მილე-2), 4:2 ლეჩერი-2, 4:3 ვან რიმსდიკი-1 (ფაულერი-2, სტეპანი-5), 5:3 გარდნერი-3 (პლუსი-3, ტრაქსლერი-2).

**კანადა-შვედეთი 3:2**

2:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ნილი-2 (სპეცა-3), 1:1 პეტრაშეკი-2 (გუნარსონი-2, პააიარვი-4), 2:1 ტავარესი-5 (სკინერი-3, სტიუარტი-2), 2:2 ტედენბი-1 (სილფვერბერგი-1, კრიუგერი-1), 3:2 ნეში-2 (ბერნსი-2, ნილი-3).

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 5 | 3 | 2 | 0 | 0 | 23-11 | 13 |
| 2. შვედეთი | 5 | 3 | 0 | 1 | 1 | 18-10 | 10 |
| 3. ნორვეგია | 5 | 2 | 1 | 2 | 0 | 17-15 | 8 |
| 4. აშშ | 5 | 2 | 0 | 2 | 1 | 15-19 | 7 |
| 5. შვეიცარია | 5 | 1 | 1 | 2 | 1 | 11-12 | 6 |
| 6. საფრანგეთი | 5 | 0 | 0 | 4 | 1 | 5-22 | 1 |

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ტავარესი (კანადა) | 9 (5+4) |
| მ. ოლიმბი (ნორვეგია) | 9 (1+8) |
| ჰოლტეტი (ნორვეგია) | 8 (6+2) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ჰოლტეტი (ნორვეგია) | 6 |
| ბერგლუნდი (შვედეთი) | 5 |
| იმონენი (ფინეთი) | 5 |
| ტ. რუუტუ (ფინეთი) | 5 |
| ტავარესი (კანადა) | 5 |

**პასები**

| | |
|---|---|
| მ. ოლიმბი (ნორვეგია) | 8 |
| მ. რედლიჰსი (ლატვია) | 6 |

**1/4 ფინალი**

**11 მაისი**

18:15 ჩეხეთი-აშშ
22:15 შვედეთი-გერმანია

**12 მაისი**

18:15 ფინეთი-ნორვეგია
22:15 კანადა-რუსეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# სანამ ფავორიტები ისვენებენ

მსოფლიო ჩოგბურთის ელიტამ მადრიდიდან იტალიის დედაქალაქ რომში გადაინაცვლა, სადაც ზედიზედ მეორე მასტერსი იმართება. ჯერჯერობით ფავორიტები ისვენებენ, თუმცა პირველ წრეში რამდენიმე საინტერესო შეხვედრა მაინც ვიხილეთ.

მთავარი მოვლენა, რა თქმა უნდა, ზედიზედ მეორე მასტერსის პირველივე წრეში **ენდი როდიკის** დამარცხება იყო, ისე კი ამერიკელმა უკვე ზედიზედ მეოთხე ტურნირის პირველ რაუნდში წააგო. ამჯერად მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ვერაფერი მოუხერხა ფრანგ **ჟილ სიმონს** და ორ სეტში უშანსოდ დამარცხდა. სხვათა შორის, როდიკის მდგომარეობა კარგად ასახავს ამერიკულ ჩოგბურთში არსებულ კრიზისს - ორშაბათს გამოქვეყნდა ქალებისა და მამაკაცების მორიგი რეიტინგები და ათეულში ვერ ვხედავთ ვერც ერთ ამერიკელ ჩოგბურთელს.

ასევე დიდ ინტერესს იწვევდა **ჟოვილფრიდ ცონგასა** და **მარკოს ბაღდატისის** შეხვედრა, მაგრამ აქაც ბრძოლა არ ყოფილა, რადგან ფრანგმა მეტოქეს ერთი ბრეიკ-პოინტის შანსიც არ მისცა, ამასთან, ექვსი ეისი ჩააწოდა და 11-დან ოთხი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა. სხვათა შორის, ეს ავსტრალიის ღია პირველობის ყოფილი ფინალისტების პირველი შეხვედრა იყო.

მიუნხენის ტურნირის მოგების შემდეგ ისევ უკლო თამაშს რუსმა **ნიკოლაი დავიდენკომ**. მან სერბ **ვიქტორ ტროიცკისთან** წააგო. ამ უკანასკნელმა ცონგას მსგავსად ექვსი ეისი ჩააწოდა, ორმაგი შეცდომა არ ჰქონია და მეტოქის ოთხივე ბრეიკ-პოინტი მოიგერია.

■ ■ ■

ქალებს შორისაც მოხდა ერთი მოულოდნელობა. მისი ავტორი **გრეტა არნი** გახდა, რომელიც დღითი დღე აუმჯობესებს თამაშს. წელს უნგრელმა პირველად მოუგო საუკეთესო ოცეულის წევრს - **მარია შარაპოვას**, მაგრამ ამაზე არ შეჩერდა და ამჯერად კიდევ ერთი რუსი ჩოგბურთელი **სვეტლანა კუზნეცოვა** დაამარცხა.

ორშაბათს პლანეტის 50 საუკეთესო ჩოგბურთელს შორის შესვლის შემდეგ არნმა კიდევ ერთი პირადი რეკორდი დაამხო - მოუგო რეიტინგის მე-13 ნომერს. თამაში 3 საათსა და 22 წუთს გაგრძელდა და ჩოგბურთელებს ერთნაირი რაოდენობის მოგებული ქულები დაუგროვდათ, თუმცა ორი წარმატებული ტაი-ბრეიკის წყალობით უნგრელმა შემდეგ ეტაპზე გააღწია.

ტურნირს გამოეთიშა შარშანდელი ჩემპიონი **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი**. ის პირველივე წრეში დამარცხდა რუს **ეკატერინა მაკაროვასთან**, რომელმაც ერთი სეტი „მშრალი“ ანგარიშით მოიგო.

შესანიშნავი თამაში აჩვენა სერბმა **ანა ივანოვიჩმა** - ზედიზედ ცხრა გეიმი მოუგო **ნადია პეტროვას**, რის შემდეგაც რუსმა ბარძაყის ტრავმა მოიმიზეზა და კორტი შერცხვენილმა დატოვა. მოულოდნელად იოლად მოუგო **ივეტა ბენეშოვამ** არგენტინელ **ხისელა დულკოს** - ამისთვის მას 77 წუთი დასჭირდა. ასევე აღვნიშნავთ **დანილა ჰანტუხოვას** გამარჯვებას **ცვეტანა პირონკოვას** წინააღმდეგ.

**ATP**

**Internazionali BNL d'Italia**

რომი (იტალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 2 227 500 ევრო

**ქსავიე მალისე (ბელ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 7:5, 6:2; **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ) 6:3, 6:3; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 6:4, 7:5; **ჟილ სიმონი (საფ)**-ენდი როდიკი (აშშ) 6:3, 6:3; **მარდი ფიში (აშშ)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 4:6, 6:2, 6:2; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 6:3, 6:2; **იგორ ანდრეევი (რუს)**-პეპე რიბა (ესპ) 6:4, 7:5; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-პაბლო კუევასი (ურუ) 7:6, 2:6, 6:2; **სერგეი სტახოვსკი (უკრ)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:3, 1:6, 7:6.



როდიკმა ზედიზედ მეოთხედ წააგო

**WTA**

**Internazionali BNL d'Italia**

რომი (იტალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 2 050 000 დოლარი

**I წრე**

**მარიონ ბარტოლი (საფ, 9)**-არანჩა პარა სანტონხა (ესპ) 6:2, 6:3; **გრეტა არნი (უნგ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 11) 3:6, 7:6(4), 7:6(9); **ანა ივანოვიჩი (სერ, 13)**-ნადია პეტროვა (რუს) 6:0, 3:0 პეტროვას უარი; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 4:6, 6:3, 6:3; **ალისა კლეიბანოვა (რუს)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:2, 6:2; **იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა)**-კორინა დენტონი (იტა) 6:1, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 6:4, 6:2; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 6:0, 5:7, 6:4; **ელენა ვესნინა (რუს)**-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) 6:4, 6:4; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:1, 0:6, 7:6(4); **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ხისელა დულკო (არგ) 6:2, 6:1; **ვერა დუშევინა (რუს)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:3, 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-პატი შნიდერი (შვეიც) 6:3, 6:2; **პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ) 6:1, 7:5; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:3, 2:6, 7:6(7).

NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# ვანკუვერის ლოგიკური გამარჯვება



დანიელ სედინის გოლი

ომუ აღმოსავლეთი კონფერენციის წარმომადგენლებმა - „ბოსტონმა“ და „ტამპამ“ იოლად მოიგეს თავიანთი სერიები და ნახევარფინალში გავიდნენ, დასავლეთში ყველაფერი გაცილებით რთულად განვითარდა. „სან ხოსესა“ და „დეტროიტის“ სერია ჯერ კიდევ გრძელდება, რეგულარულის ჩემპიონმა „ვანკუვერმა“ კი ექვსი მატჩი მოანდომა „ნეშვილის“ დამარცხებას.

ამერიკულმა გუნდმა ბევრი იბრძოლა, რისთვისაც უამრავი კომპლიმენტი დაიმსახურა, მაგრამ „ვანკუვერის“ ბარიერის გადალახვა შეუძლებელი აღმოჩნდა - დღეისთვის „კენაქსი“ ობიექტურად „პრედატორზე“ ძლიერია.

მეექვსე შეხვედრა, ისევე როგორც მთელი სერია, დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. მასპინძლებმა შეცდომები მხოლოდ მატჩის დებიუტში დაუშვეს და ეს მათ ძვირად დაუჯდათ. თავიდან შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს **რაიან კესლერმა** და **მეისონ რეიმონდმა** და ამ უკანასკნელმა ანგარიში გახსნა. კანადურმა კლუბმა უპირატესობის განმტკიცება მომავლისთვის არ გადადო და იქვე მეორე შაიბა გაიტანა. ისევ საგოლე კომბინაციაში კესლერმა მიიღო მონაწილეობა - ამჯერად **დანიელ სედინს** გაატანინა.

მასპინძელმა სხვაობის შემცირება მეორე პერიოდის დებიუტში შეძლეს, როცა **დავიდ ლეგუანდმა** ძალიან მახვილი კუთხიდან დაარტყა და **რობერტო ლუონგომ** შაიბა ვერ დააფიქსირა. ვიდეოგამეორების ნახვის შემდეგ მსაჯებმა გოლი ჩათვალეს.

ამით ორივე გუნდის შეტევითი მოქმედებები ამოიწურა. „ვანკუვერს“ ასეთი სიტუაცია აწყობდა, „ნეშვილი“ კი ამაოდ ცდილობდა მეტოქის კარგად ორგანიზებული დაცვის გარღვევას, მაგრამ ბოლოს მეკარის შეცვლამაც ვერ უშველა.

საბოლოოდ, „ვანკუვერი“ დასავლეთი კონფერენციის პირველი ფინალისტი გახდა და „სან ხოსესა“ და „დეტროიტის“ სერიის დასრულებას ელოდება.

**ნეშვილი-ვანკუვერი 1:2**

**0:2, 1:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 რეიმონდი-1 (კესლერი-9), 0:2 დ. სედინი-6 (კესლერი-10, ჰ. სედინი-8), 1:2 ლეგუანდი-6 (უორდი-6, ს. კოსტიცინი-5).

**სერია: 2-4**

ამბები

**ჩოგბურთი**

## მონფილსმა რომი დატოვა

ფრანგმა **გაელ მონფილსმა** უარი თქვა რომის მასტერსში მონაწილეობაზე. ჩოგბურთელის თქმით, ის გადაიღალა და მოახლოებული როლან გაროსის წინ დასვენება ესაჭიროება. იტალიის დედაქალაქში მისი პირველი მეტოქე იაპონელი **კეი ნიშიკორი** უნდა ყოფილიყო.

*„დაღლილობის გამო ვერ შევძლებ კორტზე გასვლას,* - ამბობს მონფილსი. - *უახლოეს დღეებში სამედიცინო შემოწმებას გავივლი და იმედი მაქვს, ელემენტარული დასვენება ჩემს ფიზიკურ ფორმაზე დადებითად იმოქმედებს“.*

## დელ პოტროსთვის როლან გაროსი საეჭვოა

არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს**, რომელიც წინა კვირას ტრავმის გამო მოიხსნა მადრიდის მასტერსიდან, ბარძაყის დაზიანება დაუდგინეს. ახლა კითხვის ნიშნის ქვეშაა სამხრეთამერიკელის მონაწილეობა სეზონში რიგით მეორე „დიდი სლემის“ ტურნირზე - როლან გაროსზე, რომელიც დაახლოებით ორ კვირაში დაიწყება.

როგორც დელ პოტროს გუნდი იუწყება, კვირას ბუენოს აირესში ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ მარცხენა ბარძაყის კუნთის რვამილიმეტრიანი განწყვეტა დააფიქსირა.

*„ჯერ არ ვიცით, რა დრო დასჭირდება ხუან მარტინს გამოჯანმრთელებისთვის, მაგრამ სავარაუდოდ, როლან გაროსზე ის ვერ ითამაშებს“*, - ამბობს მსოფლიოს ყოფილი მეოთხე ჩოგანის წარმომადგენელი.

## ვენუსის მორიგი უარი

ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა** უარი თქვა ბრიუსელის ტურნირში გამოსვლაზე, რომელიც ბოლო რეპეტიციაა საფრანგეთის ღია პირველობამდე. ასეთი გადაწყვეტილება ჩოგბურთელმა არასაკმარისი ფიზიკური მომზადების გამო მიიღო. შეგახსენებთ, რომ უფროსი უილიამსი ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ ვერ ახერხებს კორტზე გასვლას, რისი მიზეზიც ბარძაყის ტრავმა გახლავთ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი | 1:0 |
| **კონფერენსი** | |
| ლუტონი-რექსჰემი | 2:1 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| პალერმო-მილანი | 2:1 (2:2) |
| **ესპანეთი** | |
| დეპორტივო-ბილბაო | 2:1 |
| მალაგა-სპორტინგი | 2:0 |
| რასინგი-ატლეტიკო | 2:1 |
| რეალი-ხეტაფე | 4:0 |
| **საფრანგეთი** | |
| პსჟ-ნანსი | 2:2 |
| სტ. ეტიენი-ლილი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-კლერმონი | 1:0 |
| შატორუ-ანჟერსი | 1:2 |
| გრენობლი-ბულონი | 2:2 |
| მეცი-ჰავრი | 2:0 |
| ნანტი-ისტრი | 2:1 |
| რეიმსი-სედანი | 1:0 |
| ტური-დიჟონი | 0:1 |
| ტრუა-ლე მანი | 0:1 |
| ვანი-ნიმი | 3:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **პლეი ოფი** | |
| დენ ბოში-იგლზი | 1:0 |
| მაასტრიხტი-ვოლენდამი | 2:3 |
| **ბელგია** | |
| **პლეი ოფი** | |
| ბრიუგე-გენკი | 3:0 |
| **შოტლანდია** | |
| აბერდინი-სტ. მირენი | 0:1 |
| რეინჯერსი-დანდი იუნ | 2:0 |
| სტ. ჯონსტონი-ჰემილტონი | 1:0 |
| **შვედეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| ატვიდაბერგი-აიკ | 3:0 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვიიკინგიტი-კტპ | 1:0 |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-კაპფენბერგი | 4:2 |
| **შვეიცარია** | |
| სიონი-ლუცერნი | 3:2 |
| იანგ ბოიზი-გრასჰოპერსი | 2:2 |
| **ირლანდია** | |
| დერი-დროგედა | 2:0 |
| სლიგო-ბრეი | 3:1 |
| **უელსი** | |
| **პლეი ოფი** | |
| ებერისტვიტი-ეირბასი | 2:1 |
| **კვიპროსი** | |
| ოლიმპიაკოსი-აპოლონი | 2:2 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| კრომერიჟი-ბოლესლავი | 1:3 (1:1) |
| **პოლონეთი** | |
| პოლონია (ბ)-კრაკოვია | 1:2 |
| პოლონია (ვ)-იაგელონია | 2:0 |
| ზაგლებე-შლიონსკი | 0:1 |
| გურნიკი-ლეგია | 1:1 |
| **სერბეთი** | |
| ინდია-სპარტაკი | 2:1 |
| **სლოვენია** | |
| პუბლიკუმი-მარიბორი | 0:0 |
| **უნგრეთი** | |
| შიოფოკი-პაკსი | 1:3 |
| ჟოლნოკი-დებრეცენი | 1:2 |
| ვაშაში-ლომბარდ პაპა | 1:1 |
| ფერენცვაროში-ზალაეგერშეგი | 4:4 |
| **ესტონეთის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ტრანს ნარვა-ფლორა | 0:2 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ალ ვეჰდა-პერსპლისი | 2:0 |
| ალ იტიჰადი-ბუნიოდკორი | 1:1 |
| ალ რაიიანი-ემირეიტსი | 2:0 |
| ზობ აჰანი-ალ შაბაბი | 0:1 |
| ჟეონბუკი-არემა | 6:0 |
| სერეზო-შანდონგი | 4:0 |
| კაშიმა-სიდნეი | 2:1 |
| შანხაი-სუვონი | 0:3 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ბრაუნშვაიგი-ერტლანდი | 75:77 |
| ოლდენბურგი-ალბა | 80:79 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-პარიზი | 74:76 |
| ვიში-შალონი | 93:91 (ო) |
| ჰავრი-ლე მანი | 68:63 |
| გრაველინი-ნანსი | 69:74 |
| ორლეანი-ლიმოჟი | 75:77 (ო) |
| პო ორტეზი-შოლე | 87:76 |
| პუატიე-ტულონი | 85:73 |
| როანი-სტრასბური | 72:77 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. რომი** | |
| **ჩილიჩი**-კარლოვიჩი | 6:4, 1:0 უარი |
| **კუერი**-ანდერსონი | 7:6, 1:0 უარი |
| ბოლელი-**ალმაგრო** | 0:6, 5:7 |
| ანდრეევი-**გასკე** | 1:6, 2:6 |
| **ჩელა**-ისნერი | 6:4, 6:1 |
| **ლუბიჩიჩი**-ჩიპოლა | 6:2, 6:3 |
| მონაკო-**ბერდიხი** | 2:6, 2:6 |
| **ვავრინკა**-ფონინი | 6:7, 6:2, 6:4 |
| **ფ. ლოპესი**-ლოდრა | 7:6, 6:1 |
| **ლორენცი**-ბელუჩი | 7:6, 6:3 |
| **ნიემინენი**-სტახოვსკი | 6:7, 6:3, 6:4 |
| **სიოდერლინგი**-ვერდასკო | 2:6, 7:5, 6:4 |
| მალისე-**მიურეი** | 2:6, 6:2, 3:6 |
| **WTA. რომი** | |
| **ბრიანტი**-ჟენგი | 6:4, 7:5 |
| **საფაროვა**-დატე | 7:5, 6:2 |
| შვედოვა-**როდიონოვა** | 4:6, 4:6 |
| კანეპი-**ოპრანდი** | 5:7, 6:3, 1:6 |
| **ერანი**-ვინჩი | 6:2, 1:0 უარი |
| **სკიავონე**-მაკჰეილი | 6:3, 6:1 |
| **პეტკოვიჩი**-კირილენკო | 7:5, 6:1 |
| **პავლიუჩენკოვა**-სხეპერსი | 6:3, 7:5 |
| **პეერი**-იოვანოვსკი | 3:6, 6:0, 6:4 |
| მაკაროვა-**შარაპოვა** | 1:6, 1:6 |

TV პროგრამა

**11 მაისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხეტაფე.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. სიტი-ტოტენჰემი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. სტ. ეტიენი-ლილი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-მალაგა.
**21:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-ლიონი (LIVE).
**23:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბრესტი (LIVE).
**01:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბილბაო.
**11:35** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ჩიკაგო-ატლანტა. V მატჩი.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. II წრე. რომი. იტალია (LIVE).
**20:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ჩიკაგო-ატლანტა. V მატჩი.
**22:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-ბარსელონა (LIVE).
**23:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. II წრე. რომი. იტალია.
**03:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ბოსტონი. V მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**21:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-ბარსელონა (LIVE).
**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-სევილია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**20:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-ლიონი (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბრესტი (LIVE).
**02:25** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. პენიაროლი-უნივერსიდადი. პირველი მატჩი (LIVE).
**04:45** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. ონსე კალდასი-სანტოსი. პირველი მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**19:15** რუსეთის თასი. 1/2 ფინალი. სპარტაკი-ცსკა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია (LIVE).
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**05:30** NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ოკლაჰომა-მემფისი. V მატჩი (LIVE).

**SPORT+**

**19:15** ფეხბურთი. რუსეთის თასი. 1/2 ფინალი. როსტოვი-ალანია (LIVE).
**22:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ვალენსია (LIVE).

**EUROSPORT**

**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. რომი. იტალია (LIVE).
**16:45** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. V ეტაპი. იტალია (LIVE).
**21:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. რომი. იტალია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**15:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. რომი. იტალია (LIVE).
**22:30** ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ბუსტო-ურბინო. II მატჩი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



მიხაელ შუმახერი

# შუმის აღიარება

თურქეთის გრანპრის შემდეგ **მიხაელ შუმახერმა** პირველად აღიარა, რომ ფორმულა 1 აღარ ანიჭებს სიამოვნებას.

*„ის სიხარული უკვე აღარ მაქვს, - ამბობს „დეილი ტელეგრაფისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, რომელმაც გასულ კვირას თურქული ეტაპი მე-12 ადგილზე დაასრულა. - ვფიქრობ, შედეგზე პასუხისმგებლობა მე მეკისრება. პეტროვთან შეჯახება სავარაუდოდ ჩემი ბრალი იყო, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა გავაანალიზო ის ინციდენტი. იმ მცირე ავარიის შემდეგ წარმატებული რბოლის შანსი აღარ მქონდა. თურქული ეტაპი მდიდარი იყო საინტერესო მოვლენებით, მაგრამ მე მათში მონაწილეობა არ მიმიღია“.*

შუმახერი აშკარად ჩამორჩება „მერსედეს გრანპრიში“ თავის ახალგაზრდა პარტნიორ **ნიკო როსბერგს**, რომელმაც პირველ ოთხ რბოლაში 20 ქულა დააგროვა, მიხაელის მონაგარი კი მხოლოდ ექვს ქულას შეადგენს.

*„ფაქტია, რომ ერთნაირი მანქანების პირობებში შუმახერის შედეგები გაცილებით უარესია, - მიიჩნევს ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი* **დევიდ კულტჰარდი**. *- სტატისტიკა იმაზე მიუთითებს, რომ ნიკო უფრო ეფექტურად იყენებს მანქანას.*

*არ მგონია, რომ ემოციებს უნდა ავყვეთ და უკვე დღეს ჩამოვწეროთ მიხაელი, რადგან მისი ნიჭი არსად გამქრალა. თუმცა მან საკუთარ თავთან უნდა გაარკვიოს მომავალი კარიერის საკითხი. ჩემი აზრით, საქმე იმაშია, რომ მიხაელი რბოლებისგან სიამოვნებას ველარ იღებს. სიმართლე გითხრათ, 2008 წლის დასაწყისში ეს პერიოდი მეც გავიარე.*

*ვგრძნობდი, რომ ძველებურად კონკურენტუნარიანი აღარ ვიყავი, რბოლები სიამოვნებას არ მანიჭებდა, ეს კი წასვლის მოახლოებას ნიშნავდა. გადის თვეები, ეს შეგრძნება უფრო მძაფრდება და ერთხელ, როცა სარკეში ჩაიხედავ, ხვდები, რომ მზად ხარ გადაწყვეტილების მისაღებად. დროის შემობრუნება შეუძლებელია“.*

# ავსტრია ბრუნდება, თურქეთი რჩება?

ავსტრიის გრანპრი ისევ შეიძლება შეიტანონ მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში, - წერს ევროპული პრესა. სულ ცოტა ხნის წინ რეკონსტრუქცია ჩაუტარდა A1-Ring-ს, რომლის სქემა 2003 წლიდან უცვლელი რჩებოდა. ბოლოს სწორედ რვა წლის წინ ჩატარდა აღნიშნულ ავტოდრომზე ავსტრიის ეტაპი. ტრასის მოდერნიზაციის პროექტის ერთ-ერთი მთავარი ინვესტორი კომპანია „რედ ბულის“ მფლობელი **დიტრიხ მატეშიცი** იყო.

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის **ბერნი ექლსტოუნის** სიტყვებით, ის უახლოეს ხანში განიხილავს მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში ავსტრიული ეტაპის დაბრუნების პერსპექტივას.

■ ■ ■

თურქეთის გრანპრი ჯერჯერობით არის კალენდარში, თუმცა ბოლო დროს ეჭვქვეშ დადგა მისი ჩატარების საკითხი, რადგან ამ ეტაპს სასურველი ფინანსური მოგება არ მოაქვს არც ორგანიზატორებისთვის და არც ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობისთვის. მაგრამ ექლსტოუნთან ბოლო მოლაპარაკებების შემდეგ თურქ ოფიციალურ პირებს ოპტიმიზმის საფუძველი გაუჩნდათ.

*„ჩვენ შევხვდით ექლსტოუნს და განვიხილეთ ეტაპის გადარჩენის ვარიანტები, - ამბობს თურქეთის საავტომობილო ფედერაციის თავმჯდომარე* **მუმთაზ თაჰინჯიოგლუ**. *- ორივე მხარე ეძებს გამოსავალს. შემიძლია ვთქვა, რომ ამ შეხვედრის შემდეგ სიტუაცია 50 პროცენტით გამოსწორდა.*

*თურქული ეტაპის ორგანიზატორები მზად არ არიან ექლსტოუნის მიერ შემოთავაზებული ახალი ფინანსური პირობების მისაღებად - ჩვენ გვთხოვენ 13-ის ნაცვლად 26 მილიონი დოლარი გადავიხადოთ ეტაპის ჩასატარებლად“.*

*„ყველაფერს ვაკეთებთ, რაც ჩვენს ძალებშია. ბერნი ექლსტოუნთან მოლაპარაკებები გაგრძელდება, - განაცხადა თურქეთის სპორტის მინისტრმა* **იანუშ აქგულმა**. *- გვინდა ეტაპის შენარჩუნება, მაგრამ ნებისმიერი თანხის გადასახდელად მზად არ ვართ.*

*ნებისმიერ შემთხვევაში ტრასა არ გაცდება. სხვა სარბოლო სერიებიც არსებობს და მათთან ვითანამშრომლებთ, თუმცა ფორმულა 1 ჩვენი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით მაქსიმალურად მოვინდომებთ. 2012 წლის კალენდრის წინასწარი განხილვა 3 ივნისს არის დაგეგმილი და თუ ამ ვადამდეც არ მოინახა გადაწყვეტილება, რბოლას მაინც შეიტანენ კალენდრის „შავ“ ვერსიაში“.*

ამბები

ჭადრაკი

## ნახევარფინალისტები ცნობილია

რუსეთის ქალაქ ყაზანში მიმდინარე პრეტენდენტთა ტურნირზე ოთხივე ნახევარფინალისტი გაირკვა. ყველაზე დიდხანს რუსი **ვლადიმერ კრამნიკისა** და აზერბაიჯანელი **თეიმურ რაჯაბოვის** მეოთხედფინალი გაგრძელდა. ორშაბათს მეტოქეებმა ვერ გაარკვიეს გამარჯვებული სწრაფ ჭადრაკში, ამიტომაც დაინიშნა ორპარტიანი ბლიცმატჩი, რომელშიც კრამნიკმა 1,5:0,5 მოუგო რაჯაბოვს.

რუსი ნახევარფინალში თანამემამულე **ალექსანდ გრიშჩუკს** შეხვდება, ფინალის მეორე საგზურს კი ისრაელის წარმომადგენელი **ბორის გელფანდი** და ამერიკელი **გატა კამსკი** გაითამაშებენ.

პრეტენდენტთა ტურნირის გამარჯვებული 2012 წელს 12 პარტიისგან შემდგარ მატჩში შეხვდება მოქმედ ჩემპიონს, ინდოელ **ვიშვანათან ანანდს**.

ფორმულა 1

## უილიამსს რენოს ძრავა ექნება

ევროპული პრესის ვარაუდით, მომავალი სეზონიდან ბრიტანულ საჯინიბო „უილიამსს“ ძრავებით ფრანგული კომპანია „რენო“ მოამარაგებს. ეს ინფორმაცია „უილიამსის“ ერთ-ერთმა აქციონერმა **ტოტო ვულფმა** დაადასტურა. დღეისთვის ფრანგები ძრავებს აწვდიან სამ გუნდს - მოქმედ ჩემპიონ „რედ ბულს“, „ლოტუს-რენოსა“ და „ლოტუსს“, ხოლო „უილიამსი“ ეტაპებზე „კოსუორტის“ ძრავით გამოდის.

კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# ოვერტაიმების დღე

„მაიამიმ“ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა კონფერენციის ფინალისკენ - დარჩენილი სამი მატჩიდან ორს „ჰიტი“ საკუთარ მოედანზე ჩაატარებს და წესით, უნდა მოახერხოს ერთი გამარჯვების მოპოვება.

შეხვედრა „ბოსტონის“ ზეწოლით დაიწყო - სტუმრებმა უბრალოდ ფეხი ვერ აუწყვეს „კელტების“ ტემპს და უკვე მეორე წუთისთვის 2:9-ს აგებდნენ. ფლორიდელები არ დაბნეულან - **ალენისა** და **რონდოს** ორმა შეცდომამ და **ჯერმეინ ო'ნილის** ტექნიკურმა ჯარიმამ „მაიამის“ ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა - 11:11.

მიუხედავად ამისა, კარგა ხანი „ბოსტონის“ უპირატესობა თვალშისაცემი იყო. ერთ მომენტში სტუმრებმა ოთხი წუთი მოპოვებული ქულის გარეშე ჩაატარეს და მხოლოდ **ლებრონ ჯეიმსის** მონდომების ხარჯზე შეძლეს ბრძოლაში დარჩენა. მეორე მეოთხედში გუნდებმა უფრო მეტი ყურადღება დაცვას დაუთმეს, თუმცა ეს საქმე „ბოსტონს“ უკეთ გამოუვიდა და მასპინძლები ისევ წინ გაიჭრნენ - 42:31, მაგრამ იქვე უეიდმა და ჯეიმსმა არათუ ალადგინეს თანაფარდობა, დიდ შესვენებამდე სამი წუთით ადრე „მაიამი“ პირველად გაიყვანეს წინ.

ამის შემდეგ ქულა ქულაში თამაში ძირითადი დროის ბოლომდე გაგრძელდა. 48 წამით ადრე ლებრონმა ურთულესი ბურთი ჩააგდო და „მაიამი“ წინ გავიდა - 86:84. მაგრამ პირსმა დაახლოებით ასეთივე სტილში მოათავსა ბურთი კალათში - 86:86, შემდეგ კი მასვე შეეძლო გამარჯვება მოეტანა „ბოსტონისთვის“. ჯეიმსის შეცდომის შემდეგ პირსმა მოიპოვა ბურთი და ხუთი მეტრიდან სროლა მოასწრო. ბურთმა კალათის თავზე იტრიალა, მაგრამ არ ჩავარდა. როგორც აღმოჩნდა, პოლის ეს აცილებული ტყორცნა საბედისწერო აღმოჩნდა მასპინძელი გუნდისთვის.

ოვერტაიმში „მაიამის“ უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა. თავიდან თითქმის ნაქცეულმა ლებრონმა მოახერხა ორქულიანის ჩაგდება, შემდეგ უეიდმა და ჯეიმსმა იდეალური კომბინაცია გაითამაშეს და უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბოშს ჩააგდებინეს, უეიდის შორეული ტყორცნის შემდეგ კი სხვაობა 7 ქულამდე ავიდა. „კელტებს“ გადარჩენის შანსი თითქმის აღარ ჰქონდათ. პირსი მარტო იბრძოდა და მისი მონდომება სხვაობის სამ ქულამდე შემცირებისთვის აღმოჩნდა საკმარისი. ეს არ მოეწონათ ბოშსა და უეიდს და იქვე ალადგინეს კომფორტული უპირატესობა. საბოლოოდ, 98:90 და როგორც გითხარით, „მაიამის“ კონფერენციის ფინალში გასასვლელად ერთი ნაბიჯის გადადგმა დარჩა.

ალსანიშნავია, ფლორიდელთა „დიდი ტრიოს“ შედეგიანობა - გუნდური 98 ქულიდან ლებრონის, უეიდისა და ბოშის ანგარიშზე 83 (!) ქულა მოდის.

**აღმოსავლეთი**

**ბოსტონი-მაიამი 90:98 (ო)**

**31:28, 22:22, 20:19, 13:17, 4:12**

**ბ:** პირსი (27+8 მოხსნა+3 პასი), ალენი (17), რონდო (10+5 პასი), უესტი (10+3 ჩაჭრა), ჯ. ო'ნილი (8), გარნეტი (7+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), გრინი(7), დევისი (4).

**მ:** ჯეიმსი (35+14 მოხსნა+3 პასი+3 ჩაჭრა), უეიდი (28+9 მოხსნა+4 პასი), ბოში (20+12 მოხსნა), ენტონი (4+2 დაფარება), ბიბი (4), ჩელმერსი (3), ილგაუსკასი (2), ჯონსი (2).

**სერია: 1-3**

„ოკლაჰომამ“ **უესტბრუკისა** და **დურანტის** ბრწყინვალე თამაშით მესამე ოვერტაიმში გამოსტაცა გამარჯვება „მემფისს“, გაათანაბრა ანგარიში სერიაში და დაიბრუნა საკუთარი მოედნის უპირატესობა.

არადა, თამაშის დასაწყისი ისეთი იყო, რომელიც „მემფისს“ არანაირ გართულებას არ უქადდა. **მარკ გასოლისა** და **ტონი ალენის** აქტიურობით, აგრეთვე **პერკინსის**, **იბაკასა** და **უესტბრუკის** შეცდომებით მასპინძლებმა 8:0-ით დაიწყეს თამაში. „გრიზლისი“ ამით არ დაკმაყოფილდა და მორიგი სპურტის წყალობით (19:6) მეორე მეოთხედის დასაწყისისთვის უპირატესობა 18 ქულამდე გაზარდა. ეს არც იყო გასაკვირი - 483 წამში „ოკლაჰომამ“ თამაშიდან შვიდივე ტყორცნა ააცილა, სამჯერ დაკარგა ბურთი და ექვსი ჯარიმიდან მხოლოდ 4 გამოიყენა.

მაგრამ, როგორც კი მოედანზე დურანტი და უესტბრუკი დაბრუნდნენ, „თანდერის“ საქმეები კარგად წავიდა, თუმცა საპასუხო სპურტს საფუძველი არა მათ, არამედ **ჰარდენმა** და **კუკმა** ჩაუყარეს. ამ დუეტის დაწყებული საქმე სხვებმა გააგრძელეს და „დათვების“ უპირატესობისგან მხოლოდ ოთხი ქულა დარჩა.

თითქმის თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა მესამე მეოთხედმა - **რენდოლფის** მონდომება საკმარისი არ აღმოჩნდა მორიგი გაქცევის ორგანიზებისთვის. უფრო მეტიც, მოულოდნელად გააქტიურებული **ნაზრ მოჰამედის** მონდომებით, აგრეთვე დურანტისა და **მეინორის** სამქულიანებით სტუმრები 83:78 დაწინაურდნენ.

ორი წუთის შემდეგ კი მატჩმა კინაღამ საბოლოოდ დაკარგა ინტრიგა - უესტბრუკმა ერთ შეტევაში სამი ქულა დააგროვა და საფინალო სირენამდე 5 წუთითა და 24 წამით ადრე სხვაობამ 10 ქულას მიაღწია. ამის შემდეგ „მემფისმა“ მეტოქის შეცდომები გამოიყენა და „თანდერის“ უპირატესობა 3 ქულამდე დავიდა, თუმცა უესტბრუკმა და დურანტმა იქვე სხვაობა 7 ქულამდე აიყვანეს - თამაშის დასრულებამდე წუთი და 55 წამი რჩებოდა.

საოცარია, მაგრამ ისევე როგორც სერიის მესამე მატჩში, „ოკლაჰომამ“ ამჯერადაც გაფლანგა ეს კომფორტული უპირატესობა. ყველაფერი უნდა დაესრულებინა **კენდრიკ პერკინსს**, მაგრამ „+3“-ზე ორი ჯარიმა ვერ გამოიყენა, ამას **მაიკ კონლის** სამქულიანი მოჰყვა და ძირითადი დრო 96:96 დასრულდა.

პირველ ოვერტაიმში მასპინძლები ისევ რთულ მდგომარეობაში ჩავარდნენ - სხვაობა კვლავ შვიდი ქულა გახდა და კვლავ შეძლო გადარჩენა „მემფისმა“. **მაიომ** ორჯერ შორიდან ჩააგდო, რენდოლფმა ორი საჯარიმო გამოიყენა, **ვასკესმა** კი რვა მეტრიდან ფანტასტიკური ბურთი მოათავსა კალათში და გუნდებმა ისევ ყველაფერი თავიდან დაიწყეს.

მეორე ოვერტაიმში უფრო დასამახსოვრებელი იყო რენდოლფისა და **კოლისონის** წაკინკლავება. საინტერესოა, რომ ზედიზედ მესამედ ბოლო შეტევის უფლება „ოკლაჰომამ“ მიიღო და კვლავ ვერ გამოიყენა ეს შანსი - უესტბრუკმა კარგად ჩამოიცილა მეურვე, მაგრამ მთავარი არ გამოუვიდა - ვერ ჩააგდო. ბურთი ოდნავ შეეხო კალათს და მოედანზე დავარდა - 119:119.

მესამე ოვერტაიმში კი ადგილობრივი გულშემატკივრებისთვის სამწუხაროდ, „მემფისს“ მონდომება, ძალა და რესურსი აღარ ეყო. ზედმეტი პერსონალურების გამო მოედანი დატოვეს მაიომ და კონლიმ, რომელთა გარეშეც ბრძოლა ძალიან გართულდა. ყველაფერი მაშინ გადაწყდა, როცა „მინუს 2“-ზე რენდოლფმა და ვასკესმა მარტივი ბურთები ააცილეს, ხოლო 49 წამით ადრე იმავე რენდოლფის შეცდომამ საბოლოოდ დაასამარა მასპინძელთა იმედები.

**დასავლეთი**

**მემფისი-ოკლაჰომა 123:133 3ო**

**28:16, 25:33, 19:22, 24:25, 13:13, 10:10, 4:14**

**მ:** რენდოლფი (34+16 მოხსნა+3 პასი), მ. გასოლი (26+21 მოხსნა+3 პასი), მაიო (18+5 მოხსნა+5 პასი), კონლი (16+5 პასი), ვასკესი (14), ბატიე (7+3 პასი+2 დაფარება), ალენი (6), არტური (2), ჰადადი (0+2 დაფარება).

**ო:** უესტბრუკი (40+5 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა+2 დაფარება), დურანტი (35+13 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჰარდენი (19+7 მოხსნა+7 პასი+3 დაფარება), კუკი (10), იბაკა (7), მოჰამედი (7+2 დაფარება), პერკინსი (4+8 მოხსნა), სეფოლოშა (4), კოლისონი (4), მეინორი (3).

**სერია: 2-2**



ბოსტონი-მაიამი